

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, # 1

სამოქალაქო პროცესი

1. გადაწყვეტილების განმარტება
2. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა
3. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება
 - გადაწყვეტილების აღსრულების გადადება
 - გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა
 - გადაწყვეტილების აღსრულების წესი
4. საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო
5. საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო
6. საქმის წარმოების შეჩერება
7. შენიშვნები სხდომის ოქმთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-64-398-09

24 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: დამატებითი განჩინების გამოტანა, განჩინების განმარტება

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით მ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

2009 წლის 14 აპრილს მ. ი-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას ზემოაღნიშნულ განჩინებაზე დამატებითი განჩინების გამოტანისა და მისი განმარტების მოთხოვნით.

დამატებითი განჩინების გამოტანის საჭიროებას განმცხადებელი იმით ასაბუთებს, რომ საკასაციო საჩივარში მის მიერ დასმულ რიგ საკითხებზე საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინება მსჯელობას არ შეიცავს, რაც არასწორია;

რაც შეეხება განჩინების განმარტების შესახებ განმცხადებლის მოთხოვნას, განმცხადებლის მოსაზრებით, არსებობს აუცილებლობა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ განიმარტოს შემდეგი საკითხები: მ. ი-შვილის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ 2009 წლის 23 მარტის განჩინებით არის თუ არა დადგენილი, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; კანონიერად და დასაბუთებულად იქნა თუ არა მიჩნეული, რომ მ. ი-შვილი აღნიშნულ საქმეზე არის სათანადო მოსარჩელე; წარმოადგენს თუ არა მ. ი-შვილი სარჩელის მოთხოვნაზე ვალდებულ პირს იმ ანდერძის რეალურად არსებობის შემთხვევაში, რომლის სიყალბეზეც მას სარჩელი აქვს წარდგენილი; საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებით ითვლება თუ არა, რომ ლ. ი-შვილი სათანადო მოსარჩელედ იქნა ცნობილი, რამდენადაც სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში იგი მიუთითებდა, რომ ლ. ი-შვილი არასათანადო მოსარჩელე, ხოლო თავად არასათანადო მოპასუხეა; მ. ი-შვილის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, რამდენად გულისხმობს იმ ფაქტის დადასტურებას, რომ ამ უკანასკნელის მიერ დასმულ საკითხებზე პასუხი გაცემულია.

საკასაციო სასამართლომ განიხილა მ. ი-შვილის განცხადება და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინება წარმოადგენს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინებას, სადაც საკასაციო სასამართლოს საქმე არსებითად არ განუხილია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევათა ამომწურავ ჩამონათვალს, კერძოდ, კანონმდებელი სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილებას ანიჭებს, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მ. ი-შვილი ვერ მიუთითებს კანონის მითითებული ნორმით გათვალისწინებული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვერც ერთ საფუძველზე, განმცხადებლის აღნიშნული მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას განჩინების განმარტების შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების

ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად.

წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი ფაქტობრივად ითხოვს საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებული რიგი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და არა განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებას. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს განმარტების საგანი. ამდენად, მ. ი-შვილს ამ ნაწილშიც უარი უნდა ეთქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 262-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინების განმარტებისა და დამატებითი განჩინების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ა-884-გან-2-09

1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ქ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ხაშმის საჯარო სკოლის მიმართ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ქ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მან გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ქ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით მ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 დეკემბრის ბრძანება მ. ქ-ძის გათავისუფლების თაობაზე, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლას დაეკისრა მ. ქ-ძის სასარგებლოდ ყოველთვიური განაცდური ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლას მ. ქ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -150 ლარის გადახდა.

მ. ქ-მემ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების გამარტივების მიზნით მისი განმარტება, ვინაიდან სკოლის დირექ-

ციამ აღადგინა რა იგი სამსახურში, სამუშაო საათების ის რაოდენობა არ მისცა, რაც მას სამუშაოდან დათხოვნამდე ჰქონდა, სააღსრულებო ბიურომ კი უარი განუცხადა გადაწყვეტილების აღსრულებაზე და მისი სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვნად მიიჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი განცხადების საფუძვლის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ქ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი განცხადება განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ზემოხსენებული ნორმა მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეუცვლელად მის იმგვარ განმარტებას, რომ იგი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს მხარეთათვის და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების სწორად აღსრულებას. ამდენად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება ობიექტურად საჭირო და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარე ან აღმასრულებელი დაასაბუთებს, რომ სხვაგვარად მისი შინაარსი შესაძლოა გაგებულ და აღსრულებულ იქნეს არასწორად.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბებულია ნათლად, ამდენად, გადაწყვეტილების შინაარსის ბუნდოვნად მიჩნევისა თუ მისი აღსრულების გართულების კანონიერ საფუძველზე მ. ქ-მეს თავის განცხადებაში არ მიუთითებია.

რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად იგი სამუშაოზე პირვანდელი დატვირთვით არ აღდგენილა, აღნიშნული გადაწყვეტილების განმარტების საფუძველს არ წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 262-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ქ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ა-2062-გან-4-09

15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ო. კ-იკოს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. კ-იკოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ო. კ-იკოს სარჩელი დაკმაყოფილდა -ი. ჯ-ავას და გ. ც-იას, მცხოვრებლებს ხობის რაიონის სოფელ ...-ში, ჩამორთვით ბავშვი -მ. ც-ია, დაბადებული 1997 წლის 15 იანვარს, ხობის რაიონში, (სარეგისტრაციო ადგილი ხობის რაიონის სოფელი ...) და გადაეცა ბიოლოგიურ დედას -ა. კ-იკოს, დაბადებულს 1974 წლის 8 იანვარს, უკრაინის მოქალაქეს, რეგისტრირებულს შემდეგ მისამართზე: უკრაინა, დონეცკის ოლქი, სოფელი ..., შესაბამისი ცვლილებები შევიდა მ. ც-იას დაბადების სააქტო ჩანაწერში.

2009 წლის 2 ოქტომბერს ო. კ-იკომ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების განმარტება.

განმცხადებელის განმარტებით, ბუნდოვანია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ბავშვის მოვალეებზე ჩამორთმევის საკითხი. კერძოდ, სასამართლომ განმარტოს თუ რა იგულისხმებოდა გადაწყვეტილებაში: ის, რომ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მოქცევის დროს ბავშვი უპირობოდ და დაუყოვნებლივ უნდა ჩამორთვას მოვალეებს და დედაზე -ო. კ-იკოზე გადმოცემამდე უნდა მოთავსდეს ბავშვთა სახლში, თუ ის, რომ მანამ, სანამ ბავშვი არ იქნება მომზადებული შესაბამისი სპეციალისტების მიერ, უნდა იმყოფებოდეს მოვალეებთან.

განმცხადებლის მოსაზრებით, გადაწყვეტილების განმარტება ხელს შეუწყობს და შესაძლებელს გახდის მის აღსრულებას.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი განცხადება და მიაჩნია, რომ იგი ვერ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ იგი ნათლად და გარკვევით არ არის ჩამოყალიბებული ან შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ და შეუსაბამო დებულებებს. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია მისი განმარტება იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ განმარტების სახით არ მოხდეს გადაწყვეტილების ძირითადი აზრისა და შინაარსის შეცვლა. ამასთან, დაუშვებელია გადაწყვეტილების განმარტებით ახალი გადაწყვეტილების მიღება ან ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება ნათლად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული, არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს და იგი არ საჭიროებს განმარტებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 285-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ო. კ-იკოს განცხადება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება სააბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

განჩინება

#ას-168-496-09

2 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე თ. თოდრია

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. ვ-იანის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ჟ-იანის სარჩელი მ. ვ-იანის მიმართ უკანონოდ აშენებული ფარდულის აღებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჟ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბერს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ნ. ჟ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა -მ. ვ-იანს დაევალა ახალქალაქში, ... ქ. #11-ში მდებარე ნ. ჟ-იანის საცხოვრებელ სახლთან აგებული ფარდულის აღება, მ. ვ-იანს ნ. ჟ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა 2600 ლარის გადახდა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა მ. ვ-იანის წარმომადგენელმა ა. ხ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განახლება იმ საფუძველით, რომ მ. ვ-იანის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, ვინაიდან იგი 2007 წლის 20 ნოემბრიდან იმყოფებოდა ავად, ჰქონდა მე-3 ხარისხის ჰიპერტონული კრიზი და იწვა საწოლში. აღნიშნულის თაობაზე კი თავად შეიტყო მ. ვ-იანის მეზობლისგან 2007 წლის 30 დეკემბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინებით მ. ვ-იანის წარმომადგენელ ა. ხ-იანის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ვ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ საფუძველით, რომ მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით მ. ვ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინება.

მ. ვ-იანმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნით შეიტანა საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მ. ვ-იანის საჩივარი, რომელიც თავისი არსითა და შინაარსით წარმოადგენს საკასაციო საჩივარს უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ მ. ვ-იანის წარმომადგენელმა ა. ხ-იანმა საკასაციო საჩივარი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით მ. ვ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინება.

მიუხედავად ამისა, მ. ვ-იანის წარმომადგენელმა განმეორებით შეიტანა საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო პალატამ 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინებაში ერთხელ უკვე იმსჯელა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების კანონიერების საკითხზე და არ დააკმაყოფილა მ. ვ-იანის საკასაციო საჩივარი. უცვლელად დარჩა ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინება. ამავე განჩინებით მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს (გადაწყვეტილება) განჩინება კანონიერ ძალაში შედის მისი გამოცხადებისთანავე. საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ვ-იანის საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ვ-იანის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

განჩინება

#ას-343-662-09

24 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე რ. ნადირიანი**

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. და ქ. გ-შვილების საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაზე.

პალატამ გამოარკვია:

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. და ქ. გ-შვილების სარჩელი დედოფლისწყაროს რაიონის ნოტარიუსის მიერ 1998 წლის 30 სექტემბერს მ. ი-შვილის სახელზე გაცემული გარდაბნის რაიონის სოფელ . . .-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების და კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობათა გაუქმებისა და საცხოვრებელი სახლის კომლის საერთო საკუთრებაში დატოვების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, დაკმაყოფილდა ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისში მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ი-შვილის სახელზე აღრიცხვისა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სესხის დაფარვის მიზნით, მისი აუქციონის წესით რეალიზაციის თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. და ქ. გ-შვილებმა და მ. ი-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით მ. ი-შვილის, ვ. და ქ. გ-შვილების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების, ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურებისათვის შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის დავალებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილების მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები) გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მ. ი-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისში მდებარე საცხოვრებელი სახლი; ა. ა-ძის სასარგებლოდ მ. ი-შვილის სახელზე

სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დაკისრებული თანხის – 40 000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარის გადასახდელად განხორციელდა მისი აუქციონზე რეალიზაცია, დაევალა საჯარო რეესტრის ტეროტორიულ სააგენტო სამსახურს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. და ქ. გ-შვილებმა და მ. ი-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინებით ვ. და ქ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა მ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება.

2009 წლის 7 აპრილს ვ. და ქ. გ-შვილებმა საკასაციო საჩივრით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას და მოითხოვეს მისი გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ვ. და ქ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუქმებულია.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინებით და შევიდა კანონიერ ძალაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

მითითებული მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის ერთადერთი გზა – ესაა საქმის წარმოების განახლება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (სსკ-ის 421-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან ქ. და ვ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით უკვე იყო განხილული უზენაესი სასამართლოს მიერ და გასაჩივრებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, ვ. და ქ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მეორე ნაწილით, 265-ე, 401-ე მუხლის პირველი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. და ქ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩეს;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;
განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

3. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

განჩინება

#ას-450-764-09

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 ივლისს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა რ. ო-ძემ ტ. და ჟ. ო-ძეების მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ.

რ. ო-ძემ მიუთითა, რომ 1998 წლიდან 2007 წლის მასამდე მოპასუხებთან ერთობლივ საქმიანობას ეწეოდა, იგი ამარაგებდა პროდუქციით მაღაზიას, ხოლო მოპასუხეები მის კუთვნილ მაღაზიაში საქონლის რეალიზაციას ახდენენ. მათ შორის არსებული ზეპირი გარიგების თანახმად, მხარეები რეალიზაციის შემდეგ მიღებულ თანხას თანაბრად ინაწილებდნენ. 2007 წლის მასიდან, ურთიერთობის დაძაბვის გამო, მათი ერთობლივი საქმიანობა შეწყდა. 12600 ლარის თევზი მან მასის ბოლო რიცხვებში ჩამოიტანა. ამ დროისათვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რითაც ისარგებლეს მოპასუხებმა და შეწყვიტეს მასთან ყოველგვარი ურთიერთობა, არ მისცეს 12600 ლარი ნისიად შემოტანილი პროდუქციის ბოლო კრედიტის დასაფარად, ასევე, ამ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგებიდან წილი, აგრეთვე, არ აძლევენ უფლებას წამოიღოს მაცივარ-რეფრეჟერატორი და დახლ-მაცივარი. აქედან გამომდინარე, მან მოითხოვა აღნიშნული ნივთების დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება.

სარჩელი აღძრეს ტ. და ჟ. ო-ძეებმაც, მოპასუხედ დაასახელეს რ. ო-ძე და მოითხოვეს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ტ. და ჟ. ო-ძეებმა განმარტეს, რომ სამტრედიაში, შპს "არგოს" ტერიტორიაზე ტ. ო-ძეს საკუთრებაში გააჩნდა მაღაზია. 2006 წლის ნოემბერში რ. ო-ძემ ტ. ო-ძეს სთხოვა დახმარება სესხის აღებაში, რომელიც მას სჭირდებოდა მანაქანის შესაძენად. ტ. ო-ძე ჩაუდგა თავდებში და ბანკიდან გამოიტანა სულ 14000 ლარი. აღნიშნული თანხიდან რ. ო-ძემ გადაიხადა 4000 ლარი, დანარჩენი კი გადასახდელად ტ. ო-ძეს შეატოვა. დარჩენილი თანხა გადაიხადეს ტ. და ჟ. ო-ძეებმა. აქედან გამომდინარე, მოითხოვეს აღნიშნული თანხის რ. ო-ძისთვის დაკისრება.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით რ. ო-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ტ. და ჟ. ო-ძეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მაცივარ - რეფრეჟერატორი, დანარჩენ სასარჩელო მოთხოვნაზე რ. ო-ძეს ეთქვა უარი.

ამავე გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ტ. და ჟ. ო-ძეებს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა როგორც რ. ო-ძემ, ასევე ტ. და ჟ. ო-ძეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით რ. ო-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ტ. და ჟ. ო-ძეების სააპელაციო საჩივარი, გამოთხოვილ იქნა ტ. და ჟ. ო-ძეების უკანონო მფლობელობიდან ერთი ცალი პატარა დახლ-მაცივარი; ტ. და ჟ. ო-ძეებს დაეკისრათ რ. ო-ძის სასარგებლოდ 2006 ლარის გადახდა; რ. ო-ძეს დაეკისრა ტ. და ჟ. ო-ძეების სასარგებლოდ 5619 ლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა რ. ო-ძემ, ასევე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ტ. და ჟ. ო-ძეებმა.

რ. ო-ძემ მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, რომ სესხი რ. ო-ძემ გამოიტანა მანაქანის შესაძენად. მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად. სესხი აღებულ იქნა ერთობლივი საქმიანობისათვის და არა პირადი მიზნებისათვის.

ტ. და ჟ. ო-ძეებმა მიუთითეს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრულად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, 40-ტონიანი მაცივარ-რეფრეჟერატორის ერთობლივი

ძალეებით და საერთო საქმიანობით შექმნა და მისი შემდგომი თანაბარწილობრივი ექსპლუატაციის ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 19 განჩინებით რ. ო-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 10-დღიანი ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის განჩინებით ტ. და ჟ. ო-ძეების საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად. საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

რ. ო-ძემ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ო-ძის, ტ. და ჟ. ო-ძეების საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რომ დაუშვას რ. ო-ძის, ტ. და ჟ. ო-ძეების საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. რ. ო-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
3. ტ. და ჟ. ო-ძეების საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.
2. ტ. და ჟ. ო-ძეებს დაუბრუნდეთ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(343 ლარისა და 25 თეთრის) 70% -240 ლარი და 27 თეთრი;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების აღსრულების წესი

განჩინება

#ას-412-728-09

29 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ს-ევამ, ნ. ბ-მემ და ი. თ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ა. ჟ-ოვას, ი. და ნ. ი-ოვების მიმართ "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძველბით: ქ. თბილისში, ... ქუჩის #4-ში მდებარე უძრავი ქონება რეგისტრირებულია მოპასუხეთა სახელზე შემდეგი წილობრივი მონაწილეობით: ნ. ი-ოვას -27\44, ა. ჟ-ოვას -17\88 და ი. ი-ოვას -17\88. მოსარჩელები რეგისტრირებული არიან დასახელებულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელ სადგომში და იხდიან კომუნალურ გადასახადებს. ა. ს-ევას დაკავებული აქვს 39,37 კვ.მ (#2-2 და 2-4 ოთახები), ხოლო ი. თ-შვილს -36,38 კვ. მ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით საქმე ნ. ბ-მის სარჩელის გამო გამოეყო ცალკე წარმოებად და შეჩერდა მოსარჩელის გარდაცვალების გამო მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: სარჩელი დაუსაბუთებელია. ა. ს-ევას დაკავებული აქვს არა მარტო #2-2 და #2-4, არამედ 2-7 ოთახიც, რომლის ღირებულება მოსარჩელეს არ შეუფასებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ს-ევასა და ი. თ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც ი. ი-ოვამ, ნ. ი-ოვამ და ა. ჟ-ოვამ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: საქმის მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით და საჯარო რეესტრის თბილისის სარეესტრაციო სამსახურის 2005 წლის 11 აგვისტოს ცნობით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩის #4-ში მდებარე უძრავი ნივთი რეგისტრირებულია თანამოპასუხეთა საერთო საკუთრებად და მითითებულ მისამართზე მდებარე უძრავი ნივთი ნატურით გამიჯნული არ არის. პალატამ დადგენილად მიიჩნია და თავად მხარეებიც არ ხდიან სადავოდ იმ გარემოებას, რომ ისინი წარმოადგენენ იმ კატეგორიის მოსარგებლებს, რომელთა საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლებაც გამომდინარეობს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის გარიგებიდან. სასამართლომ იხელმძღვანელა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის 1¹ მუხლის „ა" პუნქტით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის საფუძველს წარმოადგენს არა სასამართლოს მიერ დადგენილი მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ ის გარემოება, რომ ამავე კანონის შესაბამისად, სასამართლომ არ განსაზღვრა მესაკუთრეების მიერ გადასახდელი საბაზრო ღირებულების ოდენობა და შემოიფარგლა ამ ოდენობის 25%-ის ზოგადი მითითებით. პალატამ აღნიშნული არგუმენტი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად არ მიიჩნია, ვინაიდან ზემოხსენებული კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილი იყო, არ განესაზღვრა კონკრეტული თანხა, რადგან საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულება მუდმივად იზრდება, კანონი კი მხარეებს ავალდებულებს უფლების განხორციელების დროისათვის არსებული საბაზრო ღირებულების გადახდას. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ამჟამად მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონი სააღსრულებო ბიუროს ნივთის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის უფლებას აძლევს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ი. ი-ოვამ და ნ. ი-ოვამ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ რაიონული სასა-

მართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას აპელანტებმა სადავოდ მიიჩნიეს არა სასამართლოს მიერ დადგენილი მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ ის, რომ, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასამართლომ არ განსაზღვრა მესაკუთრეების მიერ გადასახდელი საბაზრო ღირებულების ოდენობა და შემოიფარგლა ამ ოდენობის ზოგადი მითითებით. სააპელაციო პალატამ ამავე კანონის მე-6 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნული არგუმენტი გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის საფუძველად არ მიიჩნია. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ რაიონული სასამართლო უფლებამოსილი იყო, არ განესაზღვრა კონკრეტული თანხა, თუმცა ამ კუთხით როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ისე განჩინება ბუნდოვანია. სწორედ ზემოაღნიშნული კანონის დასახელებული ნორმები ავალდებულებს მოსარგებლეს მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლება მოიპოვოს მხოლოდ დაკავებული სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, შესაბამისად, კანონმდებელი ავალდებულებს სასამართლოს, განსაზღვრული საბაზრო ღირებულებით გადაწყვიტოს დავა და არ შემოიფარგლოს ამ ოდენობის ზოგადი მითითებით. გაურკვეველია, თუ რომელი სამართლებრივი ნორმით ისარგებლა სააპელაციო სასამართლომ, როდესაც დაადგინა, რომ უფლების განხორციელების დროისათვის არსებული საბაზრო ღირებულების გადახდა უცნობია და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით, ფაქტობრივად, აღუსრულებელი გადაწყვეტილება მიიღო. აღსრულების ეტაპზე დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების განსაზღვრამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი დავის წარმოშობა ან აღსრულების ვადის გაწევა, რამაც შესაძლოა, დააზარალოს მხარეთა კანონიერი ინტერესები. საქმის განხილვისას მოწინააღმდეგე მხარეთა ადვოკატმა განმარტა, რომ მხარე თანახმა იყო, გადაეხადა სადავო ნივთის საბაზრო ღირებულების 25% და მოითხოვა მისი საბაზრო ღირებულების დასადგენად სასაქონლო ექსპერტიზის დანიშვნა. შუამდგომლობას აპელანტებიც დაეთანხმნენ, სასამართლომ იგი დააკმაყოფილა და ექსპერტიზის ხარჯების გადახდა დააკისრა შუამდგომლობის წარმდგენ მხარეს - ა. ს-ევასა და ი. თ-შვილს, თუმცა ექსპერტიზა არ ჩატარდა სათანადო საფასურის გადაუხდელობის გამო. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე, 382-ე და 169-ე მუხლები, როდესაც საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული საპროცესო ნორმების დარღვევის გამო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო კასატორის მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულების შეფასების ანგარიში, რომლის მიხედვითაც შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულება 2008 წლის 17 იანვრისათვის შეადგენდა 31600 აშშ დოლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ი-ოვასა და ნ. ი-ოვას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა, რაც სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და ამ გარემოებას კასატორი სადავოდ არ ხდის. განსახილველი საკასაციო პრეტენზია გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრას ეხება, ვინაიდან სასამართლომ მოსარჩელებს -სადგომით მოსარგებლებს დააკისრა რა ნივთის საბაზრო ღირებულების 25%-ის მოპასუხის -მესაკუთრის სასარგებლოდ გადახდა, არ განსაზღვრა თანხის ზუსტი ოდენობა. აღნიშნული სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა იმით, რომ საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულება მუდმივად იზრდება, კანონი კი მხარეებს ავალდებულებს უფლების განხორციელების დროისათვის არსებული საბაზრო ღირებულების გადახდას, ხოლო სააღსრულებო ბიუროს აღსრულების დროს ნივთის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის უფლება აქვს.

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნები, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, უპირველესად, აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სააღსრულებო ბიუროს მიერ ხორცი-

ელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს ვალდებულებას. ამასთან, სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა უზრუნველყოფილია სათანადო კანონებით, არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებათა ნებაყოფლობით აღსრულების პრეზუმფცია, რაც ამავდროულად გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ სასამართლო ორიენტირებული იყოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების იძულებით (და არა ნებაყოფლობით) აღსრულებაზე.

სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტს, რომელიც გამოიტანება საქმის განხილვის შედეგად და მისი სამართლებრივი შედეგები კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

სასამართლო გადაწყვეტილების უპირველესი ფუნქცია მოდავე პირებისათვის უფლებათა და ვალდებულებათა არსებობა-არარსებობის დადგენაა, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მართლწესრიგის დამკვიდრებასა და სამართალდარღვევის პროფილაქტიკას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის დანაწესი მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს, რომ სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით. სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი აწესებს მკაცრ მოთხოვნებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესით, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე-2 მუხლი), პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად მოიაზრება სასამართლოს ვალდებულება, დასაბუთებულად და სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე, მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე. ამდენად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს მოდავე პირთა უფლებებსა და ვალდებულებებს. ამავდროულად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამომავლოდ არ უნდა ქმნიდეს გაურკვევლობისა და საეჭვოობის, შესაბამისად, მისი აღუსრულებლობისა და კვლავ სადავოობის განცდას. ყოველივე აღნიშნული არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (იხ. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი).

ამ მხრივ საგულისხმოა საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნა. წინამდებარე საქმეში განმცხადებლის საჩივარი ეხება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სასამართლოს მითითებით, "აღნიშნული უფლება, რომელიც აშკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, კონვენციის ორგანოების მიერ ინტერპრეტირებული იქნა, როგორც "სასამართლო პროცესის" განუყოფელი ნაწილი მეექვსე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (იხილეთ *Horncsby v. Greece*, ჯუდეგმენტ ოფ 19 მარტ 1997, *Leפורტს* 1997-II, პ. 510, § 40). სასამართლო შეგვახსენებს, რომ მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული სარჩელი (იხილეთ *გოლდერ ვ. ტკე უნიტედ კინგდომ*, ჯუდეგმენტ ოფ 21 თებერვარ 1975, შერიეს A ნო. 18, პპ. 13-18, §§ 28-36). სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხილეთ *Horncsby*, ციტედ აბოვე, §§ 40 ანდ *სეჟ*)".

საქმეში -შპს "იზა" და მ-მე საქართველოს წინააღმდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება "სასამართლო პროცესის" განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, # 59498/00, §34, EKHდ 2002-III; ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კრებული 1997-II, გვ. 510, §40)".

სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო –სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, რომელშიც ასახულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ამდენად, სააღსრულებო ბიუროს ფუნქცია კანონით მკაცრადაა განსაზღვრული და მან უნდა უზრუნველყოს აღსასრულებლად გადაცემულ სასამართლო აქტში –სააღსრულებო ფურცელში განსაზღვრული მოქმედებების ზუსტ შესაბამისობაში აღსრულება. აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაუზუსტებლობა კი იწვევს აღმასრულებლის მხრიდან მისი განმარტების აუცილებლობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით ყოველგვარი საექვოობის გარეშე, ზუსტად უნდა განსაზღვროს მოდავე პირთა უფლებები და მოვალეობები. ასევე უნდა შეაფასოს, მოცემულ დავაში მხარეთა მიერ სათანადოდ განხორციელდა თუ არა საპროცესო უფლებები და ვალდებულებები და რა იურიდიული შედეგი მოჰყვა მას, კერძოდ, მოსარჩელემ რა ქმედითი ღონისძიებები გამოიყენა მის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობის განსასაზღვრად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ი-ოვასა და ნ. ი-ოვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების აღსრულების გადადება

განჩინება

#ას-792-1079-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, თანასაკუთრებიდან წილის განსაზღვრა და გამოყოფა, აუქციონის შედეგებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ე-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის, ნოტარიუს ე. შ-შვილს, მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს, ნ. ვ-ულისა და მ. კ-შვილის მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების, გარიგებისა და აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური შეიცვალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ე-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მოცემული საქმე განხილულ იქნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, მ. ე-იამ იკისრა 6 თვის ვადაში, 2009 წლის 16 აპრილის ჩათვლით მ. პ-შვილისათვის 20 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება; მ. პ-შვილმა თანხმობა გამოთქვა, მითითებული თანხის გადახდისთანავე მ. ე-იასა და ნ. ვ-ულს საკუთრებაში გადასცეს უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა -მცხეთა, კოდი 72, სექტორი დილომი, 0,030 ჰა სასოფლო-სამეურნეო #181 ნაკვეთი შენობა-ნაგებობით) და საჯარო რეესტრში აღრიცხოს იგი მ. ე-იასა და ნ. ვ-ულის საკუთრებად; ზემოხსენებულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მ. ე-ია და ნ. ვ-ული 2009 წლის 17 აპრილს სადავო უძრავ ქონებას გადასცემენ მ. პ-შვილს; მხარეთა შეთანხმებით, სადავო უძრავ ქონებას დაედოს ყადაღა და მ. ე-იას მიერ თანხის ვადაში გადაუხდელობისას მითითებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდება.

2009 წლის 27 აპრილს მ. ე-იამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინების აღსრულების 6 თვით გადავადების, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის შესახებ იმდაგვარად, რომ მ. პ-შვილს 20000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ გადაუფორმდეს მ. ე-იას კუთვნილი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით მ. ე-იას განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 31-ე, 36-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილების აღსრულება გადაუვადოს მხარეს მხოლოდ პატივსაცემი მიზეზის არსებობის შემთხვევაში, აღსრულება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ე-იამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: კერძო საჩივრის ავტორი სასამართლოში საქმის განხილვისას აღნიშნავდა, რომ მორიგების პირობის შესასრულებლად -20 000 აშშ დოლარის მ. პ-შვილისათვის გადასახდელად მხოლოდ ერთი საშუალება გააჩნია, კერძოდ, უნდა გაეყიდა ქ. თბილისში, დილომი მდებარე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ვინაიდან სხვა ქონება მას არ გააჩნდა. მორიგების დამტკიცების მომდევნო პერიოდში მ. ე-იამ ვერ შესძლო კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია მინიმალურ ფასადაც კი საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა და მის შემდეგ არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო, რა დროსაც უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა და საბანკო კრედიტის მიღება უკიდურესად გართულდა. მ. ე-იას მეუღლემ მიიღო საბანკო კრედიტი მხოლოდ 5600 ლარის ოდენობით და შესთავაზა მ. პ-შვილს დასაწყისისათვის 5000 აშშ დოლარის გადაცემა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მ. ე-ია იძულებით გადაადგილებული პირია, ჰყავს სამი შვილი, სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია და სადავო ფართიდან გამოსახლებას მძიმე შედეგი მოჰყვება მისი ოჯახისათვის. ამასთან, მხედველობაშია მისაღები საქართველოს ხელისუფლებისა და ქალაქის მერიის განცხადება ლტოლვილთათვის იძულებითი გამოსახლებისას შეღავათების მინიჭების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ. პ-შვილმა #ა-2150-09 განცხადებით მიმართა პალატას, რომელსაც დაურთო წერილობითი მტკიცებულება 1 ფურცლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ე-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების პირობები და საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუთითებს თავის მძიმე

ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, საფუძვლად დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას. აღნიშნული კანონის დანაწესი არ უნდა განიმარტოს იმდაგვარად, რომ მხარის ფინანსური სიმძლევების არსებობა თავისთავად განაპირობებს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესსა და საშუალებებში კანონით განსაზღვრული ცვლილების შეტანას. მითითებული ღონისძიებები ხელს უწყობს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებას და სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის თხოვნას, თუ ეს უკანასკნელი დაასაბუთებს, რომ აღსრულების გადადება, განაწილვადება, მისი საშუალებისა და წესის შეცვლა გადაწყვეტილების აღსრულებას რეალურად დაეხმარება. ამგვარი საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლამ არსებითი გავლენა არ უნდა მოახდინოს გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ შედეგზე.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძვლებს შეიცავს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც მიუთითებს აღსრულების შეჩერების წინაპირობად მიჩნეულ კონკრეტულ გარემოებათა ჩამონათვალზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მხარეს 2008 წლის 16 ოქტომბრის სასამართლო განჩინების აღსრულების გადადებისა და აღსრულების საშუალების შეცვლის არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და არც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით" გათვალისწინებულ ობიექტურ საფუძველზე არ მიუთითებია, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში მ. ე-ია მოითხოვდა მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების აღსრულების 6 თვით გადადებასა და აღსრულების საშუალების იმდაგვარად შეცვლას, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შეთანხმებული თანხის სანაცვლოდ გადასცემოდა მ. ე-იას კუთვნილი უძრავი ნივთი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმით კანონმდებელი გულისხმობს, რომ მორიგებისას მხარეებმა სადავო საკითხზე უნდა მიაღწიონ კომპრომისს, რაც მორიგების პირობების სახით დეტალურად აისახება მორიგების აქტში და, ასეთი პირობების კანონთან შესაბამისობისას, მტკიცდება სასამართლო განჩინებით.

განსახილველ შემთხვევაში მ. ე-იასა და მ. კ-შვილს შორის 2008 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცებული მორიგების პირობას წარმოადგენდა ის, რომ 2009 წლის 17 აპრილამდე მ. ე-იას მ. კ-შვილისათვის უძრავი ქონების სანაცვლოდ უნდა გადაეცა 20 000 აშშ დოლარი. მ. ე-იას მიერ აღნიშნული თანხის მოპოვებასთან დაკავშირებით მხარეებს რაიმე კონკრეტული პირობა არ გაუთვალისწინებიათ, ამდენად, ზემოხსენებული სასამართლო განჩინების აღსრულებაზე გავლენას ვერ მოახდენს მ. ე-იას მითითება, რომ იგი ჯერ კიდევ მორიგების დამტკიცებამდე განმარტავდა სასამართლოში, რომ 20 000 აშშ დოლარის გადახდა შეეძლო მხოლოდ კუთვნილი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალიზების შემდეგ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ე-იას მოთხოვნის შესაბამისად 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინების აღსრულების საშუალების შეცვლით -თანხის სანაცვლოდ, მ. კ-შვილისათვის თუნდაც გადასახდელ თანხაზე მეტი ღირებულების უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით არსებითად შეიცვლება ზემოაღნიშნული განჩინებით დამტკიცებული მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი შედეგი და დაირღვევა მ. კ-შვილის კანონიერი უფლება, კანონით დადგენილი გზით -სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებით მოახდინოს ამ გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებული უფლებების რეალიზება.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების 6 თვით გადადების მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის მ. ე-იას მიერ თანხის გადაცემის ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის -2009 წლის 16 აპრილისა და სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვის -27 აპრილის შემდეგ გასულია 6 თვე და, მართალია, გასაჩივრებული განჩინებით მხარეს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებაზე უარი ეთქვა, მ. ე-იას საკმარისი დრო ჰქონდა, რათა მორიგების პირობების შესრულებაზე ეზრუნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ე-იას მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძვლად ვერ ჩაითვლება მის მიერ წარმოდგენილი სოფელ დიდმის საჯარო სკოლის 2009 წლის 27 აპრილის #79 ცნობა ნ. თ. და გ. კ-იების (მ. ე-იას შვილების) მე-2, მე-3 და მე-4 კლასებში სწავლის შესახებ და ბ. კ-იას (მ. ე-იას მეუღლის) მიერ სს "პროკრედიტ ბანკიდან" 5600 ლარის ოდენობით კრედიტის გამოტანის თაობაზე, რადგან მითითებული მტკიცებულებებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის სამართლებრივი წინაპირობების არსებობა არ დასტურდება.

მ. კ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ #ა-2150-09 განცხადებაზე დართული წერილობითი მტკიცებულება 1 ფურცლად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ე-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**4. საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-882-1094-08 13 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: დავალების ხელშეკრულებისათვის გასამრჯელოს გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორებმა" მოპასუხეების -მ. მ-იანისა და შპს "ეი-ემ-ფაინენშლ გრუპის" მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დავალების ხელშეკრულებისათვის გასამრჯელოს -6 913 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეთათვის სოლიდარულად დაკისრება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს კლიენტებისათვის იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. იურიდიული მომსახურებისათვის საზოგადოების მიერ დადგენილი ნიხრი შეადგენს საათში 150 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. 2005 წლის მარტში კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორებს" იურიდიული დახმარებისათვის მიმართა შპს "ეი-ემ-ფაინენშლ გრუპის" პარტნიორმა მ. მ-იანმა და ითხოვა შპს "ეი-ემ-ფაინენშლ გრუპის" ინტერესების დაცვა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მათ წინააღმდეგ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით მიმდინარე დავაში, რომელიც შეეხებოდა 1998 წლის 5 აგვისტოს შპს "ეი-ემ-ფაინენშლ გრუპსა" და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულების გაუქმებას. მ. მ-იანსა და ს. ა-გს (საზოგადოების მმართველი პარტნიორი) შორის ზეპირი გარიგების დადებიდან მოკლე ხანში -2005 წლის 1 აპრილს მოხდა პირველი თანხის ჩარიცხვა კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" ერთ-ერთი პარტნიორის ნ. ა-შვილის საბანკო ანგარიშზე. კიდევ ერთი გადარიცხვა განხორციელდა 2005 წლის 7 ივლისს.

2005 წლის 16 ივნისს შპს "ეი-ემ-ფაინენშლ გრუპის" დირექტორმა ო. მ-იანმა მოსარჩელეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭა. იმავდროულად, ო. მ-იანმა წერილობით დაუდასტურა ჰანს ფონ საქსენ-ალტენბურგს, რომ იგი აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით 5 000 აშშ დოლარს გადაიხდოდა.

შპს "ეი-ემ-ფაინენშლ გრუპსა" და კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორებს" შორის ურთიერთობის განვითარების პარალელურად ო. მ-იანმა საზოგადოებას სხვა დავალებებიც მისცა,

რაც მოსარჩელის აზრით, მოპასუხის მხრიდან მის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების მოწონებას ასაბუთებდა. კერძოდ, 2005 წლის აგვისტოს დასაწყისში მ. მ-იანმა მიმართა კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" პარტნიორებს: ს. ა-გსა და ა. ბ-ძეს და იმ მოტივით, რომ მის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე მათ სთხოვა, მოემზადებინათ განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად. აღნიშნული დავალეზა მიღებულ იქნა, რა დროსაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოხდებოდა საზოგადოებაში დადგენილი საათობრივი ნიხრის საფუძველზე.

2005 წლის 3 აგვისტოს მ. მ-იანმა ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებით აღ. ბ-ძეს დაუდასტურა, რომ მზად იყო გაეფორმებინა მინდობილობა საზოგადოების ადვოკატების -ს. ა-გისა და აღ. ბ-ძის სახელზე, რათა მათ მინიჭებოდათ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მ. მ-იანის სახელით განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება. ამავე დღეს, მ. მ-იანმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შედგენილ აღნიშნული შინაარსის მინდობილობას.

მოსარჩელის მტკიცებით, ს. ა-გი და აღ. ბ-ძე დაუყოვნებლივ შეუდგნენ ზემომითითებული დავალების შესრულებას. საჩივრის პროექტი სექტემბრის ბოლოს უკვე მზად იყო, თუმცა მ. მ-იანისათვის მისი წარდგენა ვერ მოხერხდა, რადგან მან მოულოდნელად დატოვა საქართველო და მხოლოდ 2005 წლის დეკემბრის ბოლოს დაბრუნდა. დასახელებულ შუალედში ისინი მ. მ-იანს ელექტრონული ფორმით უგზავნიდნენ შეტყობინებას და სთხოვდნენ გამოხმაურებას, მაგრამ ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. 2005 წლის 19 დეკემბერს მ. მ-იანმა უპასუხა ს. ა-გის ელექტრონულ შეტყობინებას, რა დროსაც განაცხადა, რომ 2005 წლის 22 დეკემბერს ჩამოვიდოდა თბილისში და მზად იქნებოდა მიეღო ანგარიშ-ფაქტურები საზოგადოების მიერ გაწეული იურიდიული მომსახურებისა და მათი საფასურის შესახებ. 2005 წლის 30 დეკემბერს მ. მ-იანის ოფისში შემდგარ შეხვედრაზე ამ უკანასკნელმა ზემოაღნიშნული პირობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. 2006 წლის იანვრის შუა რიცხვებში შემდგარი შეხვედრის დროს მ. მ-იანს გადაეცა 2006 წლის 10 იანვრით დათარიღებული ანგარიშ-ფაქტურა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენ საჩივართან დაკავშირებით, საერთო თანხით 6 913 აშშ დოლარი. იქვე მიეთითა, რომ, თუ თანხა დაუყოვნებლივ დაიფარებოდა, მაშინ მხოლოდ 6 500 აშშ დოლარი იქნებოდა გადასახდელი. შესაბამისი საჩივრის პროექტი მ. მ-იანს ელექტრონული ფორმით გადაეგზავნა 2006 წლის 12 იანვარს.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 709-ე, 710-ე, 361-ე მუხლებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მ. მ-იანს კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" სასარგებლოდ დაეკისრა 4 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" სარჩელი შპს "ეი-ემ-ფეინენშლ გრუპის" მიმართ დავალების ხელშეკრულებისათვის გასამრჯელოს -6 913 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-იანმა (წარმომადგენლები: ნ. ს-ძე, თ. გ-ვა, ს. ჯ-ძე) მისთვის 4 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა აგრეთვე კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორებმა" (წარმომადგენლები: ა. ბ-ძე, ი. ყ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განჩინებით მ. მ-იანისა და კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება.

რამდენადაც სარჩელის დავის საგანს დავალების ხელშეკრულებისათვის გასამრჯელოს გადახდის დაკისრება წარმოადგენდა, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არსებითად მიიჩნია მხარეთა შორის დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადგენა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მ. მ-იანს არც საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას და არც სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ გაუხდია მასა და მოსარჩელეს შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმოწერის ფაქტი, არც საქმეში არსებული ელექტრონული წერილების შინაარსი და მათი ქართული თარგმანი. აღნიშნული გარემოება მოპასუხის წარმომადგენელმა საქმის სააპელაციო სასამართლოში გან-

ხილვის დროსაც დაადასტურა. ამდენად, უდავო იყო, რომ ელექტრონულ წერილებში გამოვლენილი ნება, რომელიც მოსარჩელესა და მ. მ-იანს შორის საქმიანი ურთიერთობის არსებობას ასაბუთებდა და სხვადასხვა იურიდიული მომსახურების განხორციელებაში გამოიხატებოდა, სწორედ ამ უკანასკნელის ნებას წარმოადგენდა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავო იყო ისიც, მ. მ-იანმა გამოხატა ნება მისი სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენაზე. ამ მიზნით გაცემულ რწმუნებულებაზე მ. მ-იანის ხელმოწერა და მისი შინაარსის ნამდვილობა მოპასუხეს სადავო არ გაუხდია არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო საჩივრით. მოპასუხის წარმომადგენელმა აღნიშნული სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროსაც დაადასტურა. მოცემულ შემთხვევაში სადავო მხოლოდ ის იყო, დაავალა თუ არა მ. მ-იანმა მოსარჩელეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენი საჩივრის მომზადება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლეოდა დასკვნის საფუძველს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენი საჩივრის მომზადების თაობაზე მოპასუხისათვის ცნობილი იყო და აღნიშნულზე მხარეთა შორის შეთანხმება არსებობდა.

საჩივრის მომზადებისა და მისი ტექსტის მიღების შემდგომ მ. მ-იანის უარი შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე სააპელაციო სასამართლომ შეაფასა არა როგორც ამ უკანასკნელის ნება ხელშეკრულების შეწყვეტაზე, არამედ მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის აღნიშნული ქმედების ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოვლენილ ნებად შეფასების პირობებშიც, სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელეს გააჩნდა საჩივრის შედგენისათვის ანაზღაურების მიღების უფლება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მარწმუნებელი ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გასამრჯელო ჩაითვლება უსატყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას - ჩვეულებრივი გასამრჯელო.

კონკრეტულ შემთხვევაში დავალების სახე, სირთულე, აგრეთვე ის, რომ გაწეული მომსახურება მოსარჩელისათვის ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენდა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქმნიდა საფუძველს, რომ მისი შესრულება მოსარჩელისათვის მხოლოდ გასამრჯელოთი იყო მოსალოდნელი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას დაწესებული ჰქონდა საათობრივი ნიხრი - გაწეული მომსახურებისათვის 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით. მოპასუხემ ვერ შეძლო აღნიშნულის საპირისპიროს დამტკიცება. რაც შეეხებოდა მ. მ-იანის წერილს, სადაც იგი ითხოვდა მიეწოდებინათ ინფორმაცია რა სახის სამუშაო შესრულდა და რა ხარჯი უნდა ანაზღაურებულიყო, მასში გამოვლენილი ნება სააპელაციო სასამართლომ იმგვარად განმარტა, რომ მხარეს სურდა მიეღო ინფორმაცია გაწეული მომსახურების საერთო გადასახდელი თანხისა და შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობის თაობაზე, რისი წინასწარ განსაზღვრაც, ბუნებრივია, ძნელი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მ. მ-იანისათვის დასაკისრებელი თანხა საათში 150 აშშ დოლარის ოდენობით განსაზღვრა, ხოლო საჩივრის მომზადებაზე დახარჯულ დროდ მოსარჩელის მიერ მითითებული დრო -30 საათი მიიჩნია, რამდენადაც ჩათვალა, რომ შესრულებული სამუშაოს მოცულობის, სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით დასახელებული დრო გონივრული იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" მსჯელობა, რომ არსებობდა მოპასუხისათვის დამატებით 2413 აშშ დოლარის დაკისრების საფუძველი და აღნიშნა, რომ კლიენტთან კომუნიკაცია, შეხვედრა და შემთხვევის მიმოხილვა არ შეიძლებოდა ისეთ საქმიანობად მიჩნეულიყო, რაზეც გასამრჯელო ითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად. რაც შეეხებოდა აუცილებელ ხარჯებს (მაგ: ტელეფონით საუბრის, ტრანსპორტით გადაადგილების), მათი გაწევის უტყუარად დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" მსჯელობა იმის შესახებ, რომ საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის შესაბამისად მომსახურების ფასი (ნიხრი) არ შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, არაპირდაპირია გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომ-

ხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მომწოდებელს ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისათვის იწოდება გადასახადის გადამხდელად. ამდენად, სწორედ მომსახურების გამწევმა უნდა ასახოს მომსახურების გაწევის ფასში დამატებითი ღირებულების გადასახადი და დღგ-თი გაზრდილი ფასით მოახდინოს მისი რეალიზაცია. ზემოთქმულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი მ. მ-იანისათვის დამატებით დღგ-ს თანხის დაკისრების თაობაზე დაუსაბუთებლად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა მ. მ-იანის პოზიციას, რომ სასამართლომ თანხის მისთვის, როგორც ერთ-ერთი მოპასუხისათვის დაკისრებით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი და მ. მ-იანს დააკისრა იმაზე მეტი, ვიდრე მოსარჩელე ითხოვდა, რამდენადაც მოსარჩელე მოთხოვნას აყენებდა მოპასუხეების მიმართ სოლიდარულად, რაც სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის საფუძველზე ნიშნავდა თითოეულის მიმართ შესრულების ერთჯერადად მოთხოვნას. ამდენად, მოთხოვნა მოსარჩელის მხრიდან მოთხოვნილი თანხის ფარგლებში წაყენებული იყო თითოეული მოპასუხის მიმართ სრულად, იმის გარკვევა კი, ვალდებულება ატარებდა თუ არა სოლიდარული ვალდებულების ხასიათს, წარმოადგენდა სასამართლოს შეფასების საკითხს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს საპროცესო ნორმა არ დაურღვევია, როცა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით თანხა მხოლოდ ერთ-ერთ მოპასუხეს დააკისრა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-იანმა (წარმომადგენელი ს. ჯ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მისი სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის მიზნით გაცემულ რწმუნებულებაზე მ. მ-იანის ხელმოწერა შეაფასა, როგორც მისი თანხმობა დავალების ხელშეკრულების დადებაზე, რაც არასწორია. სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულება ორმხრივ, კონსესუალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც რწმუნებულება მხოლოდ ცალმხრივი ნების გამოვლენას გულისხმობს. კონკრეტულ შემთხვევაში მ. მ-იანის ხელმოწერა რწმუნებულებაზე მინდობილობის გასაცემად იყო მიმართული, რომელიც მას არავითარ ვალდებულებებს არ დააკისრებდა.

რაც შეეხება დავალების ხელშეკრულებას, მისი დადებულად მიჩნევისათვის საჭიროა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ორი სუბიექტის ნების გამოვლენა (ოფერტი და აქცეპტი), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. გარდა ამისა, საგულისხმოა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი. კანონის აღნიშნული ნორმის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სადავო შემთხვევაში სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მხარეები შეთანხმდნენ დავალების ხელშეკრულების ისეთ არსებით პირობებზე, როგორიცაა: ვადა, გასამრჯელო, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების დარღვევის პირობები და სხვა.

გადაწყვეტილების მიღებისას დაირღვა საპროცესო სამართლის რიგი ნორმებიც, კერძოდ, შპს "ეი-ემ-ფაინენშლ გრუპის" მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ისე იქნა გამოტანილი, რომ მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ შუამდგომლობა სათანადო წესით არ დაუყენებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მხარეებს შუამდგომლობა შეუძლიათ დააყენონ სასამართლის მიერ სხდომის გახსნის შემდეგ, საქმის განხილვის დაწყებამდე. საქმის განხილვის მითითებულ სტადიაზე მოსარჩელებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე შუამდგომლობა არ დაუყენებიათ, დასახელებული მოთხოვნით მათ სასამართლოს რეპლიკის დროს მიმართეს, რაც არსწორია.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ივნისის სხდომაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

პროცესის მონაწილე მხარეები, ერთი მხრივ, კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორები", მათი წარმომადგენლები ი. ყ-შვილი და ალ. ბ-ძე, ხოლო, მეორე მხრივ, მ. მ-იანი, წარმომადგენელ ს. ჯ-ძის სახით, მორიგდნენ შემდეგზე:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ #ას-882-1094-08 საქმესთან დაკავშირებით მ. მ-იანი თანახმაა ამ აქტის გაფორმებიდან 2 კვირის (14 დღის) ვადაში გადაუხადოს კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორებს" მათ საბანკო ანგარიშზე 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

იმ შემთხვევაში, თუ მ. მ-იანი არ შეასრულებს ამ მორიგების აქტის პირობებს, სანქციის სახით მას დაეკისრება 4500 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება.

კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორების" საბანკო რეკვიზიტებია: "პროკრედიტბანკი", მელიქიშვილის განყოფილება, ანგარიშის #360 801 012 300 008. ბ/კ 220 101 922. კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორები".

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განჩინება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორს -მ. მ-იანს უნდა დაუბრუნდეს თ. გ-ვას მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -316 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ #ას-882-1094-08 საქმესთან დაკავშირებით მ. მ-იანი თანახმაა, ამ აქტის გაფორმებიდან 2 კვირის (14 დღის) ვადაში გადაუხადოს კს "ა-შვილი, ს. ა-გი, ბ-ძე და პარტნიორებს" მათ საბანკო ანგარიშზე 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

იმ შემთხვევაში თუ მ. მ-იანი არ შეასრულებს ამ მორიგების აქტის პირობებს, სანქციის სახით მას დაეკისრება 4500 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განჩინება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

4. მ. მ-იანს დაუბრუნდეს თ. გ-ვას მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -316 ლარი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-697-917-08

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ბ-შვილმა მოპასუხეების -სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისა" და სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" კახეთის რეგიონალური ფილიალის ყვარლის განყოფილების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თანამდებობაზე აღდგენა, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ მ. ბ-შვილი 1970 წლიდან მუშაობდა ყვარლის ელექტროკავშირის ატეხსში ინჟინრად, ხოლო შემდგომ სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" კახეთის რეგიონალური ფილიალის ყვარლის განყოფილებაში ცვლის ელექტრომექანიკოსად. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" კახეთის რეგიონალური ფილიალის უფროსის 2007 წლის 30 აპრილის ბრძანების საფუძველზე 2007 წლის 1 მაისიდან მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. დასახელებული ბრძანების საფუძველად მითითებულია სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" 2007 წლის 22 იანვრის #01-1/18 ბრძანებით კომპანიაში მიმდინარე რეორგანიზაცია.

მოსარჩელის მტკიცებით, ზემოაღნიშნული რეორგანიზაცია მის საშტატო ერთეულს არ შეეხებია, ცვლის ელექტრომექანიკოსის თანამდებობა არ გაუქმებულა.

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" კახეთის რეგიონალურ ფილიალსა და მ. ბ-შვილს შორის 2006 წლის 24 იანვარს დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს შრომითი ურთიერთობა გაუგრძელდა განუსაზღვრელი ვადით. სამსახურიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებით მ. ბ-შვილს მიადგა მორალური და მატერიალური (მიუღებელი ხელფასის სახით) ზიანი, რაც მოსარჩელის აზრით, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა.

მოგვიანებით მ. ბ-შვილმა სარჩელის მოთხოვნა გაზარდა და დამატებით მოითხოვა მგზავრობისა და ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა და მ. ბ-შვილს გაუგრძელდა შრომითი ურთიერთობა სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაში"; სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" დაეკისრა მ. ბ-შვილის სასარგებლოდ 2007 წლის 30 აპრილიდან შრომითი ანაზღაურების გადახდევინება სამსახურში აღდგენამდე, მასვე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯების -ადვოკატზე გაწეული ხარჯების 250 ლარის და მგზავრობის ხარჯების -120 ლარის ანაზღაურება; მ. ბ-შვილის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა -მოსარჩელეს უარი ეთქვა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" კახეთის რეგიონალური ფილიალის ყვარლის განყოფილების მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ბ-შვილი ცვლის ელექტრომექანიკოსის თანამდებობიდან გათავისუფლდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" კახეთის რეგიონალური ფილიალის უფროსის ბრძანების საფუძველზე 2007 წლის 1 მაისიდან. დადგენილად იქნა მიჩნეული ისიც, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" 2007 წლის 22 იანვრის #01-1/18 ბრძანება, რომლის შესაბამისად, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" სტრუქტურული ოპტიმიზაციის მიზნით, დამტკიცდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" თანდართული სტრუქტურა. ამას-

თან, აღნიშნული ბრძანება სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ფილიალებს არ ანიჭებდა თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უფლებამოსილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" კახეთის რეგიონალური ფილიალის უფროსი არ იყო უფლებამოსილი სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" 2007 წლის 22 იანვრის #01-1/18 ბრძანების საფუძველზე შეეწყვიტა შრომითი ურთიერთობა მ. ბ-შვილთან.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე ორგანიზაცია სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე დაყრდნობით ვალდებული იყო აენაზღაურებინა ხელშეკრულების არასწორი მოშლით დამდგარი ზიანი, რაც მისი მხრიდან 2007 წლის 30 აპრილიდან განაცდურ ხელფასში გამოიხატებოდა.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა საქალაქო სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მასზე მორალური ზიანის მიყენების ფაქტს ვერ აკონკრეტებდა.

გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. ბ-შვილის მოთხოვნა ფილიალის მიმართ. მისი მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა არ შეიძლებოდა მიმართული ყოფილიყო ცალკე საწარმოსა და ცალკე მისი ფილიალის მიმართ, რამდენადაც ფილიალი საწარმოს ნაწილია, რომელიც მოქმედებს მისი სახელით, საწარმო მთლიანად პასუხისმგებელია თავისი ფილიალის ვალდებულებებზე.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ბ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტი - შრომის ხელშეკრულების მოშლა. ამასთან, აღნიშნული გათავისუფლება განხორციელდა კომპანიის რეორგანიზაციიდან გამომდინარე და სტრუქტურული ოპტიმიზაციის მიზნით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტის მხრიდან ბრძანების გამოცემისას კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელშემწყობი მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს მეწარმის უფლებას, თავისი შეხედულებით შეარჩოს კონტრაქტი, აირჩიოს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის საგანი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე დაიქირაოს და შეწყვიტოს პირთან შრომითი ურთიერთობა. შრომითი სამართალურთიერთობები სამეწარმეო უფლებამოსილების განხორციელებისას ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. აღნიშნული თავისებურებები ვლინდება სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრების უფლების რეალიზაციაში, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება. ამ მიზნის მისაღწევად მას შეუძლია საკუთრებითი წესრიგის მართლზომიერი მართვა, რომლის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ მუშა-მოსამსახურეთა არჩევის უფლება, რომლებიც უზრუნველყოფენ მეწარმისათვის მოგების მიღებას. აღნიშნულის მსჯელობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მეწარმე უფლებამოსილი იყო საწარმოს მიზნებიდან გამომდინარე მის მიერ დაქირავებულ მუშაკთან შეეწყვიტა შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა ნებისმიერ დროს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე უფლებამოსილი იყო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით გაეთავისუფლებინა მოსარჩელე და ბრძანებაში გათავისუფლების ფაქტობრივი საფუძვლის მითითება არანაირ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემის თაობაზე და განმარტა, რომ პირის გათავისუფლების შესახებ ბრძანება არის გარიგება, რომელიც მიმართულია შრომითი სამართალურთიერთობის შეწყვეტისაკენ. სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დებს გარიგებას, მისი ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი პირის -სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" დირექტორის

მიერ გათავისუფლების ბრძანების გამოცემიდან მეორე დღეს მიღებულ იქნა ბრძანება, რომლითაც ფილიალების დირექტორებს უფლებამოსილება მიენიჭათ თითოეული მათგანის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის ფარგლებში თანამშრომელთა დანიშვნის, გათავისუფლებისა და საკადრო გადაადგილებების შესახებ მომზადებულ ბრძანებებზე ხელის მოწერაზე. აღნიშნულით და შემდგომში პროცესში მოპასუხედ და აპელანტად მონაწილეობით სს "საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ" თანხმობა განაცხადა გარიგებაზე.

ზემომოთხრობულ გარემოებებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის გათავისუფლებისას აპელანტის მხრიდან კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კასატორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, სასამართლო ახალ ფაქტებსა და ახალ მტკიცებულებებს არ მიიღებს, თუ მხარემ ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოში არასაკატიო მიზეზით არ წარადგინა. მოპასუხეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას წარედგინა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" გენერალური დირექტორის 2007 წლის 1 მაისის ბრძანება, თუმცა მას ამ უფლებით არ უსარგებლია. სასამართლოს მიერ აღნიშნული მტკიცებულების მიღებით გაიზარდა დავის საგანი, ხოლო მოსარჩელეს წარმოდგენილი მტკიცებულების გადამოწმების უფლება არ მიეცა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი. ამგვარი განმარტება მისაღებია კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, მაგრამ იგი არ გამოდგება მოპასუხე ორგანიზაციის მიმართ, რომლის საქმიანობის მიზანსაც არა კომერციული მოგება, არამედ საჯარო ინტერესების, მათ შორის, მუშაკთა შრომითი უფლებების დაცვა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 21 იანვრის სხდომაზე, მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

პროცესის მონაწილე მხარეები, ერთი მხრივ, სს "გაერთიანებული ტელეკომი", მისი წარმომადგენელი დ. მ-შვილი, ხოლო, მეორე მხრივ, მ. ბ-შვილი, მორიგდნენ შემდეგზე:

სს "გაერთიანებული ტელეკომი" გადაუხდის მ. ბ-შვილს 1 800 ლარს, წინამდებარე მორიგების აქტის ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში;

მ. ბ-შვილი უარს ამბობს სარჩელზე, რითაც წყდება სასამართლო დავა მხარეებს შორის;

მხარეები თანახმა არიან მათ შორის მიმდინარე სასამართლო დავა (საქმე #ას-697-917-08) დასრულდეს მორიგებით და შეწყდეს საქმის წარმოება, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მხარეები აფიქსირებენ, რომ მორიგების აქტის გაფორმების შემდეგ ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიას სასამართლო დავის საგანთან დაკავშირებით არ გამოთქვამენ.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

პროცესის მონაწილე მხარეები, ერთი მხრივ, სს "გაერთიანებული ტელეკომი", მისი წარმომადგენელი დ. მ-შვილი, ხოლო, მეორე მხრივ, მ. ბ-შვილი, მორიგდნენ შემდეგზე:

სს "გაერთიანებული ტელეკომი" გადაუხდის მ. ბ-შვილს 1 800 ლარს, წინამდებარე მორიგების აქტის ძალაში შესვლიდან (დამტკიცებიდან) ერთი თვის განმავლობაში;

მ. ბ-შვილი უარს ამბობს ამბობს სარჩელზე, რითაც წყდება სასამართლო დავა მხარეებს შორის.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-652-874-08

11 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ს-შვილმა და ც. ს-ძემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. ჩ-შვილის მიმართ შპს "საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" 2006 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმების, დავის არსებითად განხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ზემოხსენებული გადაწყვეტილებით ნ. ჩ-შვილის საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდა და თ. ს-შვილს დაეკისრა 27 803,76 ლარის, ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებლის -667,30 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონდარღვევით. საარბიტრაჟო დავა განიხილა არა იმ მისამართზე არსებულმა არბიტრაჟმა, რომელიც 2003 წლის 12 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში იყო მითითებული, არამედ სხვა ისეთმა არბიტრაჟმა, რომელიც მოსარჩელისათვის ცნობილი არ იყო. ამასთან, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2006 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებაში დაფიქსირებულია მესამე, განსახვავებული მისამართიც. დარღვეულია "კერძო არბიტრაჟის" შესახებ კანონის პირველი და მე-2 მუხლების მოთხოვნები, ვინაიდან მხარეთა შორის არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით საარბიტრაჟო შეთანხმება არ დადებულა. ასევე დაირღვა ამავე კანონის 29-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიც, რადგან საარბიტრაჟო განხილვის ადგილი მხარეთა შეთანხმებით არ განსაზღვრულა, კერძო არბიტრაჟმა თვითნებურად აირჩია საქმის განხილვის ადგილი. მართალია, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში დასახელებულია საქმის განხილვის ადგილი, თუმცა აღნიშნული მხარეთა შორის არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემის თაობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმების აუცილებლობას არ გამოორიცხავდა. საარბიტრაჟო სასამართლომ უგულებელყო "მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების" 21-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან საქმის განხილვას სხდომის მდივანი არ ესწრებოდა და არც სასამართლო სხდომის ოქმი არ შედგენილა. თ. ს-შვილის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სხდომის ოქმში

დაფიქსირებულიყო ნ. ჩ-შვილის აღიარება, რომ 2003 წლის 12 დეკემბერსა და 2003 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულებების გარდა მხარეთა შორის სხვა გარიგება არ დადებულია, ასევე ნ. ჩ-შვილმა არ უარყო, რომ თ. ს-შვილისაგან მიღებული ჰქონდა 5900 აშშ დოლარი. აღნიშნულ შუამდგომლობას არბიტრმა მოსამართლემ ყურადღება არ მიაქცია. სასამართლო სხდომის ოქმის არარსებობამ ხელი შეუწყო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არსწორი ფაქტების დაფიქსირებას და სასამართლომ ჩათვალა, რომ "მოპასუხის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი შეთანხმებით გაურკვეველია, თუ რომელი ხელშეკრულებიდან მომდინარე ვალდებულების შესასრულებლად გადაიხადა მოპასუხემ 4000 აშშ დოლარი 2005 წლის 15 აპრილს. რაც შეეხება 28 ივნისით დათარიღებული რიცხვებისა და თარიღების ჩამონათვალს, პრეტენდენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს თანხა, 1900 აშშ დოლარი, მოპასუხემ გადაიხადა სხვა სესხის ხელშეკრულების თანახმად". ფაქტობრივად, წერილობით შეთანხმებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ვალის გადახდა ხდება თ. ს-შვილსა და ნ. ჩ-შვილს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ანგარიშში. არბიტრმა აშკარად აუარა გვერდი თ. ს-შვილის მიერ 4000 აშშ დოლარის გადახდას და პრეტენდენტის სასარგებლოდ აღნიშნა, რომ გაურკვეველია, რომელი სესხის დასაფარად იქნა თანხა გადახდილი. საქმის განხილვისას დაირღვა "კერძო არბიტრაჟის დებულების" მე-9 მუხლის 9-11 და 9-13 პუნქტები. საარბიტრაჟო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი, ვინაიდან თ. ს-შვილს სადავო სესხი აღებული ჰქონდა აშშ დოლარით და, შესაბამისად, თანხაც აშშ დოლარით უნდა დაეფარა, თუმცა სასამართლომ მას სესხის ღირებულებით დაფარვა დააკისრა და არც გამოურკვევია, თუ რა კურსით გამოიანგარიშა სესხის ოდენობა. არბიტრმა სრულად გაიზიარა ნ. ჩ-შვილის ყველა მოთხოვნა და სათანადოდ არ შეაფასა თ. ს-შვილის წარდგენილი მტკიცებულებები. საარბიტრაჟო სასამართლომ თ. ს-შვილს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო დააკისრა და, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ მცირედ შეამცირა მისი ოდენობა. "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის მესამე პუნქტის დარღვევით, საარბიტრაჟო სასამართლომ მხარეებს წარუდგინათ არა "მუდმივმოქმედი არბიტრაჟის", არამედ საბანკო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავების განხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" დებულება, რაც ადასტურებს, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ საქმე განიხილა სხვა არბიტრაჟის დებულებით, რის შესახებ კანონით გათვალისწინებული შეთანხმება არ გაფორმებულა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის 43-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძველი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2006 წლის 21 მარტს სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების თანახმად, არბიტრაჟს შეეცვალა მისამართი. სარტბიტრაჟო საქმის განხილვა შედგა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ასახულია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში. საარბიტრაჟო განხილვის დროს არ დარღვეულა კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონის 29-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან არბიტრაჟმა იურიდიული მისამართი კანონით დადგენილი წესით შეიცვალა, ხოლო რაიმე ახალი შეთანხმების დადების საჭიროებას კანონი არ ითვალისწინებს. ამასთან, მხარეებს ეცნობათ დავის განხილვის დრო და ადგილი, რასთან დაკავშირებითაც მოსარჩელეს პრეტენზია არ გამოუთქვამს. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება სასამართლო სხდომის ოქმის არარსებობა, ვინაიდან 2004 წლის 30 იანვრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დებულებაში შესულია ცვლილება, რომლის თანახმად საარბიტრაჟო საქმის განხილვის დროს ოქმის წარმოება სავალდებულო არ არის. დაუსაბუთებელია სარჩელის მითითება, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ იხელმძღვანელა სხვა არბიტრაჟის დებულებით. არბიტრაჟმა რეგისტრაცია გაიარა 2000 წლის 15 ნოემბერს და ეწოდა "საბანკო, სამეწარმეო და სხვა სამოქალაქო დავების განხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟი", ხოლო 2002 წლის 24 ივნისს სამეწარმეო რეესტრში შესული ცვლილებით - "საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი".

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით თ. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის განჩინებით თ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2003 წლის 14 დეკემბერს თ. ს-შვილსა და ნ. ჩ-შვილს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, თ. ს-შვილმა ისესხა 3390 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი ექვსი თვის ვადით, ყოველთვიურად 3%-ის სარგებლის პირობით. მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლო განისაზღვრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,3%-ის ოდენობით. იმავე ხელშეკრულების მე-7 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტაზე არბიტრაჟის წესით. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა უნდა განიხილოს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟმა“, რომლის იურიდიული მისამართია თბილისი, ... ქ. #7. საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2006 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-შვი-

ლის პრეტენზია დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თ. ს-შვილს დაეკისრა ნ. ჩ-შვილის სასარგებლოდ 27 803,76 ლარის გადახდა. „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავის საარბიტრაჟო განხილვის საფუძველია მხარეთა წერილობითი შეთანხმება, ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს მუდმივმოქმედი ან ამ დავის გადასაწყვეტად საგანგებოდ შექმნილი დროებითი კერძო არბიტრაჟისათვის მიმართვის უფლების მოპოვება. სააპელაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლებელი იყოს როგორც მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულების ნაწილი, ისე დაიდოს დამოუკიდებელი ცალკე წერილობითი ხელშეკრულების სახით. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც ღმზარეები შეთანხმდნენ დავის გადასაწყვეტად მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, სრულად კმაყოფილებდა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნებს. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საარბიტრაჟო განხილვისას დაირღვა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნები და დავა განიხილა არბიტრაჟმა, რომელზედაც მხარეები არ შეთანხმებულან. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით, კერძოდ, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერისა და საგადასახადო ინსპექციის ბრძანებებით დაადგინა, რომ 2001 წლის 29 მარტს რეგისტრაციაში გატარდა „საბანკო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავების განმხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“, 2004 წლის 24 ივნისს სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საზოგადოებას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“, 2006 წლის 21 მარტს შეეცვალა საზოგადოების იურიდიული მისამართი და ასეთად აღინიშნა ქ. თბილისი, ... #16, X სართული, ოთახი #1020, 2006 წლის 24 ნოემბერს კი კვლავ შეიცვალა იურიდიული მისამართი და საზოგადოება განთავსდა ქ. თბილისში, ... ქ. #13-ში. აღნიშნული ცვლილებები გამოქვეყნდა პრესის საშუალებით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დადებული 2003 წლის 14 დეკემბერს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 7.1 პუნქტის თანახმად, დავა უნდა განეხილა შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟს“, რომლის იურიდიული მისამართი იყო ქ. თბილისი, ... ქ. #7. საზოგადოების იურიდიული მისამართი, ... ქ. #13, დარეგისტრირდა 2006 წლის 24 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლით და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო საქმის მასალების ასლებით 2006 წლის 9 ნოემბრის სხდომის შესახებ უწყებაში საარბიტრაჟო სხდომის ადგილად მითითებულია ქ. თბილისი, ... #16, მე-10 სართული, ოფისი #1020. თ.ს-შვილს ეცნობა 2006 წლის 16 ნოემბერს დანიშნული სხდომის თარიღი და ადგილი, ... ქ. #13, იგი წარმომადგენელთან ერთად საქმის განხილვაზე გამოცხადდა და მონაწილეობდა საარბიტრაჟო განხილვაში, ამასთან, საარბიტრაჟო განხილვის დროს მისი მხრიდან წერილობითი სახის შესაგებელი და პრეტენზია საარბიტრაჟო განხილვის ადგილის შესახებ, წარდგენილი არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა აპელანტ თ. ს-შვილის მითითება, რომ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით მხარეებს უნდა დაედოთ საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრავდნენ საარბიტრაჟო განხილვის წესს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მხარეებს შორის არსებობდა რაიმე სახის შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის განსხვავებულ წესზე და არბიტრაჟმა დავა განიხილა დებულების შესაბამისად. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო განხილვისას არ შედგა სხდომის ოქმი, რადგან „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით იმპერატიულად არ არის დადგენილი საარბიტრაჟო განხილვის დროს სხდომის ოქმის წარმოება, შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ პარტნიორთა 2004 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საზოგადოების წესდებაში შეტანილი ცვლილებით დებულების 21.1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: არბიტრაჟის სხდომის შესახებ როგორც წესი, ოქმი არ დგება. ოქმი შედგება, თუ ამას მოთხოვს პროცესში მონაწილე ყველა მხარე ან არბიტრაჟი, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩათვლის სხდომის ოქმის შედგენას. აღნიშნული ცვლილება გამოქვეყნდა პრესის საშუალებით. არბიტრაჟის დებულების 7.7 პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო უწყებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართული საბუთების ასლებთან ერთად, გზავნილი და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება. სააპელაციო პალატამ 2006 წლის 30 ნოემბერს თ.ს-შვილისათვის გზავნილთან ერთად არბიტრაჟის დებულების ჩაბარება დადასტურებულად მიიჩნია. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა თ.ს-შვილის მითითება მისთვის სხვა არბიტრაჟის დებულების გაცნობის თაობაზე, ვინაიდან შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“ და „საბანკო, სამეწარმეო და

სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავების განმხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟი" ერთი და იგივე იურიდიული პირია, ამასთან, პალატის მოსაზრებით, იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ დებულება მას გააცნეს ცვლილებების გარეშე, საქმეში წარმოდგენილი არ არის. სასამართლომ ჩათვალა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება აპელანტის მოსაზრება, რომ არბიტრაჟმა არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ვინაიდან „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 43-ე მუხლით ცალსახად დადგენილია ის საფუძველები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და შეცვლა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება თ. ს-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კერძო არბიტრაჟმა საქმე განიხილა "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის, სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა დარღვევით. მოცემული საარბიტრაჟო დავა განიხილა 2003 წლის 12 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებული არბიტრაჟისაგან განსხვავებულმა არბიტრაჟმა. "კერძო არბიტრაჟის" შესახებ კანონის პირველი და მე-2 მუხლების მოთხოვნების დარღვევით, მხარეთა შორის არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით საარბიტრაჟო შეთანხმება არ დადებულა. ასევე დაირღვა ამავე კანონის 29-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიც, რადგან საარბიტრაჟო განხილვის ადგილი მხარეთა შეთანხმებით არ განსაზღვრულა და კერძო არბიტრაჟმა თვითნებურად აირჩია იგი. მართალია, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში დასახელებულია საქმის განხილვის ადგილი, თუმცა აღნიშნული მხარეთა შორის არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემის თაობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმების აუცილებლობას არ გამორიცხავდა. საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვას სხდომის მდივანი არ ესწრებოდა და არც სასამართლო სხდომის ოქმი არ შედგენილა, რითაც უგულებელყოფილ იქნა "მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების" 21-ე მუხლის მოთხოვნა. თ.ს-შვილის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სხდომის ოქმში დაფიქსირებულიყო ნ. ჩ-შვილის აღიარება, რომ 2003 წლის 12 დეკემბერსა და 2003 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულებების გარდა მხარეთა შორის სხვა გარიგება არ დადებულა, ასევე ნ. ჩ-შვილმა არ უარყო, რომ თ.ს-შვილისაგან მიღებული ჰქონდა 5900 აშშ დოლარი. აღნიშნულ შუამდგომლობას არბიტრმა მოსამართლემ ყურადღება არ მიაქცია. სასამართლო სხდომის ოქმის არარასებობამ ხელი შეუწყო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორი ფაქტების დაფიქსირებას და სასამართლომ ჩათვალა, რომ "მოპასუხის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი შეთანხმებით გაურკვეველია, თუ რომელი ხელშეკრულებიდან მომდინარე ვალდებულების შესასრულებლად გადაიხადა მოპასუხემ 4000 აშშ დოლარი 2005 წლის 15 აპრილს. რაც შეეხება 28 ივნისით დათარიღებული რიცხვებისა და თარიღების ჩამონათვალს, პრეტენდენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს თანხა 1900 აშშ დოლარი, მოპასუხემ გადაიხადა სხვა სესხის ხელშეკრულების თანახმად". ფაქტობრივად, წერილობით შეთანხმებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ვალის გადახდა ხდება თ. ს-შვილსა და ნ. ჩ-შვილს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ანგარიშში. არბიტრმა აშკარად აუარა გვერდი თ.ს-შვილის მიერ 4000 აშშ დოლარის გადახდას და პრეტენდენტის სასარგებლოდ აღნიშნა, რომ გაურკვეველია, რომელი სესხის დასაფარად იქნა თანხა გადახდილი. საქმის განხილვისას დაირღვა "კერძო არბიტრაჟის დებულების" მე-9 მუხლის 9-11 და 9-13 პუნქტები. საარბიტრაჟო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი, ვინაიდან თ. ს-შვილს სადავო სესხი აღებული ჰქონდა აშშ დოლარით და, შესაბამისად, თანხაც ამავე ვალუტით უნდა დაეფარა, თუმცა სასამართლომ მას სესხის ლარით დაფარვა დააკისრა და არც გამოურკვევია, თუ რა კურსით გამოიანგარიშა სესხის ოდენობა. არბიტრმა სრულად გაიზიარა ნ. ჩ-შვილის ყველა მოთხოვნა და სათანადოდ არ შეაფასა თ.ს-შვილის წარდგენილი მტკიცებულებები. საარბიტრაჟო სასამართლომ თ.ს-შვილს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო დააკისრა და, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ მცირედ შეამცირა მისი ოდენობა. "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის მე-სამე პუნქტის დარღვევით, საარბიტრაჟო სასამართლომ მხარეებს წარუდგინათ არა "მუდმივმოქმედი არბიტრაჟის", არამედ საბანკო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავების განმხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" დებულება, რაც ადასტურებს, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ საქმე განიხილა სხვა არბიტრაჟის დებულებით, რის შესახებ კანონით გათვალისწინებული შეთანხმება არ გაფორმებულა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის 43-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძველი.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. თ. ს-შვილი კისრულობს ვალდებულებას, 2009 წლის 10 მაისამდე გადაუხადოს ნ. ჩ-შვილს 13 000 აშშ დოლარი, მორიგების გაფორმების დღისათვის არსებული კურსით -21 500 ლარი;

2. ზემოხსენებული თანხის გადაცემა/გადარიცხვა თ. ს-შვილისათვის განხორციელდება ერთჯერადად, მთლიანად და არა ნაწილ-ნაწილ.

3. ნ. ჩ-შვილი კისრულობს ვალდებულებას, თანხის სრულად მიღებისთანავე გააუქმოს 2003 წლის 12 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება;

4. იმ შემთხვევაში, თუ თ. ს-შვილი არ შეასრულებს მორიგების პირობებს, აღსრულდება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ს-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს ც. ს-ძის მიერ 2008 წლის 8 სექტემბერს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი, ასევე 2008 წლის 1 ოქტომბერს გადახდილი 1090,18 ლარი, სულ -1390,18 ლარი. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება თ. ს-შვილსა და ნ. ჩ-შვილს შორის შემდეგი პირობებით:

1. თ. ს-შვილი კისრულობს ვალდებულებას, 2009 წლის 10 მაისამდე გადაუხადოს ნ. ჩ-შვილს 13 000 აშშ დოლარი, მორიგების გაფორმების დღისათვის არსებული კურსით -21 500 ლარი;

2. ზემოხსენებული თანხის გადაცემა/გადარიცხვა თ. ს-შვილისათვის განხორციელდება ერთჯერადად, მთლიანად და არა ნაწილ-ნაწილ.

3. ნ. ჩ-შვილი კისრულობს ვალდებულებას, თანხის სრულად მიღებისთანავე გააუქმოს 2003 წლის 12 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება;

4. იმ შემთხვევაში, თუ თ. ს-შვილი არ შეასრულებს მორიგების პირობებს, აღსრულდება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება.

შეწყდეს საქმის წარმოება თ. ს-შვილის სარჩელის გამო ნ. ჩ-შვილის მიმართ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

კასატორ თ. ს-შვილს დაუბრუნდეს ც. ს-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 1390,18 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-1040-1232-08

16 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სსიპ ქ. თბილისის 59-ე საჯარო სკოლის დირექტორ თ.კ-ძის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

2007 წლის 10 მაისს ლ. კ-იას წარმომადგენელ ე. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ქ. თბილისის სსიპ 59-ე საჯარო სკოლის მიმართ და მოითხოვა 2007 წლის 10 აპრილის #53 ბრძანების უკანონოდ ცნობა და მოსარჩელის პირვანდელი უფლების აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. სსიპ ქ. თბილისის 59-ე საჯარო სკოლის დირექტორის 207 წლის 10 აპრილის #53 ბრძანება ცნობილ იქნა უკანონოდ, აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა და ლ. კ-იას გაუგრძელდა შრომითი ურთიერთობა თბილისის 59-ე საჯარო სკოლაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის სსიპ 59-ე საჯარო სკოლამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით ქ. თბილისის სსიპ 59-ე საჯარო სკოლამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით. თბილისის სსიპ 59-ე საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2009 წლის 11 თებერვალს ქ. თბილისის სსიპ 59-ე საჯარო სკოლის დირექტორმა თ.კ-ძემ წარმოადგინა განცხადება, რომლითაც უარი თქვა საკასაციო საჩივარზე.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განცხადებას და მიაჩნია, რომ საქმის საკასაციო წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია, სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შემდეგაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

განსახილველ საქმეზე რ. ჩ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს სსსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებამდე და მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. თბილისის სსიპ 59-ე საჯარო სკოლის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, ამ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება და კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ქ. თბილისის სსიპ 59-ე საჯარო სკოლას განემარტოს, რომ მას ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

ქ. თბილისის სსიპ 59-ე საჯარო სკოლის დირექტორ თ.კ-ძის განცხადება დაკმაყოფილდეს; შეწყდეს ამ საქმეზე საკასაციო წარმოება;
კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -300 ლარი საქართველოს სახელმწიფო ბაზინის (კოდი:220101222) საბიუჯეტო შემოსავლების #300773150 სახაზინო კოდით #200122900 ანგარიშ იდან;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-778-993-08

27 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1997 წელს ქ. ბ-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს გ. ჩ-ძის მიმართ და მოითხოვა შინაურული ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა და თბილისში, ... ქ. #118-ში მდებარე სახლის 40 კვ. მ-ის ორი ოთახის მესაკუთრედ აღიარება იმ საფუძველით, რომ მამამისმა -ფ. ბ-იამ 1941 წლის 5 თებერვალს სახლის მამზინდელი მესაკუთრის -გ. ჩ-ძისაგან შეიძინა აღნიშნული ოთახები, რაზეც გაფორმდა შინაურული ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება დადგენილი წესით ვერ მოხერხდა ფ. ბ-იას გარდაცვალების გამო. 1941 წლიდან მოყოლებული მისი ოჯახი ცხოვრობდა სადავო ოთახებში, იხდიდა კომუნალურ გადასახადებს. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მამამისს -უფროს გ. ჩ-ძეს აღნიშნულ ფართობი მათთვის არ მიუყიდა და ქ. ბ-ია და მისი ოჯახის წევრები, მართალია, 1941 წლიდან ცხოვრობენ სადავო ფართში, მაგრამ მდგმურის უფლებით.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოების მიერ და ბოლოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ბ-იას სარჩელი, თბილისში, ... ქ. #16-ში მდებარე სახლის 40 კვ. მ-ის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად და ამ ფართის მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2001 წლის ნოემბერში ქ. ბ-იამ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გ. ჩ-ძის მიმართ და აღნიშნა, რომ "საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, თვითონ და მ. ბ-ია თავის ქმარ-შვილთან ერთად ცნობილ იქნენ თბილისში, ქ. #16-ში, მის მფლობელობაში არსებული 40 კვ.მ ფართის ორი ოთახის მოსარგებლედ. შესაბამისად, მითითებული კანონის თანახმად, მოსარჩელემ მოითხოვა გ. ჩ-ძის გამოსახლება მისი ბინიდან და სადავო ფართში ყოველგვარი მშენებლობის შეჩერება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ბ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2003 წლის 21 ოქტომბერს გ. ჩ-ძემ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების მ. ბ-იასა და ბადრი კ-შვილის მიმართ და სამოქალაქო კოდექსის 170ე-მუხლის საფუძველზე, მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, ... ქ. #16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის სარდაფის სართულიდან მოპასუხეთა გამოსახლება ოჯახის წევრებთან ერთად.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ბ-ია და ბადრი კ-შვილი მასთან მცხოვრებ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნენ გ. ჩ-ძის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, ... ქ. #16-ში მდებარე სახლის სადავო ფართიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ბ-იამ და ბადრი კ-შვილმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით აღნიშნულ საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება აპელანტების მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

2006 წლის 16 მარტს მ. ბ-იამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე გ. ჩ-ძის მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა იმ საფუძვლით, რომ მამიდამისი ქ. ბ-ია 1951 წლიდან მუდმივად ჩაეწერა და გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში, ... ქ. #16-ში მდებარე სახლის პირველ სართულზე მდებარე ორ ოთახში, 40 კვ. მ-ში, რომელიც პაპამისმა ფ. ბ-იამ 1941 წლის 5 თებერვალს შინაურული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა გ. ჩ-ძისაგან (უფროსი). ქ. ბ-ია გარდაიცვალა 2003 წლის 24 სექტემბერს.

მოსარჩელის განმარტებით, 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ ბინაში. 2000 წლის 5 იანვარს ქ. ბ-იამ მთელი თავისი ქონება, მათ შორის, აღნიშნული ბინაც მას უანდერძა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ბ-იამ, როგორც ქ. ბ-იას უფლებამონაცვლემ, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სადავო საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 70000 ლარის 10%-ის _7000 ლარის მოპასუხისათვის გადახდის სანაცვლოდ, მოითხოვა მოპასუხის მიერ დაკავებულ საცხოვრებელი სახლის #4 და #5 ოთახებზე საკუთრების უფლების გამოცემა. ამასთან, მოსარჩელემ მიუთითა, რომ სადავო საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდის შემთხვევაში, გაათავისუფლებდა სადავო ფართს.

მ. ბ-იამ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მოითხოვა ასევე თბილისში, ... ქ. #16-ში სარდაფ სართულში მდებარე #6 ოთახის მესაკუთრედ ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მარტის საოლქო განჩინებით მოპასუხე გ. ჩ-ძე შეიცვალა მისი საპროცესო უფლებამონაცვლე -ვ. ქ-შვილით, ვინაიდან სადავო ფართის მესაკუთრე 2007 წლის 12 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გახდა ვ. ქ-შვილი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ თავის დროზე ქ. ბ-იამ იმავე საფუძვლით და იმავე საგანზე, რაც მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაშია მითითებული, უკვე მიმართა სასამართლოს, რაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით არ დაკმაყოფილდა.

მოპასუხის განმარტებით, ქ. ბ-ია არც ერთი სასამართლო გადაწყვეტილებით სადავო ფართის მესაკუთრედ ან მოსარგებლედ ცნობილი არ ყოფილა და, შესაბამისად, მის სამკვიდრო მასაში ვერ შევიდოდა ის უფლება, რაც მამკვიდრებელს გააჩნდა. სასამართლოს გადაწყვეტილებას გააჩნია პრეიუდიციული მნიშვნელობა, ვინაიდან დადგენილია ის ფაქტი, რომ მ. ბ-ია ქ. ბ-იას უფლებამონაცვლეს არ წარმოადგენდა და შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდებოდა "საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. კ-შვილის (ბ-ია) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. კ-შვილის ცნობილ იქნა თბილისში, ... #16-ში მდებარე #4, #5 და #6 ოთახების მესაკუთრედ ვ. ქ-შვილი-სათვის 7000 ლარის გადახდის შემდეგ, ვ. ქ-შვილს მ. კ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 1750 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სადავო საცხოვრებელი ფართი სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე, მარტივი წერილობითი ფორმით შედგენილი გარიგებით 1941 წლის 5 თებერვალს ფ. ბ-იამ შეიძინა გ. ჩ-ძისაგან 13 000 მანეთად. (აღნიშნული ფაქტი დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითა და ასევე, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით);

შინაურული ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის შემდეგ ფ. ბ-ია გარდაიცვალა;

ფ. ბ-იას გარდაცვალების შემდეგ სადავო საცხოვრებელ სადგომს ფლობდა და გარდაცვალებამდე ამ ფართით სარგებლობდა მისი შვილი -ქ. ბ-ია;

მოპასუხის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ დავაზე საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან ქ. ბ-იამ თავის დროზე იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე, რაც მ. ბ-იას სარჩელშია მითითებული, უკვე მიმართა სასამართლოს და მისი მოთხოვნა სადავო ფართის

მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ არ გაიზიარა შემდეგი საფუძვლით:

სასამართლოს აზრით, მართალია მ. ბ-ის მოთხოვნა იყო ქ. თბილისში, ... #16-ში მდებარე ფართის მესაკუთრედ ცნობა, მაგრამ აღნიშნული მოთხოვნა ემყარებოდა სხვა საფუძველს, კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვდა სადავო ფართის მესაკუთრედ ცნობას "საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე მესაკუთრისათვის სადავო ფართის საბაზრო ღირებულების 10%-ის გადახდის სანაცვლოდ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. ბ-ის სარჩელი აღნიშნულ ნორმას არ ეფუძნებოდა, ვინაიდან მითითებული ნორმა კანონში შესულია 2005 წლის 30 ივნისიდან;

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფ. ბ-იასა და გ. ჩ-მეს შორის სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დაიდო საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულება, მოცემული საქმის განხილვისას პრეიურდიციული ძალა გააჩნდა.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ქ. ბ-იასათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ვერ გაბათილებდა ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სამართლებრივი ნორმა "საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის იმ დროს მოქმედი რედაქცია, რომელსაც დაეფუძნა პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოები და შესაბამისად, აღარ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საფუძველები;

მოპასუხის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ბ-ია არ იყო ქ. ბ-ის უფლებამონაცვლე და მასზე ვერ გავრცელდებოდა "საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონი, რადგან გადაწყვეტილებით აღნიშნული პრეიურდიციულად იყო დადგენილი, სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით პრეიურდიციული მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და არა სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა სამოტივაციო ნაწილში მითითებული მსჯელობა მ. ბ-ის უფლებამონაცვლეობის შესახებ;

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება ქ. ბ-ის ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ქ. ბ-ია არ იყო სადავო საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრე, ვერ გამოიწვევდა მითითებული ანდერძის ბათილობას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ბ-ის მიერ აღნიშნული ფართის სარგებლობის უფლება იყო მის სამკვიდროში შემავალი უფლება და სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლის საფუძველზე, მისი გარდაცვალების შემდეგ იგი გადაეცა მემკვიდრეს -მ. ბ-იას;

სასამართლომ აზრით, ის გარემოება, რომ სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ მისი გასხვისების დროს რეგისტრირებული იყო გ. ჩ-მე და ვ. ქ-შვილი არის სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენი, ვერ გახდებოდა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი;

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხე -სადავო საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრე უარს აცხადებდა მოსარჩელის უფლებამონაცვლისათვის სადავო ფართის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდაზე, მოსარჩელის მოთხოვნა ამ ფართის საბაზრო ღირებულების 10%-ის გადახდის სანაცვლოდ მისი მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილებულიყო;

სასამართლომ მ. ბ-იას მოთხოვნა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების 3000 ლარის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლოდ მიიჩნია;

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ქ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით ვ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების მიმართ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ გამო-

იკვლია და სრულყოფილად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ქ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორის აზრით, როგორც პირველი ინსტანციის ისე სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებები იურიდიულად არასაკმარისად დაასაბუთეს და გამოიტანეს კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

სასამართლომ უგულებელყო მტკიცებულებები და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არასწორად შეაფასა, კერძოდ, ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც მოცემულ საქმეზე იქნა გამოტანილი და შესულია კანონიერ ძალაში.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, აღნიშნულის სანაცვლოდ მას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით და აღნიშნულ საქმეზე შეეწყვიტა საქმის წარმოება, ვინაიდან უკვე არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმევე დავაზე და იმავე საფუძვლით.

კასატორის აზრით, სასამართლო გასცდა განსახილველ საქმეს და გადაწყვეტილებაში იმსჯელა იმ საკითხზე, რომელიც მას არ დაუყენებია, კერძოდ, ანდერძის ბათილობასთან დაკავშირებით, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა და მხარეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია

ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ვ. ქ-შვილი სადავო ფართის კეთილსინდისიერი შემმენი იყო.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას 2008 წლის 27 თებერვალს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი შემდეგი პირობებით:

- ვ. ქ-შვილი კისრულობს ვალდებულებას მორიგების აქტის ხელმოწერისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის მიერ მისი დამტკიცების დღიდან ერთი თვის განმავლობაში გადაუხადოს მ. კ-შვილს (ქორწინებამდე არსებული გვარი ბ-ია) 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით, ვ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებულ სადავო ფართზე მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახების #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 კვ. მ-ზე მ. კ-შვილის მიერ ვ. ქ-შვილის სასარგებლოდ ნებისმიერი უფლების დათმობის სანაცვლოდ.

- 2. მ. კ-შვილი ვ. ქ-შვილისაგან თანხის 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით მიღების სანაცვლოდ კარგავს ნებისმიერ უფლებას სადავო, ვ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებულ ფართზე მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახების #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 კვ. მ-ზე და ეს უფლებები, რა სახისაც არ უნდა იყოს ისინი, გადადის ვ. ქ-შვილზე და აღნიშნულ უძრავი ქონება იქნება უფლებრივად უნაკლო.

- 3. აღნიშნული თანხის 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით ამ მორიგების აქტით დადგენილ ვადაში ვ. ქ-შვილის მიერ არ გადახდის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით ერთი თვის განმავლობაში უხდის მ. კ-შვილს გადასახდელი თანხის 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო აღნიშნული დამატებით ერთიანი ვადის გასვლის შემდეგ თანხის არ გადახდის შემთხვევაში კარგავს თავის საკუთრების უფლებას სადავო ფართზე და ეს ფართი ხდება მ. კ-შვილის საკუთრება. ამასთან თუ ნებისმიერი მიზეზით მ. კ-შვილმა თავი აარიდა თანხის მიღებას ვ. ქ-შვილი უფლებამოსილია გადასახდელი თანხა შეიტანოს ნებისმიერი ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე და ამით მის მიერ სრულად და ჯეროვნად შესრულებულად ჩაითვლება მის მიერ ამ მორიგების აქტით აღებული ვალდებულება - მ. კ-შვილზე 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდა.

- 4. ვ. ქ-შვილის მიერ მ. კ-შივლიზე თანხის 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში მ. კ-შივლიზე გადახდისთანავე მ. კ-შივილი და მასთან მცხოვრები პირები ვალდებული არიან 30 კალენდარული დღის ვადაში გამოათავისუფლონ სადავო ფართი მდებარე ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახები #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 და ეს ფართი ვ. ქ-შივლის გადასცენ გამოათავისუფლებულ მდგომარეობაში. მ. კ-შივლის მიერ აღნიშნული ფართის 30 კალენდარული დღის ვადაში გამოუთავისუფლების შემთხვევაში ამ მორიგების აქტის საფუძველზე მიღებული განჩინება ვ. ქ-შივლის სასარგებლოდ დაუყოვნებლივ მიექცეს აღსასრულებლად იმ მიმართებით, რომ მ. კ-შივილი და მასთან მცხოვრები პირები როგორც საკუთრებაში არსებულ ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახები #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 კვ.მ ფართიდან და აღნიშნული ფართი ვ. ქ-შივლის გადაეცეს გამოათავისუფლებულ მდგომარეობაში. ამასთან ვ. ქ-შივილი უფლებამოსილია, აგრეთვე, როგორც ფართში უკანონოდ მყოფნი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით გამოასახლოს მ. ბ-ია და მასთან მცხოვრები პირები ვ. ქ-შივლის საკუთრებაში არსებულ ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახები #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 კვ.მ ფართიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების პირობებს, თვლის რომ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება მხარეთა უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 100 ლარს. ამავე კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან სასამართლო ხარჯების ოდენობა უნდა განახვევდეს, შესაბამისად, კასატორ ვ. ქ-შივლის უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -100 ლარის ნახევარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით, 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, 273-ე, 399-ე, 372-ე, 49-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

- ვ. ქ-შივილი კისრულობს ვალდებულებას მორიგების აქტის ხელმოწერისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ მისი დამტკიცების დღიდან ერთი თვის განმავლობაში გადაუხადოს მ. კ-შივლის (ქორწინებამდე არსებული გვარი ბ-ია) 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით ვ. ქ-შივლის საკუთრებაში არსებულ სადავო ფართზე მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახების #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 კვ. მ-ზე მ. კ-შივლის მიერ ვ. ქ-შივლის სასარგებლოდ ნებისმიერი უფლების დათმობის სანაცვლოდ.

- 2. მ. კ-შივილი ვ. ქ-შივლისაგან თანხის 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით მიღების სანაცვლოდ კარგავს ნებისმიერ უფლებას სადავო ვ. ქ-შივლის საკუთრებაში არსებულ ფართზე მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #16

არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახების #4-20.35 კვ.მ #5 - 13.64 კვ.მ #6-4.22 კვ. მ-ზე და ეს უფლებები რა სახისაც არ უნდა იყოს ისინი გადადის ვ. ქ-შილზე და აღნიშნულ უძრავი ქონება იქნება უფლებრივად უნაკლო.

- 3. აღნიშნული თანხის 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით ამ მორიგების აქტით დადგენილ ვადაში ვ. ქ-შილის მიერ არ გადახდის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით ერთი თვის განმავლობაში უხდის მ. კ-შილს გადასახდელი თანხის 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო აღნიშნული დამატებით ერთიანი ვადის გასვლის შემდეგ თანხის არ გადახდის შემთხვევაში კარგავს თავის საკუთრების უფლებას სადაო ფართზე და ეს ფართი ხდება მ. კ-შილის საკუთრება. ამასთან თუ ნებისმიერი მიზეზით მ. კ-შილმა თავი აარიდა თანხის მიღებას ვ. ქ-შილი უფლებამოსილია გადასახდელი თანხა შეიტანოს ნებისმიერი ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე და ამით მის მიერ სრულად და ჯეროვნად შესრულებულად ჩაითვლება მის მიერ ამ მორიგების აქტით აღებული ვალდებულება - მ. კ-შილზე 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდა.

- 4. ვ. ქ-შილის მიერ მ. კ-შილზე თანხის 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში მ. კ-შილზე გადახდისთანავე მ. კ-შილი და მასთან მცხოვრები პირები ვალდებულნი არიან 30 კალენდარული დღის ვადაში გამოათავისუფლონ სადავო ფართი მდებარე ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახები #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 და ეს ფართი ვ. ქ-შილს გადასცენ გამოათავისუფლებულ მდგომარეობაში. მ. კ-შილის მიერ აღნიშნული ფართის 30 კალენდარული დღის ვადაში გამოათავისუფლების შემთხვევაში ამ მორიგების აქტის საფუძველზე მიღებული განჩინება ვ. ქ-შილის სასარგებლოდ დაუყოვნებლივ მიექცეს აღსასრულებლად იმ მიმართებით, რომ მ. კ-შილი და მასთან მცხოვრები პირები როგორც საკუთრებაში არსებულ ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახები #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 კვ.მ ფართიდან და აღნიშნული ფართი ვ. ქ-შილს გადაეცეს გამოათავისუფლებულ მდგომარეობაში. ამასთან ვ. ქ-შილი უფლებამოსილია, აგრეთვე, როგორც ფართში უკანონოდ მყოფნი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით მოასახლოს მ. ბ-ია და მასთან მცხოვრები პირები ვ. ქ-შილის საკუთრებაში არსებულ ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახები #4-20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6-4.22 კვ.მ ფართიდან.

2. მოცემულ საქმეზე, მხარეთა მორიგების გამო შეწყდეს საქმის წარმოება;

3. გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება;

4. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;

5. ვ. ქ-შილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი -50 ლარის ოდენობით;

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო

განჩინება

#3კ-381-02

5 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან საერთო სარგებლობის გზის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 3 ოქტომბერს ვ. ლ. ზ. მ-შვილებმა და სხვებმა სარჩელით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ი. მ-შვილის მიმართ და აღნიშნეს, რომ სოფელ დიგში 1992 წელს პრივატიზაციის გამოცხადებასთან დაკავშირებით განაწილდა მიწის ნაკვეთები. ი. მ-შვილს მიწის ნაკვეთი გამოუყვეს ქ. მ-შვილის მიწის ნაკვეთის დასავლეთით, რომელმაც მიწა 1987 წელს მიიღო. 1999 წელს ი. მ-შვილმა მიწის ნაკვეთი გაუცვალა ქ. მ-შვილს, რაზეც შედგა აქტი, მაგრამ კანონით დადგენილი წესით არ მომხდარა ამ ფაქტის გაფორმება. საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთები აღნიშნულ პირებზე არ იყო რეგისტრირებული. მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. მ-შვილისა და ი. მ-შვილის მიწის ნაკვეთებს შორის მდებარეობს საუბნო გზა, რომელიც თვითნებურად დაიკავა მოპასუხემ და მოსარჩელებს არ აძლევს ამ გზით სარგებლობის უფლებას. ზემოაღნიშნულის გამო, მოსარჩელებმა მოითხოვეს ი. მ-შვილისაგან უკანონო მფლობელობიდან საერთო სარგებლობის გზის გამოთხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. ლ. ზ. მ-შვილებისა და სხვების სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 19 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საოლქო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ლ. ზ. მ-შვილებმა და სხვებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, კასატორთა წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე და მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება იმ საფუძველზე, რომ გორის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციული წესით იხილებოდა საქმე, რომლის შედეგსაც არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა განსახილველი დავისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 13 სექტემბრის საოქმო განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შეჩერდა საქმის წარმოება მ-შვილების სარჩელზე გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე.

გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. და ლ. მ-შვილების სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2001 წლის 14 ნოემბერს გაცემული ცნობა #280 მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით, ცვლილება შევიდა მიწის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულ იქნა ქ. მ-შვილსა და ი. მ-შვილს შორის და ნაცვლად 2917 კვ. მ-ისა, დაფიქსირდა -0,25 ჰა მიწის ნაკვეთი, ი. მ-შვილს დაევალა გორის რაიონის სოფელ . . . , ბაღის მიმდებარე მდებარე 11 მეტრი სიგანისა და 118 მეტრი სიგრძის მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლება, ცვლილება შევიდა ი. მ-შვილის მიმართ გაცემულ საკადასტრო რუკაში, ნაცვლად 2917 კვ. მ-ისა, დაფიქსირდა 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გორის რაიონის სოფელ . . . საკრებულომ და ი. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 მაისის განჩინებით ი. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ივნისის განჩინებით ი. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი

და, შესაბამისად, კანონიერ ძალაში შევიდა გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ლ. მ-შვილისა და სხვების წარმომადგენელმა ლ. ქ-ქემ და მოითხოვა შეჩერებული საქმის წარმოების განახლება და საქმის შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 6 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დამთავრდა დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, რაც უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების გზით იხილებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის საოქმო განჩინებით განახლდა საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე. სარჩელი იგივე, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა, სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენდა ი. მ-შვილის უკანონო მფლობელობაში არსებული საერთო სარგებლობის გზის გამოთხოვა. ხოლო, გორის რაიონული სასამართლოში კი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იმავე მხარეებს შორის განხილულ იქნა დავა, სადაც სხვა მოთხოვნებთან ერთად დავის ერთ-ერთ საგანს მხარეებს შორის წარმოადგენდა ი. მ-შვილისაგან საერთო სარგებლობის გზის მიწის ნაკვეთის გამოთხოვა, რაც 2003 წლის 6 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. ვინაიდან ორივე შემთხვევაში მონაწილობდნენ იგივე მხარეები, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, კერძოდ, ლ. მ-შვილისა და სხვათა საკასაციო საჩივარი ეხება ი. მ-შვილისაგან უკანონო მფლობელობიდან საერთო სარგებლობის გზის მიწის ნაკვეთის გამოთხოვას, რაც გორის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ი. მ-შვილისაგან გამოთხოვილ იქნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ლ. მ-შვილისა და სხვების საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შეწყდეს საქმის წარმოება ლ. მ-შვილისა და სხვათა საკასაციო საჩივარზე;
2. გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო

განჩინება

#ას-950-1153-08

10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. შ-ევამ მოპასუხეების – ნოტარიუს ე. შ-შვილისა და ნ. მ-ავას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 2003 წლის 8 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხისაგან ისესხა 3000 აშშ დოლარი და ვალდებულების უზრუნველსაყოფად შესთავაზა კუთვნილი საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვა. ნ. მ-ავამ ისარგებლა იმით, რომ იგი არ ფლობდა სახელმწიფო ენას და სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნაცვლად ნასყიდობის ხელშეკრულებას მოაწერინა ხელი. მოსარჩელე აგრეთვე მიუთითებს, რომ ნოტარისმა ე. შ-შვილმა დაარღვია მოქმედი კანონმდებლობა, რადგან საანოტარო მოქმედება შეასრულა თარჯიმნის მონაწილეობის გარეშე. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ არსებობს 2003 წლის 8 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც თვალთმაქცური გარიგების, ბათილობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. შ-ევას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა თბილისში, ... ქ. #23-ში მდებარე, ნ. მ-ავას საკუთრებაში არსებულ 212 კვ.მ მიწის ნაკვეთს. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ხელშეკრულება მოტყუებით დადებული გარიგებაა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. სასამართლომ დადგინდა ცნო, რომ ნ. მ-ავა თავად იყო ლ. შ-ევას მოვალე და არა მის კრედიტორი, როგორც მოსარჩელე აღნიშნავდა. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მან არ იცის სახელმწიფო ენა და ვერ გაეცნო ხელშეკრულების შინაარსს, რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე დაიბადა და გაიზარდა თბილისში, სკოლაში შესწავლილი აქვს სახელმწიფო ენა, ამასთან, დადებული აქვს არაერთი ხელშეკრულება ქართულ ენაზე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. შ-ევამ (წარმომადგენელი პ. კ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მას და ნ. მ-ავას შორის 2003 წლის 8 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, აგრეთვე, სადავო უძრავი ქონების მის საკუთრებაში აღრიცხვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განჩინებით ლ. შ-ევას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება ლ. შ-ევამ (წარმომადგენელი პ. კ-ძე) საკასაციო წესით გაასაჩივრა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის სხდომაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

1. ნ. მ-ავა თანახმაა, გადაუხადოს ლ. შ-ევას არაუგვიანეს 2009 წლის 10 მაისისა 5000 აშშ დოლარი, რომელშიც შედის 2000 აშშ დოლარი ვალი;

2. ლ. შ-ევა 5000 აშშ დოლარის მიღებიდან ორი კვირაში ვალდებულია, დაცალოს ქ. თბილისში, ... #23-ში მდებარე უძრავი ქონება და თავისუფალ მდგომარეობაში გადასცეს ნ. მ-ავას;

3. ნ. მ-ავას მიერ 5000 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში გადასახდელ თანხას დაერიცხება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. ნ. მ-ავა თანახმაა, ლ. შ-ევას არაუგვიანეს 2009 წლის 10 მაისისა გადაუხადოს 5000 აშშ დოლარი, რომელშიც შედის 2000 აშშ დოლარი ვალი;

2. ლ. შ-ევა 5000 აშშ დოლარის მიღებიდან ორი კვირაში ვალდებულია დაცალოს ქ. თბილისში, ... ქ. #23-ში მდებარე უძრავი ქონება და თავისუფალ მდგომარეობაში გადასცეს ნ. მ-ავას;

3. ნ. მ-ავას მიერ 5000 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში გადასახდელ თანხას დაერიცხება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1% ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, შეწყდეს საქმის წარმოება და გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-823-1038-08

20 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 26 დეკემბერს ღია სააქციო საზოგადოება "ეფირნოეს" წარმომადგენელმა ვ. ტ-მემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს "ჯი-თი-სი & კომპანის" მიმართ და მოითხოვა ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის გამო (რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის არამართლზომიერი გამოყენება) მოპასუხი-

სათვის ყველა გამოსახულების, ეტიკეტის ანაბეჭდის, შეფუთვის, სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო რადგან სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, ამ საქონლის განადგურებაც სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე. მოსარჩელემ სხდომაზე დაზუსტებული სარჩელით ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით მის სასარგებლოდ 160000 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელის განმარტებით, რუსეთში, ბელგოროდის ოლქის ქ. ალექსეევკაში, ... ქ. #2-ში მდებარე ღსს "ეფირნოე" ამზადებს და სარეალიზაციო ქსელში უშვებს მაიონეზს "სლობოდას", რომლის სასაქონლო ნიშანი დადგენილი წესით რეგისტრირებულია საქართველოში და ძალაშია 2004 წლის 9 ივლისიდან 10 წლის ვადით. აღნიშნული პროდუქცია დამსახურებული პოპულარობით, ხოლო ღსს "ეფირნოეს" სასაქონლო ნიშანი კარგი რეპუტაციით სარგებლობს, როგორც რუსეთში, ასევე სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, საქართველოშიც, რაც განპირობებულია მისი მაღალი ხარისხით.

2007 წლის ივნისიდან სავაჭრო ქსელში გამოჩნდა მაიონეზ "სლობოდას" თავისი შეფუთვით იდენტური მაიონეზი, რომლის მწარმოებელი, როგორც შეფუთვაზეა მითითებული, არის 2006 წლის აპრილში ქუთაისში რეგისტრირებული შპს "ჯი-თი-სი & კომპანი". მის შეფუთვაზეც დატანილია პრაქტიკულად იგივე სასაქონლო ნიშანი, რაც ღსს "ეფირნოეს" მაიონეზზე, შეფუთვაც მსგავსია თავისი სავაჭრო კაზმულობითა და პროდუქტიც იგივეა. თუმცა მოპასუხეს მოსარჩელისაგან თანხმობა ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენების შესახებ არ აქვს.

2006 წლის 19 დეკემბერს სასამართლო ექსპრტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად, მოპასუხის მიერ წარმოებული მაიონეზი საკვები ღირებულებისა და ცხიმინობის მიხედვით, ერთი მესმედით ჩამოუვარდება ღსს "ეფირნოეს" მიერ წარმოებულ მაიონეზის საკვებ ღირებულებას, რის გამოც შელახულია მოსარჩელის რეპუტაცია. აღნიშნულის გამო, როგორც მოსარჩელე აღნიშნავს, იძულებული გახდა 2006 წლის ნოემბრიდან გაეწია დამატებითი ხარჯები და შეეცვალა შეფუთვა, რომელსაც გააჩნდა დამატებითი ახლებური წარწერა გაყალბების გამწვანებისათვის, აწარმოებდა აქტიურ და ძვირადღირებულ სარეკლამო კომპნიას, რაც თავისთავად მოითხოვდა ზედმეტ ხარჯებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ღსს "ეფირნოეს" წარმომადგენელმა ვ. ტ-მემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით ღსს სააქციო საზოგადოება "ეფირნოეს" წარმომადგენელ ვ. ტ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

რუსეთის ფედერაციაში მდებარე ღსს სააქციო საზოგადოება "ეფირნოე" ამზადებს და სარეალიზაციო ქსელში უშვებს მაიონეზს "სლობოდას", რომლის სასაქონლო ნიშანი დადგენილი წესით რეგისტრირებულია საქართველოში (#843071) და ძალაშია 2004 წლის 9 ივლისიდან 2014 წლის 9 ივლისამდე;

შპს "ჯი-თი-სი & კომპანი" რეგისტრირებულია სურსათის მწარმოებელ საწარმოდ, აწარმოებს არაჟანისა და მაიონეზის გამოშვებას და საზოგადოებამ 2006 წლის 31 აგვისტოს დაარეგისტრირა მეწარმე სუბიექტის სტანდარტი მტს 16521942-001-2007 მაიონეზები "სლოვოდა" და "ბეისადი";

შპს "ჯი-თი-სი & კომპანის" დირექტორმა ზ. ს-მემ განცხადებით მიმართა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ "საქპატენტს" და მოითხოვა ეცნობებინათ, იყო თუ არა რეგისტრირებული ან სარეგისტრაციოდ შეტანილი სასაქონლო ნიშნად "სლოვოდა", განცხადებასთან ერთად წარადგინა მაიონეზის ეტიკეტი; აღნიშნული განცხადების პასუხად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრ "საქპატენტის" 2007 წლის 24 აპრილის წერილით დადგინდა იქნა, რომ შპს "ჯი-თი-სი & კომპანის" მიერ მითითებული ეტიკეტის იდენტური გამოსახულება არ იყო რეგისტრირებული, მსგავსი ნიშანი შეტანილი იყო თავად შპს "ჯი-თი-სი & კომპანის" მიერ და განაცხადი გაუქმებულ იქნა 2006 წლის 14 ივლისის საფასურის გადაუხდელობის გამო;

2007 წლის 16 იანვარს იმერეთის ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე შპს "ჯი-თი-სი & კომპანის" ხელმძღვანელ პირთა მიმართ დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების ფაქტზე, რაც დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის 2007 წლის 29 მაისის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კანონით ქმედების არარსებობის გამო, რომლითაც დასტურდებოდა, რომ შპს "ჯი-თი-სი & კომპანი" ღსს "ეფირნოეს" სასაქონლო ნიშანს არ იყენებდა. აღნიშნული დადგენილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ;

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სასაქონლო ნიშნის მითვისების ფაქტი, შპს "ჯი-თი-სი & კომპანისა" და ღსს "ეფირნოეს" მიერ წარმოებული მაიონეზების იდენტურობა, მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების დარღვევა, რის გამოც "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი დაუსაბუთებულობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ღსს "ეფირნოეს" წარმომადგენელმა ვ. ტ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინებით ღსს "ეფირნოეს" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამ გარემოებების მიმართ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სასაქონლო ნიშნის მითვისების ფაქტი და განსაკუთრებული უფლების დარღვევა მოპასუხის მიერ, ასევე მიუთითა, რომ არ დასტურდებოდა, თუ რა სახის ზიანი მიიღო მოსარჩელემ და რაში გამოიხატებოდა ზიანი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ღია სააქციო საზოგადოება "ეფირნოეს" წარმომადგენელმა ვ. ტ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, "სასაქონლო ნიშნების შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "დ" ქვეპუნქტები, არსობრივად არ დაეყრდნო მას, არ გაიზიარა სამართალდარღვევის ფაქტი, რის გამოც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება გამოიტანა. მიუხედავად ექსპერტიზის დასკვნისა, სასამართლომ არ გაიზიარა სასაქონლო ნიშნების "სლობოდა" "სლოვოდას" მსგავსების ფაქტი, არ ჩათვალა საქონელი ანუ "მაიონეზი" და "მაიონეზი" იდენტურებად, არც მსგავსებად.

კასატორის აზრით, ასევე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას 2009 წლის 20 მარტს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი შემდეგი პირობებით:

- ღსს "ეფირნოეს" სასაქონლო ნიშნის "სლობოდა" მსგავს ნიშანს "სლოვოდას" შპს "ჯი-თი-სი & კომპანი" ამჟამად არ იყენებს და არც მომავალში გამოიყენებს.

- შპს "ჯი-თი-სი & კომპანის" მიერ ღსს "ეფირნოეს" სასარგებლოდ 2009 წლის 30 მარტამდე გადახდილი იქნება 3000 ლარი ღსს "ეფირნოეს" წარმომადგენლის ვ. ტ-ძის ანგარიშზე 55701944 თი-ბი-სი ბანკის ცენტრალურ (ვაკის) ფილიალში, კოდი: 220101830, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #11.

- გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში გადახდილ იქნება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებილ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,15%-ის ოდენობით.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების პირობებს, თვლის რომ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება მხარეთა უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით, 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, 273-ე, 399-ე, 372-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

- ლსს "ეფირნოეს" სასაქონლო ნიშნის "სლობოდა" მსგავს ნიშანს "სლოვოდას" შპს "ჯი-თი-სი & კომპანი" ამჟამად არ იყენებს და არც მომავალში გამოიყენებს.
 - შპს "ჯი-თი-სი & კომპანის" მიერ ლსს "ეფირნოეს" სასარგებლოდ 2009 წლის 30 მარტამდე გადახდილი იქნება 3000 ლარი ლსს "ეფირნოეს" წარმომადგენლის ვ. ტ-ძის ანგარიშზე 55701944 თი-ბი-სი ბანკის ცენტრალურ (ვაკის) ფილიალში, კოდი: 220101830, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #11.
 - გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში გადახდილ იქნება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებილ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.15%-ის ოდენობით.
2. მოცემულ საქმეზე, მხარეთა მორიგების გამო, შეწყდეს საქმის წარმოება;
 3. გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება;
 4. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;
 5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-842-1056-08

31 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: რეალური წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 14 ივნისს ე. მ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ა. ყ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სამკვიდრო ქონებიდან რეალური წილის გამოყოფა, 2005 წლის მიუღებელი სარგებლის -1500 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება და სარიტუალო დარბაზის მოწყობილობის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა.

მოსარჩელის მითითებით, იგი 1978 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვლილ უ. ყ-ძესთან. ერთად ცხოვრების პერიოდში მეუღლეებმა ააშენეს საცხოვრებელი სახლი და შეიძინეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. უ. ყ-ძე 2005 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე მან შეადგინა შინაურული ანდერძი და მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება უანდერძა მოსარჩელეს. 2005 წლის 1 აგვისტოს უ. ყ-ძემ შეადგინა იმავე შინაარსის სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მოსარჩელემ საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონების -საერთო საცხოვრებელი სასარგებლო 269,9 კვ. მეტრით საცხოვრებელი სახლისა და 2500 კვ. მეტრი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1/2, ხოლო 1/2 სავალდებულო წილის სახით მიიღო უ. ყ-ძის შვილმა -ა. ყ-ძემ. მოსარჩელის განცხადებით, იგი დღემდე ვერ სარგებლობს თავისი კუთვნილი

ქონებით, აწ გარდაცვლილი მეუღლის ნათესავების მხრიდან ხელშეშლის გამო. ა. ყ-მე მთლიანად სარგებლობს მიწის ნაკვეთზე მოწყობილი მანდარინისა და სიმინდის მოსავლით.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ე. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე ე. მ-მეს უ. ყ-მის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან -ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან და მიწის ნაკვეთიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის #1749\5 დასკვნაში ნაჩვენები ვარიანტით საკუთრებაში გამოეყო აზომვით ნახაზზე აღნიშნული საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული #1, #5, #2 ოთახები და პირველ სართულზე განთავსებული #7 ოთახი. ამასთან, პირველ სართულზე მდებარე ფართი განაწილდა თანაბარწილად და მოსარჩელე ე. მ-მისათვის გამოყოფილი, აზომვით ნახაზზე ნაჩვენები #7 ოთახის სიგანე განისაზღვრა 5.30 მეტრით. მოსარჩელე ე. მ-მეს გამოეყო 1100 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი სახლის გვერდითა და სახლის უკანა მხარეს მიკუთვნებული ოთახების გასწვრივ, ხოლო მეორე სართულზე ასასვლელი კიბე, აივანი და ეზოს წინა მხარე ჭიშკრიდან სახლამდე, საერთო 300 კვ. მ-ით დარჩა საერთო სარგებლობაში. ე. მ-მის სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი სარგებლის ანაზღაურებისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდის გამო.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქობულეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საერთო სასარგებლო 265,9 კვ.მ საცხოვრებელი სახლისა და დაუზუსტებელი 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა აწ გარდაცვლილი უ. ყ-მე. საქმეში არსებული სამკვიდრო მოწმობით დგინდებოდა, რომ ე. მ-მე არის უ. ყ-მის ანდერძისმიერი მემკვიდრე, რომელმაც საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონების საერთო სასარგებლო 265,9 კვ.მ საცხოვრებელი სახლისა და 2500 კვ. მეტრი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის 1/2, მდებარე ქობულეთის რაიონის სოფელ ...

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა რეალური წილის გამოყოფის შესახებ საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო. მოსარჩელისათვის რეალური წილის გამოყოფა მოხდა საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაში ნაჩვენები ვარიანტის მიხედვით. ე. მ-მის მოთხოვნა მიუღებელი სარგებლის სახით 1500 ლარის ანაზღაურებისა და მოპასუხის მფლობელობიდან სარიტუალო დარბაზის მოწყობილობის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდა მტკიცებულებათა წარმოდგენლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხე ა. ყ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ, მისთვის სადავო საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე #1, #5, #2 და პირველ სართულზე #7 ოთახების მიკუთვნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ყ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ე. მ-მის სარჩელი უ. ყ-მის დანაშთი სამემკვიდრეო ქონებიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველის ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ე. მ-მისათვის რეალური წილის გამოყოფის შესახებ, ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, არასწორია, რადგან რეალური წილის გაყოფის ამ ვარიანტის გაზიარებით ა. ყ-მეს მისი კუთვნილი წილიდან სახლის მეორე სართულზე გამოყო 9 კვ. მეტრით ნაკლები, რითაც ილახება მისი საკუთრების უფლება. მართალია, საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ა. ყ-მისათვის სახლის პირველ სართულზე მეტი ფართის გამოყოფის შესაძლებლობით ნაწილობრივ კომპენსირდება მისთვის გამოსაყოფი რეალური წილის ოდენობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მისი წილი 3,35 კვ. მეტრით ნაკლები რჩება იდეალურ წილზე. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საცხოვრებელი სახლის პირველი სართული წარმოადგენს ერთიან სივრცეს, მას არ აქვს საცხოვრებელი ფართის დანიშნულება, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დამხმარე სათავსოს სახით. კუთვნილი იდეალური წილის შევსებით დამხმარე ფართის ხარჯზე მხარე დაინტერესებული არ არის.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სადავო სახლთმფლობელობის გაყოფა ორ იზოლირებულ ნაწილად ტექნიკური ნორმების დაცვით შეუძლებელია ისე, რომ არ მოხდეს ერთ-ერთი მხარის საკუთრების უფლების ხელყოფა, ან არ შემცირდეს მისი წილის ღირებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების

შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. ამავე კოდექსის 964-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვისა და ამონაგების განაწილებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო სახლის და ეზოს გაყოფა ტექნიკურად შეუძლებელია, ხოლო ექსპერტიზის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს მოპასუხე ა. ყ-მ არ ეთანხმება, შესაბამისად, რეალური წილის გამოყოფის შესახებ, ე. მ-მის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ე. მ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, მისთვის უ. ყ-მის სამკვიდრო ქონებიდან რეალური წილის გამოყოფა საქმეში წამოდგენილი იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის #1749/5 დასკვნის შესაბამისად.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ ე. მ-მე მეუღლის გარდაცვალების დღიდან ვერ სარგებლობს მემკვიდრეობით მიღებული ქონებით, იძულებით ცხოვრობს სხვა მისამართზე, მოპასუხე ერთპიროვნულად სარგებლობს საზიარო ქონებით, იღებს ყოველწლიურ შემოსავალს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს კასატორის მოთხოვნას ქონების რეალურად გაყოფის შესახებ და სამკვიდრო ქონებას კვლავ საზიარო საკუთრებად დატოვებს, კასატორს არ ექნება კუთვნილი ქონებით სარგებლობის შესაძლებლობა.

კასატორის მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო არ გაიზიარებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ქონების გაყოფის წესს, მას ნაწილობრივ უნდა დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა და საზიაროდ დაეტოვებინა მხოლოდ ის ქონება, რომლის გაყოფასაც შეუძლებლად მიიჩნევდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის სხდომაზე ე. მ-მის საკასაციო საჩივრის განხილვისას მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

1. მე, ე. მ-მე, რომელსაც ქობულეთის რაიონის სოფელ ... საკუთრების უფლებით გამაჩნია საცხოვრებელი სახლის (საერთო სასარგებლო ფართით 265,9 კვ. მ) და 2500 კვ. მეტრი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1/2, თანახმა ვარ, აღნიშნული ქონება, 15 000 ლარის სანაცვლოდ, საკუთრების უფლებით გადავცე აღნიშნული ქონების 1/2 მესაკუთრეს -ა. ყ-მეს.

2. მე, ა. ყ-მე, თანახმა ვარ, ე. მ-მის სასარგებლოდ გადავიხადო 15 000 ლარი და თანხის მთლიანად გადახდის შემთხვევაში საკუთრების უფლებით მივიღო ქობულეთის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონებიდან ე. მ-მის 1/2. აღნიშნული მორიგების აქტის საფუძველზე ვკისრულობ ვალდებულებას, 15 000 ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარში, მორიგების აქტის შედგენის მდგომარეობით არსებული კურსით, ე. მ-მის სასარგებლოდ გადავიხადო ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად ერთად, ოთხი წლის განმავლობაში, კერძოდ, 2013 წლის 31 მარტამდე.

3. განსაზღვრულ ვადაში თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში, მხარეები ვდებთ შეთანხმებას, რომ აღნიშნული მორიგების აქტისა და სასამართლოს განჩინების საფუძველზე ა. ყ-მე დარეგისტრირდეს ქობულეთის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების 1/2 (რომელიც ირიცხება ე. მ-მის საკუთრებად), მესაკუთრედ.

4. იმ შემთხვევაში, თუ 2013 წლის 31 მარტამდე 15 000 ლარი მთლიანად არ იქნება დაფარული, მხარეები (ე. მ-მე და ა. ყ-მე) ვთანხმდებით, რომ ჩვენი საერთო (საზიარო) საკუთრება გაუქმდეს ქონების ნატურით გაყოფის გზით და წილები გადანაწილდეს შემდეგი ფორმით, კერძოდ, მე, ე. მ-მეს მომეკუთვნოს ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან -საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული #1 (37.0 კვ. მ) და #5 (28.0 კვ. მ) ოთახი და პირველ სართულზე განთავსებული #7 ოთახი. ამასთან, პირველ სართულზე მდებარე ფართი განაწილდეს თანაბარწილად -#7 ოთახის სიგრძე განისაზღვროს 5.30 მეტრით. ასევე მომეკუთვნოს 1100 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი სახლის გვერდითა და სახლის უკანა მხარეს მიკუთვნებული ოთახების გასწვრივ, ხოლო მეორე სართულზე ასავლელი კიბე, აივანი და ეზოს წინა მხარეს ჭიშკრიდან სახლამდე, საერთო ფართი 300 კვ. მეტრი დარჩეს საერთო სარგებლობაში, ხოლო საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული #2 (16.6 კვ. მ), #3 (37,7 კვ. მ), #4 (6.6 კვ. მ) და #6 (19.3 კვ. მ) ოთახი და პირველ სართულზე განთავსე-

ბული #8 ოთახი მომეკუთვნოს მე, ა. ყ-ძეს, ასევე 1100 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სახლის გვერდითა და სახლის უკანა მხარეს მიკუთვნებული ოთახების გასწვრივ.

მხარეები ასევე ვთანხმდებით, რომ აღნიშნული ფორმით მოხდეს უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

5. მხარეები ასევე ვთანხმდებით იმის შესახებ, რომ, თუ 2013 წლის 31 მარტისთვის 15 000 ლარი სრულად არ იქნება დაფარული, რაც გამოიწვევს თანხის გადახდის ნაწილში შეთანხმების გაუქმებას, ა. ყ-ძეს დაუბრუნდეს ე. მ-ძის სასარგებლოდ იმ დროისთვის გადახდილი ყველა თანხა.

6. მხარეები -ე. მ-ძე და ა. ყ-ძე თანახმა ვართ, მორიგების აქტი დამტკიცდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით და შეწყდეს ჩვენს შორის არსებული ქონებრივი დავა. ასევე გაცნობიერებული გვაქვს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ მორიგების აქტში მითითებულ თანხაში -15 000 ლარში იგულისხმება 15 000 ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარი მორიგების აქტის შედგენის -2009 წლის 31 მარტის მდგომარეობით არსებული კურსით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. ე. მ-ძე, რომელსაც ქობულეთის რაიონის სოფელ ... საკუთრების უფლებით გააჩნია საცხოვრებელი სახლის (საერთო სასარგებლო ფართით 265,9 კვ. მ) და 2500 კვ. მეტრი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1/2, თანახმაა, აღნიშნული ქონება 15 000 ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარის, მორიგების აქტის შედგენის მდგომარეობით არსებული კურსით, სანაცვლოდ, საკუთრების უფლებით გადაცეს აღნიშნული ქონების 1/2-ის მესაკუთრეს -ა. ყ-ძეს.

2. ა. ყ-ძე აღნიშნული მორიგების აქტის საფუძველზე კისრულობს ვალდებულებას, 15 000 ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარში, მორიგების აქტის შედგენის მდგომარეობით არსებული კურსით, ე. მ-ძის სასარგებლოდ გადაიხადოს ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად ერთად, ოთხი წლის განმავლობაში, კერძოდ, 2013 წლის 31 მარტამდე.

3. განსაზღვრულ ვადაში თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული მორიგების აქტისა და სასამართლოს განჩინების საფუძველზე ა. ყ-ძე დარეგისტრირდეს ქობულეთის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების 1\2-ის (რომელიც ირიცხება ე. მ-ძის საკუთრებად) მესაკუთრედ.

4. იმ შემთხვევაში, თუ 2013 წლის 31 მარტამდე 15 000 ლარი მთლიანად არ იქნება დაფარული, მხარეები (ე. მ-ძე და ა. ყ-ძე) თანხმდებიან, რომ მათი საერთო (საზიარო) საკუთრება გაუქმდეს ქონების ნატურით გაყოფის გზით და წილები გადანაწილდეს შემდეგი ფორმით, კერძოდ, ე. მ-ძეს მიეკუთვნოს ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან -საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული #1 (37.0 კვ. მ) და #5 (28.0 კვ. მ) ოთახი და პირველ სართულზე განთავსებული #7 ოთახი. ამასთან, პირველ სართულზე

მდებარე ფართი განაწილდეს თანაბარწილად -#7 ოთახის სიგრძე განისაზღვროს 5.30 მეტრით. ასევე მიეკუთვნოს 1100 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი სახლის გვერდითა და სახლის უკანა მხარეს მიკუთვნებული ოთახების გასწვრივ, ხოლო მეორე სართულზე ასავლელი კიბე, აივანი და ეზოს წინა მხარეს ჭიშკრიდან სახლამდე, საერთო ფართი 300 კვ. მეტრი დარჩეს საერთო სარგებლობაში, ხოლო საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული #2 (16.6 კვ. მ), #3 (37,7 კვ. მ), #4 (6.6 კვ. მ) და #6 (19.3 კვ. მ) ოთახი და პირველ სართულზე განთავსებული #8 ოთახი მიეკუთვნოს ა. ყ-ძეს, ასევე, 1100 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სახლის გვერდითა და სახლის უკანა მხარეს მიკუთვნებული ოთახების გასწვრივ.

მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ აღნიშნული ფორმით მოხდეს უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

5. მხარეები თანხმდებიან იმის შესახებ, რომ, თუ 2013 წლის 31 მარტისთვის 15 000 ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარში, მორიგების აქტის შედგენის მდგომარეობით არსებული კურსით, სრულად არ იქნება დაფარული, რაც გამოიწვევს თანხის გადახდის ნაწილში შეთანხმების გაუქმებას, ა. ყ-ძეს დაუბრუნდეს ე. მ-ძის სასარგებლოდ იმ დროისთვის გადახდილი თანხა.

მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, შეწყდეს საქმის წარმოება და გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

ე. მ-ძეს დაუბრუნდეს ე. ბ-ძის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -300 ლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-769-984-08

8 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა და მისი გამოთხოვა უკანონო მფლობელობიდან

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ს-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიმართ ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში მდებარე ლიტ "ვ-ს" 3/4-ისა და მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ე. ბ-ძის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტ „ვ“. მან ეს ბინა უანდერბა ძმას -ო. ს-ძეს. ე. ბ-ძე გარდაიცვალა 1994 წელს. ო. ს-ძემ 1995 წელს ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით გაიფორმა ამ სახლის 3/4, ხოლო სამკვიდრო საცხოვრებელი სახლის 1/4 კანონით მემკვიდრეობის მოწმობით კი, ე. ბ-ძის შვილმა -რ. ბ-ძემ, რომელმაც სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ო. ს-ძის მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი სახლიდან კუთვნილი 1/4 წილის რეალურად გამოყოფა. ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მას საკუთრების უფლებით გამოეყო ქ. თბილისში, ... (ამჟამინდელი ...) ქ. #22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტ „ვ“, მასვე დაეკისრა ო. ს-ძის სასარგებლოდ მისი კუთვნილი წილის კომპენსაციის სახით 2850 ლარის გადახდა. ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს დაევალა სათანადო ცვლილებების შეტანა ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში მდებარე სახლის ჩანაწერებში და ლიტ „ვ“ საკუთრების უფლებით აღირიცხა რ. ბ-ძეზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 4 აპრილის განჩინებით ო. ს-ძის სახედამხედველო საჩივარი დაკმაყოფილდა, 1999 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუ-

ღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულის მიუხედავად, ტექნიკური აღრიცხვის ბიურომ სადავო სახლის ო. ს-ძის სახელზე აღრიცხვაზე უარი განაცხადა და სადავო უძრავი ნივთი უკანონოდ აღრიცხა ლ. ქ-ძეზე. აღნიშნულს საფუძვლად დაედო რ. ბ-ძისა და ლ. ქ-ძეს შორის 2000 წლის 2 აგვისტოს დამოწმებული ნასყიდობის უკანონო ხელშეკრულება.

ლ. ქ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების -რ. ბ-ძისა და ო. ს-ძის მიმართ სადავო საცხოვრებელ სახლზე მესაკუთრედ ცნობის, ო. ს-ძის ბინიდან გამოსახლების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2000 წლის 2 აგვისტოს განვადებით, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე იყიდა რ. ბ-ძისაგან ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. მან ბინის მესაკუთრეს გადაუხადა 3500 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 1000 აშშ დოლარი უნდა მიეცა 2001 წლის თებერვლის ჩათვლით, თუმცა დარჩენილი თანხის გადახდა ვერ მოხერხდა რ. ბ-ძის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო. მოსარჩელის კუთვნილ სახლში ცხოვრობს ო. ს-ძე, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მის ბინაზე.

მითითებული სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

ო. ს-ძემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოპასუხეების -ლ. ქ-ძისა და სანოტარო ბიუროს ნოტარიუს ნ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა რ. ბ-ძესა და ლ. ქ-ძეს შორის 2000 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: ლ. ქ-ძემ შეისყიდა მისი კუთვნილი ბინა, რომლის თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარეობდა დავა რ. ბ-ძესთან. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით რ. ბ-ძეს უარი ეთქვა სადავო საცხოვრებელი სახლიდან რეალური 1/4-ის გამოყოფაზე. ვიდრე ო. ს-ძე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში თავის სახელზე აღრიცხავდა სადავო საცხოვრებელი სახლის 3/4-ს, რ. ბ-ძემ მიჰყიდა ბინა ლ. ქ-ძეს, რომელმაც 2000 წლის 8 აგვისტოს სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ამავე წლის 3 დეკემბერს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში აღრიცხა თავის სახელზე. მან ისარგებლა ამ დროს ბინაზე ყადაღის მოხსნით. ტექნიკურად არასწორად აღრიცხა ბინა ლ. ქ-ძის სახელზე, რადგან, ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ბინაზე საკუთრების უფლება ლ. ქ-ძეს გადაეცემა მხოლოდ ბინის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ქ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში მდებარე სახლის 1/4 საკუთრების უფლებით აღრიცხა მის სახელზე, ბინიდან გამოსახლების ნაწილში სარჩელს უარი ეთქვა, ო. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, სადავო ბინის 3/4 აღრიცხა ო. ს-ძის საკუთრებად, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2002 წლის 2 აგვისტოს ნოტარიუს ნ. მ-შვილის მიერ დამოწმებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად რ. ბ-ძემ მთელი სახლი მიჰყიდა ლ. ქ-ძეს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. ქ-ძემ თავისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ო. ს-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით, ხოლო ო. ს-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში და მოითხოვა გარიგების მთლიანად ბათილად ცნობა.

ო. ს-ძემ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ბათილი გარიგების ნორმაზე და გადახდის განვადებით ხელშეკრულების დადების პრეზუმფციაზე ნივთის გადაცემის მომენტიდან;

ლ. ქ-ძემ კი მოთხოვნის საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი.

მოცემული საქმე განხილულ იქნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ და ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ს-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა ლ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ლ. ქ-ძე აღრიცხა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, თბილისში, ... ქ. #22/1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტერ "ვ" შენობის მესაკუთრედ, მას შემდეგ, რაც იგი შეტანს 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადებოზიტო ანგარიშზე; თბილისში, ... ქ. #22/1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტერ "ვ" შენობა გამოთხოვილ იქნა ო. ს-ძის მფლობელობიდან, ო. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ ო. ს-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით საქმეზე დადგინებულ ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 11 თებერვლის #2/90 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ... (ამჟამინდელი ...) ქ. #22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტ „ვ“ აღი-რიცხა რ. ბ-ძის საკუთრებად;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალა-ტის 2000 წლის 4 აპრილის განჩინებით ო. ს-ძის საზედამხედველო საჩივარი დაკმაყოფილდა, 1999 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 აგვისტოს განჩი-ნებით ო. ს-ძის განცხადების საფუძველზე რ. ბ-ძის სახელზე რიცხულ სადავო ბინას დაედო ყა-დალა;

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 სექტემბრის გა-დაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელი სადავო საცხოვრებელი სახლიდან რეალური წილის გამოყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა. მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 1999 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრუ-ლების შებრუნება არ განხორციელებულა.

სააპელაციო პალატამ ლ. ქ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გადახდის განვადებით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება რ. ბ-ძესა და ლ. ქ-ძეს შორის გაფორ-მდა 2000 წლის 2 აგვისტოს. გარიგების დადების დღეს გამყიდველმა მიიღო 3500 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხის -1000 აშშ დოლარი მყიდველს უნდა გადაეხადა ხუთი თვის განმავ-ლობაში -2001 წლის 3 იანვრამდე.

ლ. ქ-ძესა და რ. ბ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ აღრიცხულა (არც ტექ. ბიუროში ყოფილა აღრიცხული, ვინაიდან, როგორც მხარემ განმარტა, ხე-ლი შეუშალა ბინაზე 2000 წლის 18 აგვისტოს განჩინებით დადებულმა ყადაღამ).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ს-ძის მოთხოვნა სადავო ნასყიდობის ხელშეკრუ-ლების ბათილად ცნობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ სსკ-ის 487-ე მუხ-ლის თანახმად, გამყიდველი ვალდებული იყო მყიდველისთვის გადაეცა ნივთობრივად და უფ-ლებრივად უნაკლო ნივთი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში სახლი უფლებრივად უნაკლო არ იყო, რადგანაც მისი მესაკუთრე იყო ო. ს-ძე, შესაბამისად, სსკ-ის 491-ე მუხლის მიხედვით, ნასყი-დობის ხელშეკრულება ნაწილობრივ უნდა მოშლილიყო, აღნიშნული მოსაზრება სააპელაციო პალა-ტამ არ გაიზიარა, ვინაიდან საქმის მასალებით მიიჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადე-ბის დროს არ იყო გადაწყვეტილი ნასყიდობის საგანი -სადავო უძრავი ქონება იქნებოდა თუ არა უფლებრივად ნაკლიანი, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სსკ-ის 491-ე მუხ-ლით გათვალისწინებული შემთხვევა, რომ მყიდველს მოეთხოვა ხელშეკრულების მოშლა.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა ო. ს-ძის მოსაზრება ნასყიდობის ხელშეკრულების გა-უქმებაზე, როგორც თვალთმაქცურ და მოტყუებით დადებულ გარიგებაზე, ვინაიდან აპელანტმა ვერ მიუთითა თუ რა გარიგების დაფარვა სურდათ მხარეებს განვადებით ნასყიდობის ხელშეკრუ-ლების დადების დროს. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ო. ს-ძე არ ყოფილა დადებული გარიგების მხარე და მის მიერ ამ გარიგების, როგორც მოტყუებით დადებულის, ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

სასამართლომ სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე კოდექსის 81-ე მუხლი;

ლ. ქ-ძის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრუ-ლების დადების დროს 2000 წლის 2 აგვისტოს სადავო სახლი, სსკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, არ ირიცხებოდა რ. ბ-ძის საკუთრებაში, ვინაიდან საქმის მასალების მიხედვით, 2000 წლის 2 აგვისტოსთვის სადავო სახლი ირიცხებოდა რ. ბ-ძის სახელზე, ხოლო რეესტრის ჩანაწერების უზუსტობა ამ დროისთვის არ ყოფილა დამტკიცებული და არც რაიმე საჩივარი ჩანაწერის უზუს-ტობასთან დაკავშირებით შეტანილი არ ყოფილა, აღნიშნული ო. ს-ძემ სადავო გახადა 2002 წლის 16 დეკემბერს შეტანილი სარჩელით.

სააპელაციო სასამართლომ ლ. ქ-ძე კეთილსინდისიერ შემძენად მიიჩნია და აღნიშნა, რომ არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებული შემთხვევა, რომ-ლითაც ეჭვქვეშ დადგებოდა ნასყიდობის ხელშეკრულების მხარის -სადავო ბინის მყიდველი -ლ. ქ-ძის კეთილსინდისიერება;

სააპელაციო პალატამ გაიზიარა ლ. ქ-ძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ო. ს-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, პირველი ინსტანციის სასამართლო გასცდა სა-სარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მოსარჩელეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია;

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ო. ს-ძის აღიარებითი სარჩელით ვერ მიიღწეოდა მისი მოთხოვნა სადავო ბინის 3/4-ის მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ, ვინაიდან აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, ბინა აღრიცხული დარჩებოდა რ. ბ-ძის სახელზე, ვიდრე არ განხორციელდებოდა 1999 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების აღ-სრულების შებრუნება, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ იყო გამოკვეთილი ო. ს-ძის აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი, რაც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო;

ლ. ქ-ძის მოთხოვნა მასზედ, რომ გადაახდევინონ 1000 აშშ დოლარი და ცნობილ იქნეს თბი-ლისში, ... ქ. #22-ში მდებარე სადავო სახლის მესაკუთრედ, სააპელაციო სასამართლომ საფუძ-ვლიანად მიიჩნია და აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედვით უცნობია რ. ბ-ძის ადგილსამყო-ფელი. ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 434-ე მუხლის შესაბამისად, ლ. ქ-ძეს უნდა მისცემოდა საშუ-ალეა რ. ბ-ძის მიმართ დარჩენილი ვალდებულება 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გა-დახდის თაობაზე შეესრულებინა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლე-ბის დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე მითითებული თანხის შეტანით, რის შემდეგადაც ლ. ქ-ძე აღრიცხებოდა სადავო სახლის მესაკუთრედ.

მას შემდეგ რაც სასამართლომ დაადგინა ლ. ქ-ძის საკუთრება სადავო ბინაზე, სააპელაციო სა-სამართლომ მიიჩნია, რომ მისი მოთხოვნა ო. ს-ძის უკანონო მფლობელობიდან ბინის გამოთხოვის თაობაზე უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. ს-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით თბილისში, ... ქ. #22/1-ში მდებარე საცხოვრებელი ლიტერ "ვ" სახლზე რ. ბ-ძესა და ლ. ქ-ძეს შორის 2000 წლის 2 აგვის-ტოს გადახდის განვადებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ლ. ქ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის როგორც ფაქ-ტობრივი, ისე სამართლებრივი გარემოებები, რის შედეგადაც მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, კერძოდ, აღნიშნა, რომ არასწორია სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 11 თებერვლის გა-დაწყვეტილებით სადავო სახლი აღრიცხა რ. ბ-ძის სახელზე, ვინაიდან იგი არასდროს აღრიცხუ-ლა რ. ბ-ძის სახელზე და არც გადაწყვეტილება შესულა კანონიერ ძალაში;

კასატორის აზრით, სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა, რომ რ. ბ-ძის სახელზე რიც-ხულ ბინას ყადაღა დაედო 2000 წლის 18 აგვისტოს, ვინაიდან რატომღაც შეგნებულად აურა გვერდი საქმის მასალებში არსებულ იმავე მოსამართლის ერთი თვით ადრე -2000 წლის 26 ივ-ლისის გამოტანილ განჩინებას, იმავე მისამართზე არსებულ სახლთმფლობელობაზე ყადაღის დადე-ბის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა იმის საფუძველს, რომ ქ-ძემ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ბინა ვერ აღრიცხა თავის სახელზე და მისთვის მაშინვე გახდა ცნობილი, რომ ბინა სადავო იყო.

კასატორის მითითებით სააპელაციო პალატა ასევე ტენდენციურია, როდესაც მიუთითებს, რომ 2000 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე 1999 წლის 11 თებერვლის გადაწყვე-ტილების აღსრულების შებრუნება არ განხორციელებულა.

სააპელაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად და უმართებულოდ მიიჩნია ლ. ქ-ძე კე-თილსინდისიერ შემქმნად;

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლო სცდება სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს, ვინაი-დან ქ-ძე ითხოვდა ბ-ძის მოძებნასა და მისთვის 1000 აშშ დოლარის გადაცემას და არა დეპო-ზიტზე თანხის შეტანას;

კასატორის განმარტებით, არცერთმა სასამართლომ არ იზრუნა რ. ბ-ძის მოძებნისა და სასამარ-თლო სხდომაზე გამოცხადების რეალური ღონისძიებების გატარებისათვის, ვინაიდან აღნიშნული საქმის არსებითი განხილვის წინაპირობა იყო.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას 2009 წლის 8 აპრილს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი შემდეგი პირობებით:

- ო. ს-ძე ლ. ქ-ძეს გადაუხდის 10000 აშშ დოლარს 2009 წლის 8 ივნისის ჩათვლით, რის შემდეგაც ლ. ქ-ძეს სადავო ბინაზე -მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში, პრეტენზია არ ექნება და ბინა აღირიცხება ო. ს-ძეზე საკუთრების უფლებით.

- თუ ო. ს-ძე დადგენილ ვადაში (2009 წლის 8 ივნისის ჩათვლით) არ გადაუხდის 10000 აშშ დოლარს ლ. ქ-ძეს, სადავო ბინა დარჩება ლ. ქ-ძის საკუთრებად და დარეგისტრირდება მის სახელზე, ხოლო ო. ს-ძე ოჯახის წევრებთან ერთად გაათავისუფლებს ბინას და ჩააბარებს ლ. ქ-ძეს.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების პირობებს, თვლის რომ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება მხარეთა უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით, 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, 273-ე, 399-ე, 372-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

- ო. ს-ძე ლ. ქ-ძეს გადაუხდის 10000 აშშ დოლარს 2009 წლის 8 ივნისის ჩათვლით, რის შემდეგაც ლ. ქ-ძეს სადავო ბინაზე -მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში, პრეტენზია არ ექნება და ბინა აღირიცხება ო. ს-ძეზე საკუთრების უფლებით.

- თუ ო. ს-ძე დადგენილ ვადაში (2009 წლის 8 ივნისის ჩათვლით) არ გადაუხდის 10000 აშშ დოლარს ლ. ქ-ძეს, სადავო ბინა დარჩება ლ. ქ-ძის საკუთრებად და დარეგისტრირდება მის სახელზე, ხოლო ო. ს-ძე ოჯახის წევრებთან ერთად გაათავისუფლებს ბინას და ჩააბარებს ლ. ქ-ძეს.

2. მოცემულ საქმეზე, მხარეთა მორიგების გამო, შეწყდეს საქმის წარმოება;

3. გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება;

4. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-1110-1263-08

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: კოოპერატივის წევრად ცნობა, უძრავი ნივთის მესაკუთრედ აღრიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

რ. დ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის უფლებამონაცვლე ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობის მიმართ შემდეგი საფუძვლებით: 1995 წელს, ბინის შეძენის მიზნით, მოსარჩელემ მიმართა #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის თავმჯდომარე დ. ზ-მეს, რომლისაგანაც შეიტყო, რომ კოოპერატივის წევრი ა. ს-იანი აპირებდა კუთვნილი წილის გასხვისებას, რისი შეძენის შემთხვევაში მოსარჩელე მოიპოვებდა უფლებას, მიეღო კოოპერატიულ სახლში #16 ბინა. აღნიშნულის საფუძველზე რ. დ-მესა და ა. ს-იანს შორის დაიდო კოოპერატივში ამ უკანასკნელის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რის სანაცვლოდაც მოსარჩელემ ა. ს-იანს გადაუხადა 3000 აშშ დოლარი. ამასთან, ხელშეკრულება ეხებოდა რა კოოპერატივის წილის ნასყიდობას, იგი სანოტარო წესით დამოწმობას არ საჭიროებდა. დ. ზ-მემ გადასცა რ. დ-მეს კოოპერატივის 2006 წლის 12 ნოემბრის კრების ოქმი, რომელსაც ესწრებოდა 37 წევრი. კრებამ დაადგინა, რომ ა. ს-იანის წევრობიდან გასვლის შედეგად გამოთავისუფლებულ ოროთახიან #16 ბინაზე ამხანაგობის წევრად მიღებულ იქნა რ. დ-მე. მითითებული ოქმის თანახმად, ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებული იყო, მიემართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის კრების ოქმის დასამტკიცებლად და აღნიშნული გახდებოდა საჯარო რეესტრში #16 ბინის მოსარჩელის სახელზე აღრიცხვის საფუძველი. დ. ზ-მეს მითითებული ვალდებულება არ შეუსრულებლია. მოპასუხის განმარტებით, რ. დ-მის კოოპერატივის წევრად აღრიცხვა ვერ მოხდა, რადგან სახლი არ იყო აღრიცხული მერიის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში, თუმცა ამჟამად მშენებლობა დასრულებულია და იგი რეესტრირებულია საჯარო რეესტრშიც. სადავო #16 ბინა საჯარო რეესტრში აღრიცხულია #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახელზე.

მოპასუხე #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის უფლებამონაცვლე ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობის თავმჯდომარე დ. ზ-მემ სარჩელი ცნო და დაადასტურა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, რომ 1995 წელს ამხანაგობის წევრმა ა. ტ-იანმა თავისი წილი კოოპერატივში დაუთმო რ. დ-მეს, რომელმაც აუნაზღაურა აღნიშნული წილის ღირებულება. მოპასუხე დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას რ. დ-მის კოოპერატივის წევრად ცნობისა და #16 ბინის მოსარჩელის საკუთრებად აღრიცხვის თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით რ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე აღიარებულ იქნა #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სამართალმემკვიდრე ბინის #46 ამხანაგობის სრულუფლებიან წევრად, მოპასუხეს დაევალა მისთვის #46 ამხანაგობიდან ა. ს-იანის კუთვნილი წილის, კერძოდ, ქ. ბათუმში, ... ქ. #101-ში მდებარე ოროთახიანი 62,45 კვ.მ (საცხოვრებელი -32 კვ. მ, ხოლო დამხმარე -30,45 კვ.მ) #16 ბინის განსაზღვრა, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სამსახურს დაევალა აღნიშნული ბინის რ. დ-მის სახელზე აღრიცხვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის უფლებამონაცვლე ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და რ. დ-მის სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეესტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 5 ნოემბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ. #101-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა #46-ის (ყოფილი #46 კოოპერატივის) საკუთრებას. #46 ამხანაგობის კუთვნილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა აღმასკომის 1986

წლის 12 თებერვლის #77 გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო და დასრულდა 1992 წელს. აღნიშნული ამხანაგობა წარმოადგენდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს, რომელიც შეიქმნა საბინაო კოდექსით გათვალისწინებული წესებით. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა 1995 წელს მოქმედი საბინაო კოდექსის მე-12 და 128-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ, ამ ნორმების თანახმად, საცხოვრებელი ფართი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ეძლეოდა მხოლოდ და მხოლოდ მეპაიე კოოპერატივის წევრებს, რა დროსაც მხედველობაში მიიღებოდა კოოპერატივის წევრთან ერთად აღრიცხვაზე მყოფი მეპაიეს ოჯახის წევრების რაოდენობა, ხოლო მეპაიეთა შორის საცხოვრებელი სადგომების განაწილება საერთო კრების განსაკუთრებულ პრეროგატივას წარმოადგენდა. სასამართლომ დაადგინა, რომ 1995 წლამდე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი იყო ა. ს-იანი. საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2006 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების თანახმად, რ. დ-მე სადავო ფართს არასოდეს დაუფლებია. 2006 წლის 12 თებერვალს, ამხანაგობის საერთო კრებაზე მიღებულ იქნა ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობის დებულება. ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობის წევრთა საერთო კრების #12 ოქმით ირკვევა, რომ დებულების დამტკიცების შემდეგ, 2006 წლის 7 აპრილს, ამხანაგობის წევრებს შორის ბინები კენჭისყრით გადანაწილდა და დამტკიცდა ოჯახების სრული შემადგენლობით ამხანაგობის წევრთა საბოლოო სია, რომლის თანახმად ქ. ბათუმში, ... ქ. #101-ში მდებარე #16 ოროთახიანი ბინა -62,45 კვ.მ საერთო, 32 კვ.მ საცხოვრებელი და 30,45 კვ.მ დამხმარე ფართით გადაეცა ზ. ს-მეს მის ოთხსულიან ოჯახთან ერთად, (მეუღლე -ო. ს-მე, შვილი -ი. ს-მე, სიმამრი -რ. დ-მე). მითითებული ოქმი თანდართული სიით ხელმოწერილ იქნა კრებისა და #46 ამხანაგობის თავმჯდომარე დ. ზ-მის მიერ. ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ 2005 წლის 27 ნოემბერს გაცემული ცნობის შესაბამისად, ქ. ბათუმში, ... ქ. #101-ში მდებარე #16 ოროთახიანი ბინაში 1995 წლიდან ცხოვრობენ ზ. , ო. და ი. ს-ძეები, მათ ბინა ყოფილი მეპატრონის -ს-იანისაგან შეისყიდეს და სანაცვლოდ 3000 აშშ დოლარი, ნაწილ-ნაწილ ს-იანს გადასცა რ. დ-მემ. ცნობის გაცემის დროისათვის ს-ძეების ოჯახი კოოპერატივში ჯერ კიდევ არ წევრიანებულა. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია, 2005 წლის 27 ნოემბრის ცნობის მიხედვით, თანხა რ. დ-მემ ნაწილ-ნაწილ გადაიხადა, მაგრამ აღნიშნულით არ დასტურდება, რომ ხსენებული თანხის გადახდით იგი ამხანაგობის წევრი და მეპაიე გახდა, ვინაიდან ამავე ცნობის თანახმად, ბინის შეძენის დროიდან ბინაში ცხოვრობდა ს-ძეების ოჯახი და არა რ. დ-მე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმის თაობაზე, რომ 2006 წლის 7 აპრილის ამხანაგობის წევრთა საერთო კრების #12 ოქმისა და აღნიშნული ოქმით დამტკიცებული სიის მიხედვით, სადავო ბინა გადაეცა რ. დ-მეს მის ოთხსულიან ოჯახთან ერთად. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ჯერ კიდევ 1995 წლიდან ამხანაგობის წევრსა და მეპაიეს წარმოადგენდა ზ. ს-მე, რომელიც იმ დროიდან ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა სადავო საცხოვრებელი ბინით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, მისი მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის 1512-ე, 208-ე და 232-ე მუხლებით დასაბუთების შესახებ, ვინაიდან 2006 წლის 12 თებერვალს დამტკიცებული ამხანაგობის დებულებითა და 2006 წლის 7 აპრილის ამხანაგობის წევრთა საერთო კრების #12 ოქმით სადავო ბინა მიეკუთვნა ზ. ს-მეს, რაც გამორიცხავდა 2006 წლის 12 ნოემბრისათვის ამ ბინის სხვა პირზე, კერძოდ, რ. დ-მისათვის გადაცემის შესაძლებლობას, მით უფრო, როცა 2006 წლის 12 ნოემბრის ამხანაგობის საერთო კრების ოქმში დაფიქსირდა არასწორი მონაცემები, რომ ა. ს-იანის წევრობიდან გაყვანის შედეგად გამოთავისუფლებულ #16 ოროთახიანი ბინაში 1995 წლიდან ამხანაგობის წევრად მიღებულ იქნა რ. დ-მის ოთხწევრიანი ოჯახი. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი. პალატამ მითითა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმზე, რომლითაც ირკვევა, რომ სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობის თავმჯდომარე დ. ზ-მემ დაადასტურა რ. დ-მის ამხანაგობის წევრად მიღებისა და ამხანაგობის წევრთა საერთო კრების #12 ოქმის საფუძველზე კენჭისყრის შედეგად მისთვის სადავო ბინის გადაცემის ფაქტები. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ, პირველი ინსტანციის სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, არ შეაფასა მოპასუხის მიერ დადასტურებული ფაქტების ნამდვილობა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად არასწორად მიიჩნია დ. ზ-მის განმარტება. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე, მეოთხე ნაწილებით, 103-ე მუხლით და მიიჩნია, რომ, ვინაიდან რ. დ-მეს სასამართლოსათვის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში 1995 წლისათვის ა. ს-იანის ნაცვლად მისი წევრად მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, სასარჩელო მოთხოვნა #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სამართალმემკვიდრის -

ბინის #46 ამხანაგობის ა. ს-იანის შესაბამის წილზე წევრად აღიარების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოთხოვნა ქ. ბათუმში, ... ქ. #101-ში მდებარე ბინების მესაკუთრეთა #46 ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ოროთახიანი #16 ბინის რ. დ-ძის საკუთრებაში აღრიცხვაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის დავალებულების თაობაზეც.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რ. დ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 123-ე მუხლისა და 124-ე მუხლის მეხუთე აბზაცით, ასევე "საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს #573 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების მე-10, 27-ე პუნქტებით, 31-ე პუნქტის "გ" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლის მესამე აბზაცით და გაეთვალისწინებინა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი, რომ ა. ს-იანი იყო #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სრულუფლებიანი წევრი, რომელმაც გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ დაუთმო კასატორს. აღნიშნულ ფაქტს ესწრებოდა და თავისი თანხმობა გამოთქვა კოოპერატივის თავმჯდომარემაც. ამდენად, რ. დ-ძე ამჟამად კოოპერატივის წევრია და ფლობს წილს იმ უფლებამოვალეობებით, რაც ა. ს-იანს გააჩნდა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სადავო პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივიდან წევრის გასვლასა და მის მაგივრად ახალი წევრის მიღებას, რისთვისაც საჭირო იყო წილის გამსხვისებლისა და შემდგენის შეთანხმება, რომელსაც გაიზიარებდა საერთო კრება და აისახებოდა საერთო კრების ოქმში. აღნიშნულის შემდეგ საერთო კრების ოქმი უნდა დაემტკიცებინა შესაბამის ორგანოს კოოპერატივის თავმჯდომარის წარდგინებით. კოოპერატივში გაწევრიანება არ მოითხოვდა სანოტარო ან სხვა განსაკუთრებულ წესს. მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა რა წილის დათმობა, კოოპერატივის თავმჯდომარეს კრების ოქმი შესაბამისი ორგანოსათვის არ წარუდგენია. კასატორი სადავო წილის მესაკუთრედ უნდა ჩაითვლოს ასევე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზეც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა "საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონი, რომელიც არეგულირებდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საქმიანობას. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილების, 1512-ე მუხლის თანახმად, დღეისათვის #46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი გაუქმებულია და მის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობა, შესაბამისად, ამავე კოდექსის 930-ე და 932-ე მუხლების მიხედვით, ზემოხსენებული კოოპერატივის ვალდებულებებზეც სწორედ ის არის პასუხისმგებელი. სააპელაციო პალატამ უკანონოდ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხე კოოპერატივის თავმჯდომარემ აღიარა ა. ს-იანის მიერ რ. დ-ძისათვის სადავო წილის დათმობისა და შესაბამისი კომპენსაციის გადახდის ფაქტები, რაც დადასტურდა კოოპერატივის საერთო კრებაზე. აღნიშნულის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ სავსებით სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით და სარჩელში მითითებული გარემოებანი დადასტურებულად ჩათვალა, თუმცა სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ამავე კოდექსის 133-ე მუხლით განსაზღვრული აღიარების გაქარწყლების წინაპირობები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა. სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეიუდიციული ძალა მიანიჭა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია საქმეზე განსხვავებულ მხარეებს შორის, სხვა მოთხოვნაზე და საფუძვლით, კერძოდ, ეხება რ. დ-ძის სარჩელს ს-ძეების სადავო ბინიდან გამოსახლების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ რ. დ-ძე სადავო ბინას დაეუფლა, ვინაიდან აღნიშნული გამოიხატება არა მარტო ნივთის უშუალო ფლობით, არამედ მფლობელის ნებართვით სხვისთვის ამ ნივთზე უფლების გადაცემითაც. სააპელაციო პალატამ არასწორად არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულების სახით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და ბინების განაწილების კრების ოქმის დართვის შესახებ, თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას მოიშველია ეს მტკიცებულებები და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მთავარ საფუძვლადაც გამოიყენა. სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მიერ წარდგენილი ბინების განაწილების შესახებ კრების ოქმი, თუმცა ვერ დაასაბუთა, თუ რატომ უნდა მინიჭებოდა #12 ოქმს უპირატესობა რ. დ-ძის მიერ წარდგენილ ოქმთან მიმართებაში. ნიშნადობლივია, რომ #12 ოქმით ბინების განაწილების შედეგი საჯარო რეესტრში არ ასახულა. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ, ვინაიდან მას ხელს აწერს ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ხ-ია, რომელიც ფაქტობრივად ამხანაგობის თავმჯდომარედ ვერ ჩაითვლება. საჯარო რეესტრის 2008 წლის 9 ივლისის #22/02-4422 წერილით დასტურდება, რომ მ. ხ-ია სადავო მრავალბინიან

სახლში მდებარე რომელიმე ბინის მესაკუთრე არ არის. იგი მიწვეულ თავმჯდომარედ ვერ ჩაითვლება, რადგან საჯარო რეესტრის მონაცემებით დგინდება, რომ ამავე სახლის ბინის მესაკუთრეები არც ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობის 2008 წლის 14 მარტის კრების თავმჯდომარე ნ. ს-მე და არც მდივანი -ბ. კ-მე არიან. სწორედ დასახელებულ კრებაზე გათავისუფლდა ამხანაგობის თავმჯდომარეობიდან დ. ზ-მე და არჩეულ იქნა მ. ხ-ია. ამასთან, კრების დამსწრეთა უმრავლესობა ასევე არ წარმოადგენდნენ ბინის მესაკუთრეებს, შესაბამისად, კრების გადაწყვეტილება უკანონოა, ამხანაგობის თავმჯდომარედ კვლავ დ. ზ-მე უნდა ჩაითვალოს და მხოლოდ მას გააჩნდა უფლება, ამხანაგობის სახელით შეეტანა სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის #46 ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა თანახმაა, მის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ... ქ. #101-ში მდებარე #16 ბინა თანასაკუთრების უფლებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში თანაბარწილად აღირიცხოს 1/2 -ზ. ს-მისა და 1/2 -ი. ს-მის სახელზე;

2. თანაბარწილად ზ. ს-მისა და ი. ს-მის სახელზე აღირიცხვის შემდგომ აღნიშნული ფართი ერთი წლის მანძილზე გასხვისდეს და მიღებული თანხა გადაეცეს თანაბრად ზ. ს-მესა და ი. ს-მეს წილის შესაბამისად;

3. ი. ს-მისათვის გადაცემული თანხით (რომელიც ჩაირიცხება მის პირად ანგარიშზე) 6 თვის ვადაში მისმა კანონიერმა წარმომადგენლებმა, მშობლებმა შეიძინონ ბინა ი. ს-მის სახელზე;

4. ბინის გაუსხვისებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულებისათვის სააღსრულებო ბიუროში სააღსრულებო ფურცელი წარდგენილ უნდა იქნეს ზ. ს-მისა და ი. ს-მის მიერ არანაკლებ სამი თვის განმავლობაში ერთწლიანი ვადის უშუალოდ გასვლის შემდგომ საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. დ-მეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2008 წლის 30 დეკემბერსა და ჯ. ს-მის მიერ 2009 წლის 20 იანვარს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1200 ლარი, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება რ. დ-მესა და ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობას შორის შემდეგი პირობებით:

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის #46 ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა თანახმაა, მის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ... ქ. #101-ში მდებარე #16 ბინა თანასაკუთრების უფლებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში თანაბარწილად აღრიცხოს 1/2 -ზ. ს-ძისა და 1/2 -ი. ს-ძის სახელზე;

2. თანაბარწილად ზ. ს-ძისა და ი. ს-ძის სახელზე აღრიცხვის შემდგომ აღნიშნული ფართი ერთი წლის მანძილზე გასხვისდეს და მიღებული თანხა გადაეცეს თანაბრად ზ. ს-ძესა და ი. ს-ძეს წილის შესაბამისად;

3. ი. ს-ძისათვის გადაცემული თანხით (რომელიც ჩაირიცხება მის პირად ანგარიშზე) 6 თვის ვადაში მისმა კანონიერმა წარმომადგენლებმა, მშობლებმა შეიძინონ ბინა ი. ს-ძის სახელზე;

4. ბინის გაუსხვისებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულებისათვის სააღსრულებო ბიუროში სააღსრულებო ფურცელი წარდგენილ უნდა იქნეს ზ. ს-ძისა და ი. ს-ძის მიერ არანაკლებ სამი თვის განმავლობაში ერთწლიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან.

შეწყდეს საქმის წარმოება რ. დ-ძის სარჩელის გამო ბინის მესაკუთრეთა #46 ამხანაგობის მიმართ კოოპერატივის წევრად ცნობისა და უძრავი ნივთის მესაკუთრედ აღრიცხვის შესახებ.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

რ. დ-ძეს დაუბრუნდეს რ. დ-ძისა და ჯემალ ს-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1200 ლარის ოდენობით.

განემართოთ მხარეებს, რომ დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველით და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-229-554-09

8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მამობის დადგენა, ალიმენტისა და დამატებითი ხარჯების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 16 ოქტომბერს საჩხერის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ფ. მ-ძემ მოპასუხე დ. ფ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის ცნობა 2007 წლის 3 მაისს დაბადებული მ. მ-ძის მამად, მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ მის სრულწლოვანებამდე ალიმენტის -ყოველთვიურად 100 ლარისა და დამატებითი ხარჯების -1 402 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დ. ფ-ძემ მასთან ძალადობით დაამყარა სქესობრივი კავშირი, რის შედეგადაც 2007 წლის 3 მაისს შეეძინა შვილი -მ. მოპასუხემ ბავშვის მამად ნებაყოფლობით თავი არ ცნო. გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით დ. ფ-ძის ბიოლოგიური მამობა მ. მ-ძის მიმართ დამტკიცებულია. მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებდა სამოქალაქო კოდექსის 1190-ე, 1212-ე, 1214-ე, 1234-ე მუხლებზე, აგრეთვე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე, 53-ე მუხლებზე.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფ. მ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დ. ფ-ძე ცნობილ იქნა მ. მ-ძის მამად, დადგინდა მ. მ-ძის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის და ბავშვის გვარის -"მ-ძის" შეცვლა "ფ-ძით". მოპასუხეს დაეკისრა 2007 წლის 18 აპრილიდან მ. მ-ძის სრულწლოვანებამდე ალიმენტის -50 ლარის გადახდა და დამატებითი ხარჯების ანაზღაურება 868 ლარის ოდენობით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილით დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმომომბის დადგენისას "სასამართლო მხედველობაში

იღებს საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას". მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ასეთ დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნია გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ფ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მოსაზრებით, საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლს, რომლის თანახმად, მამობის დადგენისათვის აუცილებელია, სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება, რაც არ იქნა დადასტურებული. რაც შეეხებოდა გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნას, მხოლოდ ბავშვის ბიოლოგიური მამობა არ ნიშნავდა სასამართლო წესით მამობის დადგენის საფუძვლის ქონას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით დ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და დავის სამართლებრივი შეფასება. კერძოდ, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2007 წლის 3 მაისს ფ. მ-მეს შეეძინა შვილი მ., რომლის გვარად დაბადების სააქტო ჩანაწერში მის გვარზე -მ-ძეზე მიეთითა, რადგან მოპასუხე დ. ფ-მემ მამობა არ აღიარა. ასევე დადგენილია, რომ ბავშვის მამობის დადგენის საკითხის გადასაწყვეტად ფ. მ-მემ 2008 წლის 21 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომლის დასკვნის საფუძველზეც მოხდა მოპასუხის ბავშვის მამად აღიარება.

რაც შეეხებოდა აპელანტის დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნული სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან ზემოაღნიშნული მუხლით "სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით", რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ფ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მოთხოვნებს. დასახელებული ნორმა მამობის დადგენისათვის აუცილებლად მიიჩნევს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას და საერთო მეურნეობის წარმოებას, ან ბავშვის ერთად აღზრდას და რჩენას, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მოხდარა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმიდან ირკვევა, რომ არსებობს საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. მ-მის სარჩელი 2007 წლის 3 მაისს დაბადებული მ. მ-მის მამად დ. ფ-მის ცნობისა და ამ უკანასკნელისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო;

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონიერ ძალაში შესული საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების არსებობა განაპირობებს საქმეზე წარმოების შეწყვეტის საფუძვლების სწორად გამორკვევას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის სწორ განმარტებასთან. კანონის აღნიშნული ნორმა მხარეთა განცხადებით ან სასამართლოს ინიციატივით საქმის წარმოების შეწყვეტას დასაშვებად მიიჩნევს, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. სარჩელის იგივეობა გულისხმობს ამ მუხლში დასახელებული სამივე კომპონენტის იდენტურობას, ე. ი. სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, განსახილველ საქმეზე ფ. მ-მის მიერ აღძრულია თუ არა სარჩელი იმავე მხარეებს შორის, იმავე მოთხოვნით და იმავე საფუძველით.

სარჩელის საფუძვლის იდენტურობის საკითხის სწორად შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ სარჩელის საფუძველს ქმნის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. ეს გარემოებები შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებით, თუმცა თავად მტკიცებულებები კი არ წარმოადგენენ სარჩელის საფუძველს, არამედ სარჩელის საფუძველი სწორედ მასში მითითებული ფაქტებია. მხოლოდ ის გარემოება, რომ ფ. მ-მ ახალ სარჩელს დაურთო ექსპერტიზის დასკვნა, არ ნიშნავს, რომ აღნიშნული დასკვნის წარდგენით შეიცვალა მანამდე აღძრული სარჩელის საფუძველი. ექსპერტის დასკვნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XX თავის თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას სამოქალაქო პროცესში. იმავე მოთხოვნით და იმავე საფუძველით იმავე მხარეებს შორის სარჩელის თავიდან აღძვრა, რომელშიც მითითებულია ახალ მტკიცებულებაზე არ ნიშნავს სხვა სარჩელის აღძვრას. მითითებული მტკიცებულების (ექსპერტის დასკვნის) საქმეზე წარდგენა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლიდან გამომდინარე, ფ. მ-მეს თავდაპირველი დავის მიმდინარეობის დროსაც გააჩნდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას არსებითად უნდა იმსჯელოს საქმეზე წარმოების შეწყვეტის ზემოთ დასახელებული წინაპირობების არსებობაზე, უნდა დაადგინოს, ეს არის თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით წარმოებული დავა, რაც აღნიშნული კომპონენტების იდენტურობის შემთხვევაში საქმეზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინება საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-151-479-09

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-მემ და ლ. ბ-ურმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. გ-შვილისა და თ. ხ-შვილის მიმართ სესხის -12 000 აშშ დოლარის დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელები არიან ცოლ-ქმარი. 2004 წლის მაისში მათ ა. ხ-შვილს ასესხეს 12 000 აშშ დოლარი, რის თაობაზე ორჯერ ჩამოართვეს ხელწერილი, თუმცა ა. ხ-შვილი ისე გარდაიცვალა, რომ თანხის დაბრუნება ვერ მოასწრო. მოპასუხეები არიან მისი პირველი რიგის მემკვიდრეები, შესაბამისად, სადავო სესხის დაბრუნების ვალდებულებაც მათ ეკისრებათ.

საქმის არსებითად განხილვამდე გარდაიცვალა მოსარჩელე გ. გ-მე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის სარჩელის დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველი და სესხის ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება, რადგან სათანადო რეკვიზიტებს არ შეიცავს, საეჭვოა ა. ხ-შვილის მიერ

მათი ხელმოწერის ფაქტიც, ამასთან, მოპასუხეებს არა აქვთ მიღებული ა. ხ-შვილის მემკვიდრეობა და ისინი არასათანადო მოპასუხეებს წარმოადგენენ.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. გ-შვილსა და თ. ხ-შვილს ლ. ბ-ურის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 12 000 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ლ. ბ-ურის სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, გამსესხებელი ლ. ბ-ური თავის მოთხოვნას ამყარებს სესხის გადაცემის შესახებ საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის ასლებზე. პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის ასლის საფუძველზე არასწორად ჩათვალა დადგენილად საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება - ფულადი ვალდებულების არსებობა, რადგან მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის დარღვევით, საქმეში დედნის სახით არ არის წარმოდგენილი. სააპელაციო პალატამ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ აპელანტების ფულადი ვალდებულების არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად არ ჩათვალა საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის ასლი გ. გ-მისა და ლ. ბ-ურის მიერ ა. ხ-შვილისათვის 12000 აშშ დოლარის სესხების შესახებ, ხოლო მეორე ხელწერილის ასლში მხარეების სახელები სრულყოფილად მითითებული არც არის. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პალატის მოთხოვნის მიუხედავად, ლ. ბ-ურმა ხელწერილების დედნები ვერ წარადგინა იმ მიზეზით, რომ ვერ იპოვა ისინი, ხოლო აპელანტების ვალდებულების არსებობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულება კი საქმეში არ მოიპოვება. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ლ. ბ-ურმა თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა სათანადოდ ვერ დაასაბუთა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით და ჩათვალა, რომ ლ. ბ-ურს მ. გ-შვილისა და თ. ხ-შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელთა მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 702,50 ლარის გადახდა. ამავე კოდექსის 199¹ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე კი, სასამართლომ მიიჩნია, რომ, ლ. ბ-ურის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო, უნდა გაუქმდეს ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 იანვრის განჩინებით განხორციელებული სარჩელის უზრუნველყოფა და ყადაღა უნდა მოეხსნას ა. ხ-შვილის საკუთრებაში აღრიცხულ ქ. ბორჯომში, ... ქ. მდებარე #41 ბინას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. ბ-ურმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა კასატორსა და ა. ხ-შვილს შორის არსებული ვალის აღიარების ხელწერილები, ვინაიდან ისინი საქმეში ასლების სახით იყო წარდგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი ავალდებულებს რა მხარეს სასამართლოში წერილობითი მტკიცებულების დედნის სახით წარდგენას, მითითებული ნორმა ითვალისწინებს დათქმას, რომ საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეფასებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ხელწერილები მართებულად მიიჩნია სასესიო ურთიერთობის დამადასტურებლად, ხოლო სააპელაციო პალატამ დაარღვია ზემოხსენებული ნორმის დანაწესი, რის შედეგადაც არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. თ. ხ-შვილმა და მ. გ-შვილმა გადაუხადეს 2000 აშშ დოლარი ლ. ბ-ურს მორიგების აქტის ხელმოწერისთანავე, ხოლო დამატებით 1 000 აშშ დოლარს თ. ხ-შვილი და მ. გ-შვილი გადაუხადიან 2010 წლის 1 იანვრამდე;

2. სარჩელის უზრუნველყოფის სახით დაყადაღებულ ა. ხ-შვილის სახელზე რიცხულ ბინას ყადაღა მოეხსნება თანხის მთლ. დ დაფარვის შემდეგ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგე-

ბით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

1. თ. ხ-შვილმა და მ. გ-შვილმა გადაუხადეს 2000 აშშ დოლარი ლ. ბ-ურს მორიგების აქტის ხელმოწერისთანავე, ხოლო დამატებით 1 000 აშშ დოლარს თ. ხ-შვილი და მ. გ-შვილი გადაუხადიან 2010 წლის 1 იანვრამდე;

2. სარჩელის უზრუნველყოფის სახით დაყადებულ ა. ხ-შვილის სახელზე რიცხულ ბინას ყადაღა მოეხსნება თანხის მთლიანად დაფარვის შემდეგ.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

შეწყდეს საქმის წარმოება ლ. ბ-ურის სარჩელის გამო მ. გ-შვილისა და თ. ხ-შვილის მიმართ სესხის დაბრუნების თაობაზე.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-123-454-09

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

სს "საქენერგოტექრემონტმა" სარჩელი აღძრა სასამართლოში სს "საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხნის" მიმართ აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების აღდგენის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1996 წლამდე მხარეები ერთ გაერთიანებაში მყოფი დამოუკიდებელი იურიდიული პირები იყვნენ, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, თანაბრად სარგებლობდნენ საერთო ტერიტორიით, მიწისქვეშა კომუნიკაციებითა და წარმოებამდე შესასვლელი გზით. 2006 წლის 28 ივლისს „საქენერგორემონტს“ დირექტორ ზ. ჯ-ძის წერილით მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მათ ეკრძალებოდათ საერთო სატრანსპორტო გზით სარგებლობა. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით სს „საქენერგორემონტს“ დაევალა მოსარჩელე სს „საქენერგოტექრემონტისათვის“ სატრანსპორტო გზით სარგებლობის უფლების მიცემა, აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, თუმცა მისი აღსრულებისას აღმოჩნდა, რომ სს „საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხანა“ არ იყო ვალდებული, შეეშვა თავის ტერიტორიაზე სს „საქენერგოტექრემონტი“, რადგან ამ ორგანიზაციას დავა ჰქონდა „საქენერგორემონტ“

ტთან" და არა „საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხანასთან“, რომელიც არის სადა-
ვო ტერიტორიის მართლზომიერი მფლობელი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სადავო მიწის ნაკვეთი არასოდეს ყოფილა
დატვირთული რაიმე ვალდებულებით. მოპასუხემ იგი სახელმწიფოსაგან გამოისყიდა 2006 წლის 3
მაისს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის
მითითება სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლზე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს
საჯარო გზასთან ჯეროვანი კავშირი აქვს, მოსარჩელის მიწის ნაკვეთი უშუალოდ ესაზღვრება კას-
კადის ქუჩას და ამ ქუჩაზე არსებული საჯარო გზისაგან გამიჯნულია მოსარჩელის კუთვნილი ღო-
ბით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრის გა-
დაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს ნება დაერთო, გამოიყენოს მოპასუხის მი-
წის ნაკვეთზე არსებული გზა, რაც სს „საქენერგორემონტ -ცენტრალურმა სარემონტო ქარხანამ“
გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის
განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპე-
ლაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით და
დადგინდად მიიჩნია, რომ სს „საქენერგორემონტის“ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთ-
თან დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ სს „საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარ-
ხნის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთზე არსებული გზით და მოსარჩელეს სხვა შესასვლელი არც ადრე
და არც ამჟამად არ გააჩნია. მოპასუხე სს „საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხნის“
მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სს „საქენერგორემონტის“ მიწის ნაკვეთს
გააჩნია ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან. აღნიშნული დასკვნით
ირკვევა, რომ მოსარჩელის ნაკვეთს ესაზღვრება კასკადის ქუჩაზე გამავალი საჯარო გზა, თუმცა ის
მიწის ნაკვეთისაგან იზოლირებულია 1,8 მ-ის სიმაღლის მქონე კედლით. პალატამ გაიზიარა გა-
საჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ მოსარჩელე წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, სა-
მეწარმეო საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო დანიშნულების ობიექ-
ტთან ჯეროვანი კავშირის არსებობას და მას შესაძლებლობა უნდა მიეცეს, დაუკავშირდეს ობიექტს
არა მხოლოდ მსუბუქი, არამედ სატვირთო ავტომანქანითაც. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებებით
ირკვევა, რომ კასკადის ქუჩის მხრიდან არსებულ კედელში ღიობის ამოღების შემთხვევაში ეზო
იქნება გზიდან 1,2-1,5 მეტრით დაბლა, რის გამოც საჭირო გახდება ეზოს მიწით ამოვსება, რაც
არა მარტო დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, არამედ საწარმოს შენობის პირველი სართული
მოექცევა მიწის ქვეშ. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დასკვნის
კვლევიტი ნაწილის მიხედვით, ექსპერტებმა შეისწავლეს მხოლოდ ნაკვეთის მიმდებარე ტერიტო-
რია, ხოლო მოსარჩელის ეზო არ დაუთვალა იერებიათ და არ შეუსწავლიათ, თუ რამდენად მაღა-
ლია გზა ეზოსთან მიმართებით, ასევე დადგინილი არ არის, როგორ შეიძლება ალტერნატიული
კავშირის მოწყობა და ეზოს მიწით ამოვსების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება თუ არა სამეურნეო
დანიშნულების ობიექტთან (საწყობთან) დაკავშირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ
ჩათვალა, რომ იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოსარჩელეს გააჩნია სამეურნეო დანიშნუ-
ლებით ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, საქმეში არსებული
ექსპერტიზის დასკვნა გაზიარებული ვერ იქნება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „საქენერგორემონტ -ცენ-
ტრალური სარემონტო ქარხნის“ დირექტორმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება
იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალა-
ტას არ შეუფასებია პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის წარმომადგენელ ლ. ე-შვილის
განმარტება, რომ სადავო გზა არ არის ერთადერთი სს „საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონ-
ტი ქარხნის“ დირექტორ გ.მ-ძის იმ განმარტებასთან მიმართებით, რომ სხვა შესასვლელი ობიექ-
ტთან არ არსებობს. მოსამართლის შეკითხვა შეეხებოდა შესასვლელის არსებობას და არა იმას, ერ-
თადერთი საშუალებაა თუ არა მოპასუხის ნაკვეთზე გამავალი გზით სარგებლობა. სასამართლომ
დაადგინა, რომ სს „საქენერგორემონტის“ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავში-
რება შესაძლებელია მხოლოდ სს „საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხნის“ კუთვნი-
ლი მიწის ნაკვეთზე არსებული გზით. მოსარჩელეს დღეის მდგომარეობით სხვა შესასვლელი არ
გააჩნია და ასეთი არც ადრე არსებობდა, თუმცა პალატამ არ გაითვალისწინა, რომ შესასვლელი
და გამავალი გზა ან გზით სარგებლობა ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებებია. თუკი მოსარჩე-
ლეს, ექსპერტთა განმარტების შესაბამისად, სხვა, კასატორისაგან დამოუკიდებელი მისასვლელი
გზა ექნება, იგი შეძლებს ობიექტის შესასვლელი თავისი შეხედულებისამებრ მოაწყოს. ამდენად,
დაუსაბუთებელია ის არგუმენტი, რომ მოსარჩელეს ამჟამად ერთი შესასვლელი აქვს და ამის გამო
საჯარო გზიდან სხვა შესასვლელს ვერ მოაწყობს. სააპელაციო სასამართლოს არ გაურკვევია, თუ

რა სახის უფლება აქვს მოსარჩელეს სადავო მიწის ნაკვეთზე. სასამართლომ არაერთხელ დაავალა სს „საქენერგოტექრემონტს“, წარმოედგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც დაადასტურებდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ან მართლზომიერ მფლობელად ყოფნის ფაქტს, თუმცა მხარემ აღნიშნული ვერ შეასრულა. ამდენად, გაურკვეველია, რის საფუძველზე ეკუთვნის სს „საქენერგოტექრემონტს“ სადავო გზით სარგებლობა. საქმის განხილვისას კასატორმა წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელეს შეუძლია მოაწყოს შესასვლელი ჭიშკარი და ისარგებლოს ალტერნატიული 8 მეტრის სიგანის საჯარო გზით ღობის მხრიდან, რომელიც პირდაპირ ესაზღვრება მის ტერიტორიას. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მთლიანად იზოლირებულია საჯარო გზისგან. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია გზის გამოყოფის საჭიროების დასასაბუთებლად ვერ გამოდგება სასამართლოს მსჯელობა, რომ სამეწარმეო საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო დანიშნულების ობიექტთან ჯეროვანი კავშირის არსებობას, როგორც მსუბუქი, ისე სატვირთო ავტომობილებით. სააპელაციო პალატა გასცდა მხარის მოთხოვნას, როდესაც დაადგინა, რომ სს „საქენერგოტექრემონტს“ ნება უნდა დაერთოს, გამოიყენოს მოპასუხის მიწის ნაკვეთზე არსებული გზა, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სატრანსპორტო გზით სარგებლობის უფლების აღდგენა. სატრანსპორტო გზის მოთხოვნა არ ნიშნავს მიწის ნაკვეთზე არსებული გზის გამოყენებას, ვინაიდან, შესაძლებელია, ეს გზა საერთოდ არ არის გათვალისწინებული ტრანსპორტისათვის და განკუთვნილია მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთათვის. სადავო მიწის ნაკვეთი კასატორის კერძო საკუთრებაა და არც ერთ საკადასტრო რუკაზე მასზე გამავალი გზა დატანილი არ არის. ამდენად, გაუგებარია, რომელ არსებულ გზაზე მიაწინებებს სასამართლო და ამგვარად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას მისი აღსრულება შეუძლებელი იქნება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. სს „საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანა“ გამოუყოფს სს „საქენერგოტექრემონტს“, დანართში მითითებული ნახაზის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის ნაწილს იმ მიზნით, რომ მოეწყოს ახალი სამანქანე შესასვლელი და მოხდეს იზოლირება სს „საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხნისაგან“;

2. სს „საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანა“ იღებს ვალდებულებას, აღმართოს ახალი ღობე, 5 მეტრის სიგანის შესასვლელი გზის მოწყობით;

3. სს „საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანა“ იღებს ვალდებულებას, გადმოიტანოს და დაამონტაჟოს სს „საქენერგოტექრემონტის“ ახალი შესასვლელისათვის არსებული რკინის (ალაყაფი) ჭიშკარი, რომლის ადგილზეც მოაწყობს ღობესა და სამეზობლო კარებს;

4. სს „საქენერგოტექრემონტი“ აცხადებს, რომ მას არანაირი საკუთრებითი პრეტენზია არ გააჩნია გამოყოფილი მიწის ფართის მიმართ;

5. საჭიროების შემთხვევაში არაგაბარიტული ტვირთის (ტვირთი, რომელიც ვერ შევა ახალ მოწყობილ ჭიშკარში) შესატანად სს „საქენერგოტექრემონტი“ ისარგებლებს სს „საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხნის“ საავტომობილო გზითა და, შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, -რკინიგზის ჩიხით;

6. სს „საქენერგოტექრემონტი“ საკუთარი სახსრებით მიაერთებს სს „საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანის“ ტერიტორიაზე გამავალ კომუნიკაციებს, კერძოდ, სასმელ წყალს, კანალიზაციას, გაზსადენსა და სატელეფონო ქსელს (თუკი ასეთი არ გადის დ. ზაჰესში, კასკადის ქუჩაზე). სს „საქენერგოტექრემონტის“ მიერ მოპოვებული ნებართვებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად;

7. სს „საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანა“ ზემოაღნიშნულ სამუშაოებს დაასრულებს სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცებიდან 30 დღის განმავლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესა-

მე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს "საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხანას" სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2009 წლის 5 თებერვალს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, ისინი მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დამტკიცდეს მორიგება სს "საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხანასა" და სს "საქენერგოტექრემონტს" შორის შემდეგი პირობებით:

1. სს "საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანა" გამოუყოფს სს "საქენერგოტექრემონტს", დანართში მითითებული ნახაზის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის ნაწილს იმ მიზნით, რომ მოეწყოს ახალი სამანქანე შესასვლელი და მოხდეს იზოლირება სს "საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხნისაგან";

2. სს "საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანა" იღებს ვალდებულებას, აღმართოს ახალი ღობე, 5 მეტრის სიგანის შესასვლელი გზის მოწყობით;

3. სს "საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანა" იღებს ვალდებულებას, გადმოიტანოს და დაამონტაჟოს სს "საქენერგოტექრემონტის" ახალი შესასვლელისათვის არსებული რკინის (ალაყავი) ჭიშკარი, რომლის ადგილზეც მოაწყობს ღობესა და სამეზობლო კარებს;

4. სს "საქენერგოტექრემონტი" აცხადებს, რომ მას არანაირი საკუთრებითი პრეტენზია არ გააჩნია გამოყოფილი მიწის ფართის მიმართ;

5. საჭიროების შემთხვევაში არაგაბარიტული ტვირთის (ტვირთი, რომელიც ვერ შევა ახალ მოწყობილ ჭიშკარში) შესატანად სს "საქენერგოტექრემონტი" ისარგებლებს სს "საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხნის" საავტომობილო გზითა და, შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, -რკინიგზის ჩიხით;

6. სს "საქენერგოტექრემონტი" საკუთარი სახსრებით მიაერთებს სს "საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხანის" ტერიტორიაზე გამავალ კომუნიკაციებს, კერძოდ, სასმელ წყალს, კანალიზაციას, გაზსადენსა და სატელეფონო ქსელს (თუკი ასეთი არ გადის დ. ზაჰესში, კასკადის ქუჩაზე). სს "საქენერგოტექრემონტის" მიერ მოპოვებული ნებართვებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად;

7. სს "საქენერგორემონტი -ცენტრალური სარემონტო ქარხანა" ზემოაღნიშნულ სამუშაოებს დაასრულებს სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცებიდან 30 დღის განმავლობაში.

შეწყდეს წარმოება მოცემულ საქმეზე -სს "საქენერგოტექრემონტის" სარჩელის გამო სს "საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხნის" მიმართ აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების აღდგენის შესახებ.

განემარტოთ მხარეებს, რომ დავა იმავე საფუძვლით და იმავე საგანზე დაუშვებელია.

დაუბრუნდეს სს "საქენერგორემონტ -ცენტრალური სარემონტო ქარხანას" მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-1139-1284-08

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების გაყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 4 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ე. კ-შვილმა მოპასუხე ვ. კ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მამის -ვ. კ-შვილის სამკვიდრო ქონების იმგვარად გაყოფა, რომ მოპასუხეს მიეკუთვნოს თბილისში, ... მე-15 კილომეტრზე მდებარე 1219 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე არსებული კერძო სახლითა და საოჯახო მოხმარების საგნებით, ხოლო მას -თბილისში, დაბა ზაჰესში ... მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და თბილისში, ... მე-3 მ/რ-ში მდებარე 31 კვ.მ ერთთახიანი ბინა. მოსარჩელემ აგრეთვე მოითხოვა საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მისი მამა, ვ. კ-შვილი გარდაიცვალა 2007 წლის თებერვალში. მას დარჩა სამი მემკვიდრე: მეუღლე ა. კ-შვილი და ორი შვილი -ე. და ვ. კ-შვილები. მამკვიდრების სამკვიდრო ქონება მოიცავდა: ა) თბილისში (ყოფილი მცხეთის რაიონი), ... მე-15 კილომეტრზე მდებარე 1219 კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 370 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობების 5/6-ს; ბ) თბილისში (ყოფილი მცხეთის რაიონი), ... მე-15 კილომეტრზე, ... დასახლებაში მდებარე 900 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს; გ) თბილისში, ... მ/რ-ის 79ა კორპუსში მდებარე 31 კვ.მ ერთთახიან ბინასა და საოჯახო მოხმარების საგნებს.

სამკვიდრო ქონების მისაღებად მოსარჩელემ ექვსი თვის ვადაში მიმართა ნოტარიუსს, რაც როგორც თავად აღნიშნავდა, ნიშნავდა მის მიერ სამკვიდროს მიღებას. ამდენად, მოსარჩელე წარმოადგენდა კუთვნილი წილის მესაკუთრეს, თუმცა სანოტარო წესით სამკვიდროს გაყოფა ვერ მოხერხდა დანარჩენ მემკვიდრეთა განსხვავებული პოზიციის გამო.

მოსარჩელის აზრით, მთელი სამკვიდრო ქონება უნდა გაყოფილიყო სამად, ვინაიდან მამკვიდრებელს დარჩა სამი მემკვიდრე, ხოლო ზემოაღნიშნული უძრავი ქონება მამკვიდრების გარდაცვალების მომენტისათვის საჯარო რეესტრში ირიცხებოდა მის სახელზე. სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლის შესაბამისად შედავების ორი თვის განმავლობაში სადავოდ არავის გაუხდია მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მესამედის მიღების ფაქტი. მათ შორის, არც მამკვიდრების მეუღლეს განუცხადებია პრეტენზია ქორწინების განმავლობაში შეძენილ რაიმე ქონებაზე, რის გამოც ზემომითითებული ვადის გასვლის შემდეგ მამკვიდრების მეუღლეს ერთმეოდა უფლება, პრეტენზია განუცხადებინა სამკვიდრო ქონების რაიმე დამატებით წილზე.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთმა მემკვიდრემ, ა. კ-შვილმა (მეუღლე) უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე მოსარჩელის დის -ვ. კ-შვილის სასარგებლოდ. რამდენადაც სამკვიდროს მიღებაზე უარი შეუქცევადია, ქონება უნდა განაწილებულიყო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, თუმცა ვ. კ-შვილი უფლებამოსილი იყო მიეღო ორი წილი. მთლიანობაში პროპორცია არ ირღვეოდა და მოსარჩელეს უნდა გამოყოფოდა მთელი სამკვიდროს 1/3. ამასთან, სამკვიდროს გაყოფისას გასათვალისწინებელი იყო გასაყოფი ქონების ხასიათი, თითოეული თანამემკვიდრის საქმიანობა და სხვა კონკრეტული გარემოებები.

მოსარჩელის მითითებით, ა. და ვ. კ-შვილებს სურდათ ესარგებლათ სამოქალაქო კოდექსის 1481-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით, კერძოდ, უპირატესად მიეღოთ კერძო სახლი (1219 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე არსებული), სადაც ცხოვრობდნენ და საოჯახო მოხმარების საგნები, რაც გახდა ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე მოცემული სახლიდან ვეღარ მიიღებდა 338.61 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთს და 102.7 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობას, ასევე საოჯახო საგნების მესამედს. უპირატესი უფლების განხორციელებისას თანამემკვიდრის ინტერესი უნდა დაკმაყოფილებულიყო ჯერ სხვა ქონებიდან, ხოლო თუ ასეთი ქონება საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ სათანადო

კომპენსაციით. მოცემულ შემთხვევაში სხვა ქონებას, რომელიც რჩებოდა გასაყოფი და რომლითაც დამატებით უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის ინტერესი, წარმოადგენდა ერთოთახიანი ბინა საერთო 31 კვ.მ (5 კვ.მ მიწის ნაკვეთით) და 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. კომპენსაციის სახით ერთოთახიანი ბინის მიკუთვნების შემთხვევაში, მოსარჩელეს კიდევ მისაღები ექნებოდა 335.27 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 82.03 კვ.მ შენობა-ნაგებობა. მოსარჩელის აზრით, ამ უძრავი ქონების და საოჯახო მოხმარების საგნების 1/3-ის კომპენსაციისათვის დარჩენილი ქონება -900 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 600 კვ.მ არ იქნებოდა საკმარისი (300 კვ.მ მას ისედაც ეკუთვნოდა). ასეთ ვითარებაში სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კომპენსაციის სანაცვლოდ თანხის გადახდას, თუმცა ე. კ-ში აღნიშნული უფლება არ გამოიყენა და სამკვიდრო ქონების გაყოფა სარჩელში აღნიშნული წესით მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაება ა. კ-ში.

ამავე სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით ე. კ-ში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოსარჩელეს მამის, 2007 წლის 16 თებერვალს გარდაცვლილი ვ. კ-ში სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის სახით გამოეყო თბილისში, ... მასივის III მ/რ-ში, 79^ა კორპუსში მდებარე #23 ბინიდან იდეალური 1/6 და თბილისში, ... მე-15 კმ ... დასახლებაში მდებარე 0.090 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის სარეგისტრაციო #721203342) 537 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

დასახლებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-ში, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აგრეთვე ე. კ-ში, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისთვის ... დასახლებაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 900 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის მიკუთვნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. კ-ში სარჩელი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ვ. კ-ში სარჩელი სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი ე. კ-ში სარჩელისათვის მამის, 2007 წლის 16 თებერვალს გარდაცვლილი ვ. კ-ში სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის სახით თბილისში, ... მასივის III მ/რ-ში, 79^ა კორპუსში მდებარე #23 ბინიდან იდეალური 1/6-ის გამოყოფის ნაწილში; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ე. კ-ში სარჩელის მამის -ვ. კ-ში სამკვიდრო ქონებიდან წილის სახით გამოეყო თბილისში, ... მე-15 კმ დ. ზაჰესის, დასახლებაში მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნახევრის 1/3, ანუ 1/6; მასვე მიეკუთვნა თბილისში, ... მე-15 კმ, დ. ზაჰესი, საერთო 1219 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე აშენებული საცხოვრებელი სახლის (საერთო 253.84 კვ.მ) ვ. კ-ში კუთვნილი 5/6-ის ნახევრის 1/3, ანუ 1/6 წილის შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ აწარმოდა ვ. კ-ში სარჩელის სახელზე რიცხული უძრავი ქონებიდან სამკვიდრო ქონებას შეადგენდა: ა. თბილისში, ... მე-15 კმ დ. ზაჰესი, დასახლებაში მდებარე 0.090 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ნახევარი, რომლის ღირებულება შეადგენდა 9 000 აშშ დოლარს; ბ. თბილისში, ... მასივის III მ/რ-ში, 79^ა კორპუსში მდებარე #23 ბინის ნახევარი, რომლის ღირებულება შეადგენდა 10 250 აშშ დოლარს; დ. თბილისში, ... მე-15 კმ დ. ზაჰესში მიწის ნაკვეთი (საერთო 1219 კვ.მ) და მასზე აშენებული საცხოვრებელი სახლის (შენობის საერთო 253.84 კვ.მ) 5/6-ის ნახევარი, რომლის ღირებულება შეადგენდა 23 250 აშშ დოლარს.

რამდენადაც ზემოთხსენებული უძრავი ქონება შეძენილი იყო მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში და წარმოადგენდა მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამკვიდრო გაყოფას დარჩენილი ნახევრის ფარგლებში ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. კ-ში წარმოადგენდა მემკვიდრეს, რომელსაც გააჩნდა უპირატესი უფლება თბილისში, ... მე-15 კმ, ზაჰესში მდებარე 1219 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების 5/6-ზე (მამკვიდრებლის კუთვნილი წილი) წილზე, რამდენადაც იგი იყო მამკვიდრებელთან საერთო საკუთრების უფლების მქონე, ასევე სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთ წლით ადრე მამკვიდრებელთან ერთად მცხოვრები პირი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტ ე. კ-შვილის მოთხოვნა თბილისში, ... მე-15 კმ დ. ზაჰესი, დასახლებაში მდებარე 0.090 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე, რადგან მიიჩნია, რომ აღნიშნული უძრავი ქონებიდან მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა მისი ნახევარი -0.450ჰა მიწის ნაკვეთი (რომელიც ღირებულებაში გამოიხატებოდა 9 000 აშშ დოლარით).

რაც შეეხებოდა აპელანტის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 1482-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, უპირატესი უფლების განხორციელებისას, გათვალისწინებული ყოფილიყო იმ სხვა მემკვიდრეთა ინტერესები, რომლებიც სამკვიდროს გაყოფაში მონაწილეობდნენ, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასეთ ქონებად კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მიჩნეულიყო თბილისში, ... მე-15 კმ დ. ზაჰესის, დასახლებაში მდებარე 0.090 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ნახევარი და თბილისში, ... მასივის III მ/რ-ში, 79° კორპუსში მდებარე #23 ბინის ნახევარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ე. კ-შვილი არ დათანხმდა მორიგების პირობებს იმის თაობაზე, რომ თბილისში, ... მასივის III მ/რ-ში, 79° კორპუსში მდებარე #23 ბინის არა ნახევარი (სამკვიდრო მასა), არამედ მთლიანად გადასცემოდა მას. ანუ, მისი ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილება მითითებული ბინის სრულად მიღების სახით, ვერ განხორციელდა. რაც შეეხებოდა თბილისში, ... მე-15 კმ დ. ზაჰესის, დასახლებაში მდებარე 0.090 ჰ. მიწის ნაკვეთის ნახევრის (სამკვიდრო მასა) გადაცემას, როგორც ამას აპელანტი ითხოვდა, აღნიშნული სააპელაციო სასამართლომ არამიზანშეწონილად მიიჩნია, რადგან მოცემული მიწის ნაკვეთი იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, რომელსაც ამ მიზნით იყენებდა მოწინააღმდეგე მხარე. აქედან გამომდინარე, მთლიანი მიწის შუაზე გაყოფა ხელს შეუშლიდა მისი, როგორც სიცოცხლისუნარიანი მეურნეობის არსებობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1482-ე მუხლის ბოლო წინადადების მოთხოვნიდან გამომდინარე, თბილისში, ... მე-15 კმ, დ. ზაჰესში მდებარე 1219 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე აშენებული საცხოვრებელი სახლის (შენობის საერთო ფართი -253.84 კვ.მ) ვ. კ-შვილის კუთვნილი 5/6-ის ნახევრის 1/3, ანუ 1/6 ე. კ-შვილს უნდა მიკუთვნებოდა ფულადი კომპენსაციის სახით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. კ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სამკვიდროს ქონებრივი კომპენსაციის ნაცვლად ფულადი კომპენსაციის მინიჭების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ქონებრივი კომპენსაციის სახით მიეკუთვნება: თბილისში, ... მე-15 კმ, დ. ზაჰესის დასახლებაში მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 450კვ.მ (მისთვის მიკუთვნებულ 150კვ.მ +300კვ. მ) და ... მასივის III მ/რ-ში, 79° კორპუსში მდებარე #23 ბინიდან 8.48კვ.მ (მისთვის მიკუთვნებულ 5.16კვ.მ + 3.32 კვ. მ), რომელიც არის მთლიანი ბინის 1/3,6555 წილი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1452-ე და 1462-ე მუხლები, სასამართლოს არ უნდა განესაზღვრა მისთვის ფულადი კომპენსაცია, რადგან არსებობდა ქონებრივი კომპენსაციის შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სარგებლობს უპირატესი უფლებით და მთლიანად მიაკუთვნა თბილისში, ... მე-15 კმ. , დ. ზაჰესი, საერთო ფართობი 1219კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე აშენებული საცხოვრებელი სახლი. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს აუდიტის დასკვნაზე, რომლის თანახმად, დასახელებულ ქონებაში მისი წილის ღირებულება შეადგენს 7 700 აშშ დოლარს. ასეთი ღირებულების ქონებას წარმოადგენს თბილისში, ... მე-15 კმ, დ. ზაჰესი, დასახლებაში მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 300 კვ.მ (რომელიც აუდიტის მიერ შეფასებულია 6 000 აშშ დოლარად) და ... მასივის III მ/რ-ში, 79° კორპუსში მდებარე #23 ბინის 3.32 კვ.მ (რომელიც აუდიტის მიერ შეფასებულია 1 700 ლარად).

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის სხდომაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას, მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

პროცესის მონაწილე მხარეები მხარეები, ერთი მხრივ, ვ. კ-შვილი, მეორე მხრივ, ე. კ-შვილი (წარმომადგენელი შ. კ-შვილი), ხოლო, მესამე მხრივ, ა. კ-შვილი, ადგენენ წინამდებარე მორიგების აქტს შემდეგზე:

1.1 მხარეთა შორის დავა სასამართლოში შეწყდეს მორიგების საფუძველით;

1.2 ე. კ-შვილს მიეკუთვნოს ... მასივის III მ/რ-ში, 79° კორპუსში მდებარე ბინა #23 (ქონების რეკვიზიტები: ზონა თბილისი -1, სექტორი გლდანის -11, კვარტალი #12, ნაკვეთი #4/22);

1.3 ა. კ-შვილს არა აქვს პრეტენზია ე. კ-შვილზე ამ მორიგების აქტის "1.2" პუნქტში გათვალისწინებული ქონების გადაცემაზე და თანახმაა, რომ მთლიანი ბინა აღირიცხოს მის სახელზე;

1.4 ე. კ-შვილს არა აქვს რაიმე პრეტენზია შემდეგ სამკვიდრო ქონებაზე: ა. თბილისში, ... მე-15 კმ-ზე მდებარე 1219 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე (რეკვიზიტები: სარეგისტრაციო ზონა -მცხეთა, კოდი -72, სექტორი -ზაჰესი, კოდი -12, კვარტლის #03, ნაკვეთის #348); ბ. თბილისში, ... მე-15 კმ-ზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც შეადგენს 900 კვ.მ-ს (რეკვიზიტები: სარეგისტრაციო ზონა -მცხეთა, კოდი -72, სექტორი -ზაჰესი, კოდი -12, კვარტლის #03, ნაკვეთის #342);

1.5 ვ. კ-შვილზე აღირიცხოს დანარჩენი სამკვიდრო ქონება (ვ. კ-შვილის სამკვიდრო);

1.6 ეთხოვოს სასამართლოს საქმის წარმოების შეწყვეტა მორიგების საფუძველით;

1.7 ამ აქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღსრულება მოხდება სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორს -ე. კ-შვილს უნდა დაუბრუნდეს ვ. კ-შვილის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (მთლიანობაში 620 ლარი) ნახევარი -310 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

I. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1.1 მხარეთა შორის დავა სასამართლოში შეწყდეს მორიგების საფუძველით.

1.2 ე. კ-შვილს მიეკუთვნოს ... მასივის III მ/რ-ში, 79^ა კორპუსში მდებარე ბინა #23 (ქონების რეკვიზიტები: ზონა თბილისი -1, სექტორი გლდანი -11, კვარტალი #12, ნაკვეთი #4/22);

1.3 ა. კ-შვილს არა აქვს პრეტენზია ამ მორიგების აქტის "1.2" პუნქტში გათვალისწინებული ქონების ე. კ-შვილისათვის გადაცემაზე და თანახმაა, რომ მთლიანი ბინა აღირიცხოს მის სახელზე;

1.4 ე. კ-შვილს არა აქვს რაიმე პრეტენზია შემდეგ სამკვიდრო ქონებაზე: ა. თბილისში, ... მე-15 კმ-ზე მდებარე 1219კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე (რეკვიზიტები: სარეგისტრაციო ზონა -მცხეთა, კოდი -72, სექტორი -ზაჰესი, კოდი -12, კვარტლის #03, ნაკვეთის #348); ბ. თბილისში, ... მე-15 კმ-ზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც შეადგენს 900კვ. მ-ს (რეკვიზიტები: სარეგისტრაციო ზონა -მცხეთა, კოდი -72, სექტორი -ზაჰესი, კოდი -12, კვარტლის #03, ნაკვეთის #342);

1.5 ვ. კ-შვილზე აღირიცხოს დანარჩენი სამკვიდრო ქონება (ვ. კ-შვილის სამკვიდრო).

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

III. მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

IV. ე. კ-შვილს დაუბრუნდეს ვ. კ-შვილის მიერ სავსაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (620 ლარის) ნახევარი -310 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე;

V. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-280-602-09

14 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 1 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შ. ქ-მემ მოპასუხეების: შ. ვ-მის, ნ. ბ-მის, ა. ს-მისა და მ. გ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: მოპასუხეებისათვის მის სასარგებლოდ 12 000 აშშ დოლარის დაკისრება, ერთობლივი საქმიანობისათვის შექმნილი კომბინირებული საკვების დამამზადებელი საამქროს მხარეთა შორის რეალურად გაყოფა, ხოლო აღნიშნული ქონების გაყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში -მისი რეალიზაცია.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1996 წლის მაისის დასაწყისში შ. ქ-მე, ნ. ბ-მე, ა. ს-მე და მ. გ-მე შეთანხმდნენ, შეექმნათ კომბინირებული საკვების დამამზადებელი საამქრო. შეთანხმების თანახმად, საამქროს მშენებლობა უნდა დაეფინანსებინა შ. ქ-მეს. ერთობლივი საქმიანობისათვის საჭირო ტერიტორიის მოძიებისას მათ არჩევანი შეაჩერეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში მცხოვრები შ. ვ-მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც ასევე ურეხში მდებარეობს. ურთიერთმოლაპარაკების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე: ააშენებდნენ კომბინირებულ საკვების დამამზადებელ საამქროს, აწარმოებდნენ და რეალიზაციას გაუკეთებდნენ კომბინირებულ საკვებს, საამქროს ასაშენებლად ტერიტორიას გამოყოფდა შ. ვ-მე მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან, რისი ვალდებულებაც მან, როგორც მოწილემ იკისრა. ამდენად, შ. ვ-მის მიერ ტერიტორიის გამოყოფა წარმოადგენდა მის შენატანს ერთობლივ საქმიანობაში. ამასთან, იგი ვალდებულებას იღებდა, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია მოეხდინა მისი ფირმის მეშვეობით. შ. ქ-მეს, თავის მხრივ, უნდა დაეფინანსებინა საამქროს მშენებლობა, ხოლო მ. გ-მე, ა. ს-მე და ნ. ბ-მე იღებდნენ ვალდებულებას, რომ მონაწილეობას მიიღებდნენ მშენებლობაში, რაც გამოიხატებოდა როგორც ფიზიკურ მუშაობაში, ასევე მუშების მოყვანასა და საამქროსათვის საჭირო დანადგარების მოძებნაში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით პირველ რიგში დაიფარებოდა შ. ქ-მის მიერ საამქროს მშენებლობაზე გაწეული ხარჯები, რის შემდგომაც მათ თანაბარი უფლება ექნებოდათ ერთობლივი საქმიანობისას შეძენილ ქონებაზე, მათ შორის, საამქროზე.

კომბინირებული საკვების დამამზადებელი საამქროს მშენებლობა დასრულდა 1996 წლის ბოლოს და შ. ქ-მის მიერ გაწულმა ხარჯებმა შეადგინა 25 000 აშშ დოლარი. 1996-1998 წლებში კომბინირებული საკვების წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან შ. ქ-მეს აუნაზღაურდა თანხის ნაწილი -13 000 აშშ დოლარი, რაც ძირითადად გადახდილი იყო სამშენებლო სამუშაოებზე. დანარჩენი ნაწილი (12 000 აშშ დოლარი), რომელიც მოსარჩელემ გადაიხადა მოწყობილობა-დანადგარების შეძენაში, მისთვის არავის აუნაზღაურებია. 1999 წლიდან შ. ქ-მე უშუალოდ აღარ მონაწილეობდა საამქროს წარმოებასა და რეალიზაციაში, დანარჩენი პარტნიორების

განმარტებით კი, მითითებული პერიოდიდან საამქრო არ იძლეოდა იმ ოდენობის შემოსავალს, რომ მის მიერ გაწეული ხარჯები სრულად დაფარულიყო.

მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლზე და განმარტა, რომ ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ის, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე. კონკრეტულ შემთხვევაში ასეთს წარმოადგენდა კომინირებული საკვების დამამზადებელი საამქრო, რომელიც აშენებული იყო მონაწილეთა მიერ ერთობლივი საქმიანობის საწარმოებლად. შესაბამისად, იგი მონაწილეთა შორის თანაბრად უნდა განაწილებულიყო.

სარჩელში მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად დასახელებულია სამოქალაქო კოდექსის 940-ე, 991-ე მუხლები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის საოქმო განჩინებით შ. ქ-ძის სარჩელი მოპასუხე მ. გ-ძის მიმართ დატოვებულ იქნა განუხილველად მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

საქალაქო სასამართლოს ამავე სხდომაზე მოსარჩელემ 12 000 აშშ დოლარის მოთხოვნაზე ადრესატად შ. ვ-ძე დაასახელა და მითითებული თანხის მისთვის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის მოსაზრებით, რამდენადაც ტერიტორია, სადაც განთავსებული იყო მოწყობილობა-დანადგარები, იმყოფებოდა შ. ვ-ძის მფლობელობაში, მის მიერ შეძენილი ქონების მითვისება სწორედ ამ უკანასკნელმა განახორციელა. ამდენად, დასტურდებოდა, რომ შ. ვ-ძე უსაფუძვლოდ გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე, რაც სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის შესაბამისად, მისთვის თანხის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა.

2004 წლის 17 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა შ. ვ-ძემ მოპასუხე შ. ქ-ძის მიმართ. შეგებებული სარჩელის ავტორის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ქონებიდან -57 000 აშშ დოლარიდან მისი წილის -15 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

შეგებებული მოსარჩელის განმარტებით, შენობა, რომელზეც შ. ქ-ძე მიუთითებდა, აშენებული იყო დაახლოებით ორმოცი წლის წინ და მის მიშენება-რეკონსტრუქციაზე მოსარჩელეს არანაირი ხარჯი არ გაუღია. ასეთ ვითარებაში მოსარჩელის მტკიცება შენობის მის მიერ აშენების თაობაზე სრულიად უსაფუძვლო იყო. 1996 წელს შ. ვ-ძემ დანარჩენ პარტნიორებთან შეთანხმებით მართლაც გადაწყვიტა, რომ კომინირებული საკვების წარმოებაში შ. ქ-ძე ჩაება. ისინი ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნულით წარმოების რენტაბელობა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა.

ურთიერთშეთანხმების შედეგად შ. ვ-ძის წილობრივი მონაწილეობა ერთობლივ საქმიანობაში განისაზღვრა კუთვნილი შენობა-ნაგებობების საწარმოსათვის სარგებლობაში გადაცემით. საქმიანობის წარმართვა თავის გუნდთან ერთად (ნ. ბ-ძე, ა. ს-ძე, მ. გ-ძე), მათ შორის, პროდუქციის რეალიზაცია, იკისრა შ. ქ-ძემ.

შეგებებული მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მის წარმოებაში მოსარჩელისა და დანარჩენი პარტნიორების შესვლისას არ შეწყვეტილა კომინირებული საკვების რეალიზაციის მის მიერ დაწყებული პროცესი. შ. ქ-ძემ დაიწყო ერთობლივი საქმიანობიდან ამონაგები თანხების მასთან აკუმულირება. სწორედ ამ თანხებით აწარმოა მან შ. ვ-ძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე უკვე არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია და მეფრინველეობის ქარხნიდან ჩამოწერილი მოწყობილობა-დანადგარების შექმნა. აღნიშნულზე, როგორც თავად აღიარა, დახარჯა 13 000 და არა 25 000 აშშ დოლარი, როგორც სარჩელში იყო აღნიშნული.

შეგებებული სარჩელის ავტორის მითითებით, შ. ქ-ძემ პარტნიორებისათვის წარდგენილ ანგარიშში დააფიქსირა, რომ ერთობლივი საქმიანობის პერიოდში მასთან მოგროვდა 70 000 აშშ დოლარი, ხოლო დროის ამ პერიოდში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა არ აღემატებოდა 13 000 აშშ დოლარს. ამასთან, მოსარჩელემ საწყობი და თანხების მოძრაობაზე ზედამხედველობა ჩააბარა თავის დისშვილს -თ. გ-ძეს, თუმცა აღნიშნა, რომ მაინც პირადად აგებდა პასუხს მთელი საქმიანობის ეკონომიურ წარმატებაზე.

ერთობლივი საქმიანობის მესამე წელს, როდესაც შ. ვ-ძემ მოგებიდან კუთვნილი წილის მიღება მოითხოვა, შ. ქ-ძემ განაცხადა, რომ მოგროვილი თანხა თ. გ-ძეს მთლიანად მოპარეს. თავის მხრივ, თ. გ-ძემ აღნიშნა, რომ ეს ტყუილი იყო, რომ მან თავმოყრილი თანხა მთლიანად გადასცა შ. ქ-ძეს. მათ შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკების გამო შ. ქ-ძემ ერთობლივი საქმიანობის მთელი ბუღალტერია, ყველა ჩანაწერი, წაიღო სახლში, დაიქირავა მისთვის სასურველი ბუღალტერი (მ. მ-ძე), რომელთან ერთადაც შეადგინა ბალანსი. აღნიშნული ბალანსის სისწორე ხელმოწერით დაადასტურა ყველა პარტნიორმა. რაც შეეხებოდა საამქროს მიშენებასა და მოწყობილობა-დანადგარების შექმნაზე გაწეულ ხარჯებს, მითითებულ დოკუმენტზე ხელი არავინ მოაწერა, რადგან მასში შეტანილი იყო ნედლეულის შესაძენი ხარჯებიც, ხოლო მოწყობილობა-დანადგარების შექმნაზე გაწეული ხარჯები ხელოვნურად იყო გაზრდილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შ. ვ-მე მიიჩნევდა, რომ ერთობლივი საქმიანობის ხარჯი 13 000 აშშ დოლარს, ხოლო შემოსავალი -70 000 აშშ დოლარს შეადგენდა. შესაბამისად, დარჩენილი მოგება 57 000 აშშ დოლარი იყო, საიდანაც მოსარჩელეს მისი კუთვნილი წილის სახით 15 000 აშშ დოლარის გადახდა უნდა.

მოგვიანებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა აგრეთვე ნ. ბ-მემ მოპასუხეების -შ. ვ-მისა და შ. ქ-მის მიმართ, რომელმაც მოითხოვა პირველი მოპასუხისაგან კუთვნილი ნივთების გამოთხოვა, ხოლო მეორისათვის -მის სასარგებლოდ 32 285 აშშ დოლარის მესამედი თანხის დაკისრება.

შეგებებული მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1996 წელს შ. ქ-მესთან, ა. ს-მესა და მ. გ-მესთან ერთად დაიწყო კომბინირებული საკვების დამზადებისა და რეალიზაციის საქმიანობა. შ. ვ-მის წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა საწარმოსათვის მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების და 30 მსხვილფეხა პირუტყვის სარგებლობაში გადაცემით. მათი საქმიანობა დოკუმენტალურად არ გაფორმებულა. საწარმოში დამონტაჟდა ნ. ბ-მის კუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების გარკვეული ნაწილი, რომლებიც შემდგომში შ. ვ-მემ მიითვისა. 1997 წლის აპრილში დაასრულეს საამქროს მშენებლობა და დაიწყო მუშაობა. შ. ვ-მემ არ შეასრულა თავისი პირობა და საამქროში საქონელი არ მიიყვანა. საამქრო აწარმოებდა და ყიდდა ქატოს. ქატოს რეალიზაციიდან მიღებული თანხის გადამოწმებისას ნ. ბ-მემ აღმოაჩინა 17 000 ლარის დანაკლისი. საამქროს მუშაობას ხელმძღვანელობას უწევდა შ. ქ-მე. შემდგომ პერიოდში იკარგებოდა შემოსავალი, რის გასარკვევადაც შ. ქ-მემ მიიყვანა აუდიტი. შემოწმების შედეგად აუდიტმა დაადგინა, რომ შემოსავალ-გასავალი სწორად იყო ნაჩვენები და შ. ქ-მეს უნდა მიეღო 12 000 აშშ დოლარი. დასკვნა ემყარებოდა არასწორ მონაცემებს, მასში ზუსტად არ იყო ნაჩვენები რეალიზებული ქონების ოდენობა, ფასი, პერიოდები, შემოსავალი. ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული მოგება რეალურად შეადგენდა 32 285 აშშ დოლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ქ-მის სარჩელი, შ. ვ-მისა და ნ. ბ-მის შეგებებული სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1996 წლის მაისის დასაწყისში შ. ქ-მე, შ. ვ-მე, ნ. ბ-მე, ა. ს-მე და მ. გ-მე შეთანხმდნენ, შეექმნათ კომბინირებული საკვების დამამზადებელი საამქრო. შეთანხმების შედეგად საამქროს მშენებლობა უნდა დაეფინანსებინა შ. ქ-მეს. საამქროს მოსაწყობად ხელვაჩაურის რაიონის სოფელ . . .-ში ტერიტორია გამოყო შ. ვ-მემ. ნ. ბ-მე, ა. ს-მე და მ. გ-მე, თავის მხრივ, იღებდნენ ვალდებულებას, რომ მონაწილეობას მიიღებდნენ მშენებლობაში, რაც გამოიხატებოდა როგორც ფიზიკურ მუშაობაში, ასევე მუშების მოყვანასა და საამქროსათვის საჭირო დანადგარების მოძებნაში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით პირველ რიგში დაიფარებოდა შ. ქ-მის მიერ საამქროს მშენებლობაზე გაწეული ხარჯები, რის შემდეგაც მათ თანაბარი უფლება ექნებოდათ ერთობლივი საქმიანობისას შექმნილ ქონებაზე, მათ შორის, საამქროზე;

კომბინირებული საკვების საამქროს მშენებლობა დასრულდა 1996 წლის ბოლოსათვის. შეთანხმებისამებრ ტერიტორია გამოყო შ. ვ-მემ, სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს ნ. ბ-მემ, ა. ს-მემ, მ. გ-მემ;

სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან ერთად შექმნილი და კომბინირებული საკვების დამამზადებელ საამქროში დამონტაჟდა შემდეგი მოწყობილობა-დანადგარები: 75კვ. ტ სიმძლავრის გენერატორი ს-100 დიზელის ძრავით, რომელიც დროთა განმავლობაში შეიცვალა ახალი ს-100 ფარსიროვანი დიზელის ძრავით; სამი ბუნკერი (თითო სამი ტონა); ვაგონი; ორი ცალი ჯაჭვური ტრანსპორტიორი; ტიტანი; ბალახის საფეკავი; საქონლის ამრევი, გრანულატორი; სამი ელექტროგამანაწილებელი; მოძრავი "შნეკური" ტრანსპორტიორი, ე. წ. "პუშკა"; დიდი "პუშკა"; მარცვლის სამსხვრევი, ორტონიანი ორი ცალი ელევატორი; ჯაჭვური ტრანსპორტიორი; ექვსი დოზატორი; მექანიკური დამცლელი ორმაგი მოქმედების ჯაჭვები ტრანსპორტირებისათვის; საკერავი მანქანა ტომრებისათვის; მოძრავი შნეკური ტრანსპორტიორი. სათადარიგოდ შექმნილ იქნა მარცვლის სამსხვრევი დდმ-2, მექანიკური დამცლელი ორმაგი მოქმედების, ჯაჭვები ტრანსპორტირებისათვის, საკერავი მანქანა ტომრებისათვის, ასევე სხვა დანადგარები;

1996-1998 წლებში კომბინირებული საკვების წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად მიღებულ იქნა შემოსავლები, საიდანაც შ. ქ-მემ მიიღო 13 000 აშშ დოლარი;

1999 წლიდან მხარეები ვერ შეთანხმდნენ საქმიანობის ერთობლივ გაგრძელებაზე და საამქროს მუშაობა გააჩერეს;

საქმეში არსებული შპს "ექსპერტ-აუდიტის" დასკვნის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში განლაგებული მოწყობილობა-დანადგარები ამორტიზებულია, ხოლო მათი ფასი ტოლია ჯართის ფასის.

2007 წლის ბოლოს, სასამართლოს მიერ განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნისას დადგინდა, რომ ადგილზე მოწყობილობა-დანადგარები აღარ არსებობდა.

ასევე დადგინდა, რომ ერთობლივი საქმიანობით შექმნილი კომბინირებული საამქრო არ იყო რეგისტრირებული საგადასახადო ორგანოში და მათი საქმიანობა წარმოადგენდა უკანონო სამეწარმეო საქმიანობას. მათ არ შეუდგენიათ ხელშეკრულება საქმიანობის თაობაზე და ერთმანეთის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრეს ზეპირად. საწარმოში არ შეუქმნიათ ბუღალტერია, არ ასახულა რა თანხები დახარჯა შ. ქ-მემ, რა შეიძინეს საამქროსათვის, რა შემოსავალი მოიტანა საამქრომ თავისი არსებობის მანძილზე, რა თანხები ჰქონდათ მიღებული მეწილეებს. ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები მხარეებს არ წარუდგენიათ. ამასთან, ისინი იძლეოდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებს.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, შ. ქ-მის მოთხოვნა გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლიდან, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული. სასამართლოს განმარტებით, მოთხოვნის დასასაბუთებლად შ. ქ-მეს უნდა წარედგინა მტკიცებულებები, რომლითაც დადგინდებოდა, რომ მან საამქროს მშენებლობაზე დახარჯა 25 000 აშშ დოლარი, აქედან 13 000 აშშ დოლარი მიიღო და 12 000 აშშ დოლარი მისაღები ჰქონდა. მოსარჩელემ მტკიცებულებები ვერ წარადგინა და თავისი მოთხოვნა დაასაბუთა მხოლოდ ზეპირი განმარტებით, რაც სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნია იმისათვის, რომ ევარაუდა შ. ვ-მის დასახელებული თანხით ან ამ თანხაზე მეტი ან ნაკლები თანხით გამდიდრება.

საქალაქო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია შ. ვ-მის მოთხოვნაც ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული თანხიდან კუთვნილი წილის -15 000 აშშ დოლარის დაბრუნების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნა, თავის მხრივ, გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლიდან, რომლის მიხედვით, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. მოცემული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა საქალაქო სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ არსებობდა.

ნ. ბ-მის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად საქალაქო სასამართლომ მის დაუსაბუთებლობაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მხარის მიერ ფაქტების ზოგადად აღწერა, არ წარმოადგენდა სარჩელის დასაბუთებას.

ამდენად, იმ მიზეზით, რომ მხარეებმა ვერ მოახერხეს მათ მიერ სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი მოთხოვნები არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ქ-მემ (წარმომადგენელი ვალერიან გიორგაძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შ. ვ-მისათვის მის სასარგებლოდ 12 000 აშშ დოლარის დაკისრება.

აპელანტის აზრით, საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლეოდა დასკვნის საფუძველს, რომ კომბინირებული საკვების დამამზადებელი საამქროსათვის შ. ქ-მის მიერ გაღებული ხარჯი შეადგენდა 25 000 აშშ დოლარს. აქედან, სამშენებლო სამუშაოებს მოხმარდა 13 000 აშშ დოლარი, ხოლო 12 000 აშშ დოლარით შეძენილ იქნა მოწყობილობა-დანადგარების გარკვეული ნაწილი. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ცხადყოფდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვით, საამქროს სარგებლობაში არსებული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 16 120 ლარი, რომელიც 1996 წელს მოქმედი ვალუტის კურსის შესაბამისად შეადგენდა სწორედ 13 000 აშშ დოლარს. ის გარემოება, რომ საამქროს ფუნქციონირებისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების შეძენა შეთანხმებით შ. ქ-მეს ევალებოდა, თავად სასამართლომაც დადგინდა მიიჩნია.

გარდა ამისა, ერთ-ერთმა პარტნიორმა ნ. ბ-მემ 2007 წლის 28 მაისს წარდგენილი შეგებებული სარჩელით დაადასტურა ის ფაქტი, რომ საამქროს მოწყობაში შ. ქ-მის მიერ გაღებულმა ხარჯმა შეადგინა 32 500 ლარი, რაც იმ დროისათვის არსებული კურსის მიხედვით იყო 25 000 აშშ დოლარი.

აპელანტმა ყურადღება მიაქცია ერთობლივი საქმიანობის კიდევ ერთი მონაწილის -ა. ს-მის ახსნა-განმარტებაზე, სადაც ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ საამქროს ფუნქციონირებისათვის (როგორც შენობის მოწყობის, ისე დანადგარების შეძენისათვის) საჭირო თანხები შ. ქ-მემ გაიღო და იგი შეადგენდა 25 000 აშშ დოლარს.

აპელანტმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად. მისი აზრით, მოცემულ მუხლზე დაყრდნობით სასამართლოს უნდა მიეჩნია, რომ შ. ქ-ძის მიერ შეძენილი და შ. ვ-ძის მიერ გასხვისებული დანადგარების ღირებულება შეადგენდა 13 000 აშშ დოლარს, რადგან დანადგარების გასხვისებით მოპასუხემ ხელი შეუშალა ექსპერტიზას, შეეფასებინა ისინი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა შ. ვ-ძემ, რომელმაც შეგებებულ სარჩელში ჩამოყალიბებული საფუძვლებით მოითხოვა ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან (57 000 აშშ დოლარი) მისი წილის -15 000 აშშ დოლარის შ. ქ-ძისათვის დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით შ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი და შ. ვ-ძის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დადგენილად ცნო ისინი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამავე კოდექსის 931-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად (1999 წელს მოქმედი რედაქცია).

მხარეთა მიერ ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისათვის საამქროს მშენებლობის დაწყებით, კომბინირებული საკვების რეალიზაციითა და ტერიტორიის გამოყოფით დასტურდებოდა, რომ ისინი შეთანხმდნენ ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შესახებ.

ასევე დგინდებოდა, რომ მხარეებმა 1999 წელს შეწყვიტეს საწარმოს საქმიანობა. შესაბამისად, მათ შეწყვიტეს ერთობლივი საქმიანობის თაობაზე ზეპირი ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია შ. ქ-ძის მოთხოვნა შ. ვ-ძის, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრებულის მიმართ 12 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლზე. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, პირი, რომელიც სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული. მოცემული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა სააპელაციო სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ საქმეზე დაუდგენელი იყო ფაქტი -შ. ვ-ძემ დაშალა და გაყიდა თუ არა რაიმე ქონება, რომელიც წარმოადგენდა საამქროში შ. ქ-ძის მიერ შეძენილ ქონებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნა ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ასევე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რამდენადაც მხარეებმა თავადვე მიუთითეს, რომ 1999 წელს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდა.

საამქროს შემოსავალ-გასავლის თაობაზე საქმეში არსებული ცნობის ასლით, რომელსაც ხელს აწერდნენ შ. ქ-ძე, შ. ვ-ძე, ნ. ბ-ძე და თ. გ-ძე, დგინდებოდა, რომ მთლიანად შემოსავალმა 70 000 აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ვერ გამოდგებოდა იმის მტკიცებულებად, რომ უშუალოდ შ. ქ-ძემ საამქროს მშენებლობისათვის და მოწყობილობა-დანადგარების შესაძენად 25 000 აშშ დოლარი დახარჯა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმის განხილვის მომენტისათვის საამქროში მოწყობილობა-დანადგარები აღარ არსებობდა, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა საამქროს რეალურად გაყოფისა და წინააღმდეგ შემთხვევაში მისი აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული იყო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა. რამდენადაც სამოქალაქო კოდექსი არ ადგენდა რაიმე კონკრეტულ ვადას უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაზე სწორედ ხანდაზმულობის საერთო ვადა (10 წელი) უნდა გავრცელებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა 1999 წელს, ხოლო სარჩელი შ. ქ-ძემ წარადგინა 2004 წელს, მოთხოვნა წილის რეალურად გამოყოფის ნაწილში ხანდაზმული იყო, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების ნაწილში ასეთად ვერ ჩაითვლებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შ. ვ-მის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რომელიც მდგომარეობდა მოპასუხისათვის ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული მოგებიდან (57 000 აშშ დოლარი) მისი წილის (15 000 აშშ დოლარი) დაკისრებაში, უნდა მოწერიგებულიყო სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით – ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავით გათვალისწინებული წესებით. სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება თანაბრად.

რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში შ. ვ-მემ თავისი წილი განსაზღვრა უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი წილი უნდა განსაზღვრულიყო მის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელი იყო იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენა, კონკრეტულად რა ოდენობის იყო შ. ვ-მის საკუთრება. შესაბამისად, შეუძლებელი იყო მსჯელობა კუთვნილის წილის ოდენობაზე. აქედან გამომდინარე, საწარმოდან მიღებული თანხა მხარეთა შორის თანაბარწილად უნდა განაწილებულიყო.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე დასტურდებოდა ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა -57 000 აშშ დოლარი, სააპელაციო სასამართლომ შ. ვ-მის ზემომითითებული მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სხვა საფუძველი – მოთხოვნის ხანდაზმულობა.

შეგებებული სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დაეფუძნა სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე მუხლებს, ხოლო აღნიშნული ვადის ათვლა დაუკავშირდა ხელშეკრულების შეწყვეტის დროს -1999 წელს, რადგან მხარემ მისი უფლების დარღვევის შესახებ სწორედ ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტით შეიტყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. ქ-მემ (წარმომადგენელი ვ. გ-მე), რომელმაც მოითხოვა მისი სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში მოცემული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შ. ვ-მისათვის მის სასარგებლოდ 12 000 აშშ დოლარის დაკისრება, შემდეგი საფუძველებით:

კასატორის აზრით, საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ კომბინირებული საკვების დამამზადებელი საამქროსათვის შ. ქ-მის მიერ გაღებული ხარჯი შეადგენს 25 000 აშშ დოლარს. აქედან, სამშენებლო სამუშაოებს მოხმარდა 13 000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი თანხით -12 000 აშშ დოლარით შეძენილ იქნა მოწყობილობა-დანადგარების გარკვეული ნაწილი. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ცხადყოფს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვით, საამქროს სარგებლობაში არსებული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 16 120 ლარი, რომელიც 1996 წელს მოქმედი ვალუტის კურსის შესაბამისად შეადგენდა სწორედ 13 000 აშშ დოლარს. ის გარემოება, რომ საამქროს ფუნქციონირებისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების შეძენა შეთანხმებით შ. ქ-მეს ევალებოდა, თავად სასამართლომაც დადგენილად მიიჩნია.

გარდა ამისა, ერთ-ერთმა პარტნიორმა ნ. ბ-მემ 2007 წლის 28 მაისს წარდგენილი შეგებებული სარჩელით დაადასტურა ის ფაქტი, რომ საამქროს მოწყობაში შ. ქ-მის მიერ გაღებულმა ხარჯმა შეადგინა 32 500 ლარი, რაც იმ დროისათვის არსებული კურსის მიხედვით იყო 25 000 აშშ დოლარი.

ერთობლივი საქმიანობის კიდევ ერთი მონაწილის -ა. ს-მის ახსნა-განმარტებით, საამქროს ფუნქციონირებისათვის (როგორც შენობის მოწყობის, ისე დანადგარების შეძენისათვის) საჭირო თანხები შ. ქ-მემ გაიღო და იგი შეადგენდა 25 000 აშშ დოლარს.

მტკიცებულებათა სათანადო წესით შეფასების შემთხვევაში სასამართლო გაიზიარებდა საქმეზე დაკითხული ერთობლივი საქმიანობის მონაწილეების (გარდა შ. ვ-მისა) განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოწყობილობა-დანადგარები არ შეუძენია შ. ვ-მეს, რადგან მისი ვალდებულება შემოიფარგლებოდა მხოლოდ კომბინირებული საამქროს მშენებლობისათვის ტერიტორიის გამოყოფით. ასეთ ვითარებაში არსებობს საფუძველი დასკვნისათვის, რომ აღნიშნული დანადგარები სწორედ შ. ქ-მის მიერაა შეძენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად. მოცემულ მუხლზე დაყრდნობით სასამართლოს უნდა მიეჩნია, რომ შ. ქ-მის მიერ შეძენილი და შ. ვ-მის მიერ გასხვისებული დანადგარების ღირებულება შეადგენდა 12 000 აშშ დოლარს, რადგან დანადგარების გასხვისებით მოპასუხემ ხელი შეუშალა ექსპერტიზას, შეეფასებინა ისინი.

სააპელაციო სასამართლომ, მართალია, უარი უთხრა შ. ვ-მეს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის გამო, მაგრამ იმავდროულად დაადგინა, რომ შ. ვ-მის მოთხოვნა საფუძვლიანი იყო, რაც არასწორია. შ. ქ-მეს ერთობლივი საქმიანობის არც ერთი მონაწილის, მათ შორის, არც შ. ვ-მის მიმართ, თანხის გადახდის ვალდებულება არ გააჩნია. ამგვარი დასკვნის გამოტანისას სასამართლო დაეყრდნო ცნობას საამქროს შემოსავალ-გასავლის შესახებ, თუმცა ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ შ. ვ-მემ ვერ წარადგინა მითითებული ცნობის დედანი. თავად დოკუმენტის ასლიდან აშკარად შეიმჩნევა განსხვავებული კალიგრაფიით მასში განხორციელებული ჩანამატები, ასევე გაურკვეველი პირის მინაწერი იმის შესახებ, თითქოს შ. ქ-მემ წაიღო 70 000 აშშ დოლარი. მოცემულ დოკუმენტში არაა საუბარი იმაზე, რომ შ. ქ-მე იყო პასუხისმგებელი პირი, რომელიც აწარმოებდა პროდუქციიდან შემოსული თანხების აღრიცხვიანობას და შენახვას. ამ უკანასკნელის მიერ თითქოსდა თანხების მითვისების ფაქტზე, როგორც უკვე აღინიშნა, საუბარია დოკუმენტზე განხორციელებულ მინაწერში, რომელიც შეეძლო განეხორციელებინა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის სხდომაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას, მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

პროცესის მონაწილე მხარეები -მოსარჩელე შ. ქ-მე და მოპასუხე შ. ვ-მე (წარმომადგენელი გ. წ-მე), შეთანხმდნენ მორიგების შემდეგ პირობებზე:

1. შ. ქ-მე თანახმაა, რომ შ. ვ-მისგან მიიღოს 3000 აშშ დოლარი, უარს ამბობს თავის სარჩელზე/საკასაციო საჩივარზე და თანახმაა, რომ საქმის წარმოება შეწყდეს მხარეთა მორიგების გამო;

2. შ. ვ-მე იღებს ვალდებულებას, რომ ამ მორიგების სასამართლოს მიერ დამტკიცების და კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი განჩინების მისთვის ჩაბარების დღიდან ათი დღის ვადაში, გადაუხადოს შ. ქ-მეს 3000 აშშ დოლარი.

ამ მორიგების სასამართლოს მიერ დამტკიცების შემდეგ, მხარეებს ურთიერთშორის აღარავითარი პრეტენზიები აღარ ექნებათ.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 278-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

I. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. შ. ქ-მე თანახმაა, რომ შ. ვ-მისგან მიიღოს 3000 აშშ დოლარი, უარს ამბობს თავის სარჩელზე/საკასაციო საჩივარზე და თანახმაა, რომ საქმის წარმოება შეწყდეს მხარეთა მორიგების გამო;

2. შ. ვ-მე იღებს ვალდებულებას, რომ ამ მორიგების სასამართლოს მიერ დამტკიცების და კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი განჩინების მისთვის ჩაბარების დღიდან ათი დღის ვადაში, გადაუხადოს შ. ქ-მეს 3000 აშშ დოლარი.

ამ მორიგების სასამართლოს მიერ დამტკიცების შემდეგ, მხარეებს ურთიერთშორის აღარავითარი პრეტენზიები აღარ ექნებათ.

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

III. მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

V. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-42-377-09

21 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სამკვიდროდან კუთვნილი წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. და მ. დ-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. დ-ძის მიმართ მოპასუხეთა სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობისა და აწ გარდაცვლილი მ. დ-ძის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის გამოყოფის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელების პაპამ -მ. დ-ძემ 1996 წლის 5 აგვისტოს შედგენილი ანდერძით თავისი კუთვნილი ქონება -ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა თანაბარწილად უანდერძა მეუღლეს -ნ. დ-ძესა და ვაჟს -დ. დ-ძეს, ხოლო სამტრედიის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი თანაბარწილად უანდერძა მეუღლე ნ. დ-ძესა და შვილებს -დ. და ვ. დ-ძეებს. 1999 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა მ. დ-ძე, ხოლო მანამდე, 1999 წლის 25 აპრილს, -მისი მეუღლე ნ. დ-ძე. მ. დ-ძის გარდაცვალების შემდეგ მათმა მამა ვ.მა და ბიძა დ.მა მ. დ-ძის დანაშთი სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღეს, რამდენადაც დ. დ-ძე ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე ბინაში ცხოვრობდა, ხოლო ვ. დ-ძე ფლობდა სამტრედიის რაიონის სოფელ ... მდებარე სახლს, თუმცა მთლიანი სამკვიდრო ქონება რეალურად არ გაყოფილა. მ. დ-ძის ანდერძის მიხედვით, დ. დ-ძეს ეკუთვნოდა ქ. ბათუმში მდებარე ბინის 3/4, ხოლო სოფელ ... მდებარე სახლის 1/2, თუმცა მან 2005 წლის 16 ნოემბერს ნოტარიუს მ. ჯ-შვილის მიერ გამოწერილი სამკვიდრო მოწმობით ქ. ბათუმში მდებარე საცხოვრებელი ბინა მთლიანად გაიფორმა. 2006 წლის 23 სექტემბერს დ. დ-ძე გარდაიცვალა. ვ. დ-ძეს ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა სამკვიდრო ქონება, მაგრამ 2007 წლის 9 აპრილს ისე გარდაიცვალა, რომ კუთვნილი წილი არ გადაუფორმებია. ვ. დ-ძეს მ. დ-ძის სამკვიდრო ქონებიდან, ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე ბინიდან ეკუთვნის 1/4, სამტრედიის რაიონის სოფელ ... მდებარე სახლიდან კი 1/2, რაც ტრანსმისიის წესით მის შვილებზე, მოსარჩელე ნ. და მ. დ-ძეებზე უნდა გადავიდეს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 1999 წლის 25 აპრილს, მ. დ-ძის გარდაცვალებამდე, გარდაიცვალა მისი მეუღლე ნ. დ-ძე. დ. დ-ძემ მიიღო სამკვიდრო ქონებიდან დედის, ნ. დ-ძის წილიც, იგი ფაქტობრივად ფლობდა ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე ბინას, სადაც ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. ვ. დ-ძეს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია და სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადაც არასაპატიო მიზეზით გაუშვა, ამდენად, მან სამკვიდროზე უფლება დაკარგა. აღნიშნულის გამო ნოტარიუსმა დ. დ-ძის სახელზე სამკვიდრო მოწმობა სწორად გასცა და მასში ცვლილების შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. და მ. დ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე მ. დ-ძის მეუღლის, აწ გარდაცვლილ დ. დ-ძის სახელზე ქ. ბათუმის ნოტარიუს მ. ჯ-შვილის მიერ 2005 წლის 15 ნოემბერს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში შევიდა ცვლილება და დ. დ-ძის წილი ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე #6 ბინაზე განისაზღვრა 3/4-ით, ხოლო მოსარჩელეთა წილები -თითოეულის 1/4-ით, სამტრედიის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე მოსარჩელებს გამოეყოთ თითოეულს 1/4, სახლის დანარჩენი ნაწილი (1/2) მიეკუთვნა მოპასუხეს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მ. ძ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა და ქ. ბათუმის ნოტარიუს მ. ჯ-შვილის მიერ დ. ძ-ძის სახელზე 2005 წლის 15 ნოემბერს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში შევიდა ცვლილება, მოსარჩელე ნ. და მ. ძ-ძეების თითოეულის წილი ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე #6 სახლში განისაზღვრა 1/8-ით, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. ძ-ძეს, რომელიც 1999 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა, დარჩა სამკვიდრო ქონება -ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე #6 ბინა და სამტრედიის რაიონის სოფელ ... არსებული საცხოვრებელი სახლი. მ. ძ-ძემ 1996 წლის 5 აგვისტოს შედგენილი ანდერძით სამკვიდრო ქონება უანდერძა მეუღლესა და ორ ვაჟს -დ. და ვ. ძ-ძეებს, კერძოდ, ქ. ბათუმში, მდებარე ბინა -მეუღლესა და დ. ძ-ძეს, ხოლო სამტრედიის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი -მეუღლესა და ორივე ვაჟიშვილს თანაბარწილად. მამკვიდრებელ მ. ძ-ძის გარდაცვალებამდე გარდაიცვალა ნ. ძ-ძე. დ. ძ-ძემ, ფაქტობრივი ფლობით მიიღო მამის სამკვიდრო -ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე #6 ბინა. 2005 წლის 16 ნოემბერს დ. ძ-ძის განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმის ნოტარიუსმა მ. ჯ-შვილმა დ. ძ-ძის სახელზე გასცა სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც ამ უკანასკნელს მამის მემკვიდრეობიდან მთლიანად მიაკუთვნა ქ. ბათუმში, ... ქ. #11-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. 2006 წლის 23 სექტემბერს გარდაიცვალა მოპასუხე მ. ძ-ძის მეუღლე დ. ძ-ძე, ხოლო 2007 წლის 9 აპრილს -მოსარჩელების მამა ვ. ძ-ძე. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელ მ. ძ-ძის მეორე ვაჟიშვილმა ვ. ძ-ძემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამტრედიის რაიონის სოფელ ... მდებარე მამის სამკვიდრო ქონება. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1348-ე და 1356-ე მუხლებით და მიუთითა, რომ მამკვიდრებელ მ. ძ-ძეს თავის სიცოცხლეში 1996 წლის 5 აგვისტოს შედგენილი ჰქონდა ანდერძი, რომლითაც მან სამკვიდრო ქონება მეუღლესა და ორ ვაჟს -დ. და ვ. ძ-ძეებს უანდერძა, თუმცა სამკვიდროს გახსნის დროისათვის ერთ-ერთი ანდერძისმიერი მემკვიდრე ნ. ძ-ძე ცოცხალი აღარ იყო. პალატამ ჩათვალა, რომ გარდაცვლილი ანდერძისმიერი მემკვიდრე ნ. ძ-ძის წილი თანაბარწილად უნდა განაწილდეს სხვა ანდერძისმიერ მემკვიდრეთა შორის, კერძოდ, რადგან სადავო ბინა თანაბარწილად ეანდერძათ ნ. და დ. ძ-ძეებს, ნ. ძ-ძის გარდაცვალების გამო, მისი 1/2 წილი ბინიდან უნდა გაიყოს დარჩენილ ანდერძისმიერ მემკვიდრეებს შორის. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, მემკვიდრეები სარჩელის განხილვის დროისათვის გარდაცვლილი იყვნენ, მაგრამ მათ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდათ და მემკვიდრეობა, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, მათ მემკვიდრეებზე გადავიდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მ. ძ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო კოდექსის 1356-ე მუხლით მიიჩნია, რომ მ. ძ-ძის გარდაცვალების მომენტისათვის მისი მეუღლე ნ. ძ-ძე გარდაცვლილი იყო, შესაბამისად, მისი წილი თანაბარწილად უნდა განაწილდეს მის ვაჟიშვილებზე. მითითებული მოსაზრება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან, რადგანაც სასამართლო ფორმალურად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 1348-ე მუხლზე. მოანდერძე მ. ძ-ძემ კონკრეტულად განსაზღვრა, რომ ბათუმში მდებარე საცხოვრებელი ბინა გადავიდოდა მეუღლისა და დ. ძ-ძის საკუთრებაში, ხოლო სოფელ ... მდებარე სახლი კი მეუღლისა და ორივე ვაჟიშვილის საკუთრებაში. ამდენად, კონკრეტულ სამკვიდრო ქონებაზე განსაზღვრული იყო მიმღებ პირთა წრე, შესაბამისად, კანონის არასწორი განმარტების შედეგად სასამართლომ გაზარდა ბათუმში მდებარე სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეთა რიცხვი. ქ. ბათუმში მდებარე ბინაზე ვ. ძ-ძე არ ყოფილა ანდერძისმიერი მემკვიდრე და მის მემკვიდრედ ცნობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 1356-ე მუხლის ნორმიდან. სააპელაციო პალატამ უკანონოდ უგულებელყო თავად მოანდერძის ნება, ვინაიდან მ. ძ-ძეს სურვილისამებრ შეეძლო ბათუმში მდებარე ბინა ვ. ძ-ძისათვის დაეტოვებინა, თუმცა, გარკვეული მოსაზრების გამო, თავის სიცოცხლეშივე გაანაწილა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მსჯელობის შესაბამისად, დ. ძ-ძეს გაეზარდა კუთვნილი წილი ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე, მაშინ, როდესაც დ. ძ-ძეს ეს ქონება საერთოდ არ მიუღია. ამდენად, ნათელია, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სააპელაციო პალატას უნდა ესარგებლა სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლით, რომლითაც გათვალისწინებული დაინტერესებულ პირად შეიძლება მხოლოდ ვ. ძ-ძე ჩაითვალოს. ბუნებრივია, მისთვის ცნობილი

იყო დედის გარდაცვალებისა და ასევე იმ ფაქტობრივი გარემოების თაობაზე, რომ მისმა ძმამ, დ. მ-მემ მთლიანად მიიღო ქ. ბათუმში მდებარე სამკვიდრო ბინა, რაც კანონით დადგენილ ვადაში სადავოდ არ გაუხდია. ამდენად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად საქმეზე მიღებულ იქნა არასწორი გადაწყვეტილება. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. მ-ძისათვის ბათუმში მდებარე ბინაზე წილის განსაზღვრის ნაწილში არგუმენტირებული იყო სავალდებულო წილის მიღების უფლებით და სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლზე. სააპელაციო პალატამ ძირეულად შეცვალა სამართლებრივი დასაბუთება და ვ. მ-ძისათვის ბათუმში მდებარე ბინაზე წილის განსაზღვრა დაუკავშირა დედის წილის გადაწილებას და არა სავალდებულო წილის მიღების უფლებას. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილება ამ ნაწილში უცვლელად დატოვა, მაშინ, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებინა და ახალი გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც უნდა გამოეტანა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მ. მ-მე იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს ნ. და მ. მ-ძეებს 16 000 აშშ დოლარი მორიგების აქტის დამტკიცების დღესვე -2009 წლის 21 ივლისს;

2. აწ გარდაცვლილი დ. მ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონება -ქ. ბათუმში, ... ქუჩის #11-ში მდებარე #6 ბინა საჯარო რეესტრში მთლიანად აღირიცხება მ. მ-ძის სახელზე და ნ. და მ. მ-ძეები უარს ამბობენ აღნიშნული ქონებიდან წილი გამოყოფაზე;

3. აწ გარდაცვლილი მ. მ-ძის სახელზე რიცხული, სამტრედიის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი) საჯარო რეესტრში მთლიანად აღირიცხება ნ. და მ. მ-ძეების სახელზე და მ. მ-ძე უარს ამბობს აღნიშნული ქონებიდან რაიმე წილის მიღებაზე;

4. მოცემული მორიგების აქტის დამტკიცებასთან ერთად გაუქმდეს წინამდებარე საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ყველა ღონისძიება;

5. მხარეები უარს ამბობენ ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის ქონებრივ პრეტენზიაზე, რომელიც უკავშირდება აწ გარდაცვლილი მ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და დ. მ-ძის დანაშთ ქონებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. მ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მ. მ-ძისა და გ. ს-ძის მიერ 2009 წლის 9 თებერვალს სახელმწიფო გადახდილი ბაჟის -300 ლარისა და გ. თ-ძის მიერ 2009 წლის 13 თებერვალს გადახდილი 325 ლარის ნახევარი -312,5 ლარი, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსახილველი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟის კანონით გათვალისწინებული ოდენობის ნახევარი. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა წინასწარ გადაიხადა სახელმწიფო

ბაჟი 625 ლარის ოდენობით, ამდენად, მას უნდა დაუბრუნდეს მითითებული თანხის ნახევარი - 312,5 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება მ. ძ-ძესა და ნ. და მ. ძ-ძეებს შორის შემდეგი პირობებით:

1. მ. ძ-ძე იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს ნ. და მ. ძ-ძეებს 16 000 აშშ დოლარი მო-რიგების აქტის დამტკიცების დღესვე, 2009 წლის 21 ივლისს;

2. აწ გარდაცვლილი დ. ძ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონება -ქ. ბათუმში, ... ქუჩა #11-ში მდებარე #6 ბინა საჯარო რეესტრში მთლიანად აღირიცხება მ. ძ-ძის სახელზე და ნ. და მ. ძ-ძეები უარს ამბობენ აღნიშნული ქონებიდან წილი გამოყოფაზე;

3. აწ გარდაცვლილი მ. ძ-ძის სახელზე რიცხული სამტრედიის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი) საჯარო რეესტრში მთლიანად აღირიცხება ნ. და მ. ძ-ძეების სახელზე და მ. ძ-ძე უარს ამბობს აღნიშნული ქონებიდან რაიმე წილის მიღებაზე;

4. მოცემული მორიგების აქტის დამტკიცებასთან ერთად გაუქმდეს წინამდებარე საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ყველა ღონისძიება;

5. მხარეები უარს ამბობენ ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის ქონებრივ პრეტენზიაზე, რომელიც უკავშირდება აწ გარდაცვლილი მ. ძ-ძის, ნ. ძ-ძისა და დ. ძ-ძის დანაშთ ქონებებს.

შეწყდეს საქმის წარმოება ნ. და მ. ძ-ძეების სარჩელს გამო მ. ძ-ძის მიმართ სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობისა და სამკვიდროდან კუთვნილი წილის გამოყოფის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემართო მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

მ. ძ-ძეს დაუბრუნდეს გ. ს-ძის, გ. თ-ძისა და მ. ძ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -312,5 ლარი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-233-558-09

15 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. და მ. ლ-ძეების მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლით: 1990 წელს მ. კ-ელმა ე. ჯ-ოვისაგან შეიძინა ბოლნისის რაიონში მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელიც მოგვიანებით საჯარო რეესტრში აღრიცხა თავის სახელზე. გარკვეული პერიოდი იგი მითითებულ სახლში არ ცხოვრობდა, რითაც ისარგებლეს მოპასუხეებმა, თვითნებურად დაიკავეს და, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, არ ათავისუფლებენ მას.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მოითხოვეს სადავო სახლის შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერში მ. კ-ელის სახელზე არსებული რეგისტრაციის ბათილად ცნობა და

უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა შემდეგი დასაბუთებით: 1990 წელს ... საზოგადოებამ მ. პ-ელს შეუძინა სადავო სახლი იმ პირობით, რომ იგი 25 წლის განმავლობაში არ გაასხვისებდა მას, მაგრამ მ. პ-ელმა აღნიშნული პირობა დაარღვია და იმავე წელს ზეპირი გარიგების საფუძველზე სახლი მიჰყიდა ვ. ს-ძეს. 1995 წელს ვ. ს-ძემ უძრავი ნივთი ზეპირი გარიგებით გაასხვისა ვ. მ-იანზე, ამ უკანასკნელმა კი ასევე ზეპირი შეთანხმებით 2000 აშშ დოლარად მიჰყიდა მოპასუხეებს, სადაც ისინი წლების განმავლობაში ცხოვრობენ.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. პ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეები გამოსახლდნენ ქ. ბოლნისში, ... ქ. #18-ში მდებარე, მ. პ-ელის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლიდან, შეგებულ სარჩელს კი უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ვ. და მ. ლ-ძეებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს 2003 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის განჩინებით ზემოხსენებული განცხადება დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით შეგებულ სარჩელი დაკმაყოფილდა -საჯარო რეესტრში არსებული, 2003 წლის 23 ივლისის #403-03 ჩანაწერი ქ. ბოლნისში, ... ქ. #18-ში მდებარე ბინის მ. პ-ელის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ ცნობილ იქნა ბათილად, მ. პ-ელის სარჩელს კი უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მ. პ-ელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით მ. პ-ელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, მ. პ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა -სადავო სახლი გამოთხოვილ იქნა მ. და ვ. ლ-ძეების მფლობელობიდან, ხოლო შეგებულ სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის შინაარსიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ პ-ელი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებს დავის მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გადაწყვეტა სადავოდ არ გაუხდიათ, მოცემული დავა უნდა მოწესრიგდეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. და მ. ლ-ძეები ქ. ბოლნისში, ... ქ. #18-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს ფლობენ იურიდიული საფუძვლის გარეშე, რადგან მათ აღნიშნული ქონება შეიძინეს 1995 წელს ვ. მ-იანისაგან კანონით დადგენილი წესის დარღვევით, ზეპირი გარიგების საფუძველზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. და ვ. ლ-ძეებს აღიარებითი შეგებულ სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი ვერ ექნებათ, ვინაიდან შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მათთვის სასურველი მიზანი ვერ მიიღწევა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სადავო ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 1990 წელს მესაკუთრე ე. ჯ-ოვის წარმომადგენელსა და მ. პ-ელს შორის. საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ ქ. ბოლნისში, ... ქ. #18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ბოლნისის სარეგისტრაციო სამსახურის ყოფილი ტექნიკურ არქივის ჩანაწერებში 1990 წლიდან 2003 წლამდე ირიცხებოდა მ. პ-ელის სახელზე, 2003 წლის 23 ივლისიდან კი ბოლნისის სარეგისტრაციო სამსახურში აღირიცხა ამავე პიროვნებაზე. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ჩანაწერის ბათილად ცნობის შემთხვევაში სახლი აღრიცხული დარჩება გამყიდველის, ე. ჯ-ოვის სახელზე, რომელიც ლ-ძეებისათვის სახლის მართლობიერი ფლობის საფუძველს არ წარმოშობს. პალატამ არ გაიზიარა პ-ელი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება, რომ საქმეში წარმოდგენილი ბოლნისის რაიონის გამგეობასთან არსებული საბინაო კომისიის თავმჯდომარე პ.დ-იასადმი ... საზოგადოების მიგრაციული პროცესების მართვის ფონდის თავმჯდომარის 1993 წლის 10 იანვრის #01-01\79 წერილის საფუძველზე ქ. ბოლნისში, ... ქ. #18-ში არსებული ბინა, რომელიც მ. პ-ელმა საკუთარი სურვილით ჩააბარა, უნდა გაფორმებოდა ცაგერის რაიონში სტიქიით დაზარალებულ ვ. ს-ძის ოჯახს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სახლის ვ. ს-ძისათვის იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით გადაფორმების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. პალატამ დაადგინა, რომ არაუფლებამოსილმა პირმა, რომელსაც არ ჰქონდა წარმოშობილი საკუთრების უფლება სადავო სახლზე კანონით დადგენილი წესით, გაასხვისა იგი ვ. მ-იანზე, ამ უკანასკნელმა კი ასევე ზეპირი შეთანხმებით მიჰყიდა იგი ლ-ძეებს. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ 2003 წლის 23 ივლისის განხორციელებული #403-03 ჩანაწერის ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარისთვის სასურველი შედეგი ვერ დადგება და მხარე ვერ გახდება მითითებული სახლის მართლობიერი მფლობელი. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ლ-ძეების მხრიდან სადავო ჩანაწერის ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, რადგან ზემოხსენებული ჩანაწერი კანონდარღვევით არ განხორციელებულა, კერძოდ, ბოლნისის სარეგისტრაცი-

ციო სამსახურის ყოფილი ტექნიუროს არქივის ჩანაწერებში 1990 წლიდან 2003 წლამდე სადავო სახლზე ცვლილება არ შესულა და, შესაბამისად, არსებული ჩანაწერი საჯარო რეესტრში იმ სახით გადავიდა, რა სახითაც იგი არსებობდა ტექნიუროს არქივის ჩანაწერებში. ამასთან, პალატის მოსაზრებით, მოწინააღმდეგე მხარე ვერ უთითებს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ რომელ გარემოებას უდებს საფუძვლად თავის მოთხოვნას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა 3-ელი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლზე მითითებით, რადგან აღნიშნული ნორმის შინაარსის მიხედვით, კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს უძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვების შესახებ განცხადების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, საქმეში კი მ. 3-ელის მიერ ასეთი განცხადებით საჯარო რეესტრისათვის მიმართვის ფაქტი დადასტურებული არ არის და არც ამ განცხადების რეგისტრაციის შესახებ ტექნიუროს არქივის ჩანაწერებში ინფორმაცია არ მოიპოვება. შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ მითითებული გარემოება ვერ გახდება მ. და ვ. ლ-ძეების მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. სააპელაციო პალატა ასევე არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას, რომ მ. 3-ელის განმარტებით, მისთვის სახლის გადაცემის შემდეგ იგი 3-ელად ქ. ბოლნისში წავიდა 1993 წელს, შემდეგ 1995, 2000 და 2003 წლებში, ყოველი ჩამოსვლის შემდეგ ხანმოკლე დროში უკანვე ბრუნდებოდა და 2003 წლამდე სადავოდ არ გაუხდია სხვა პირთა მიერ მისი საცხოვრებელი სახლის დაკავების ფაქტი. რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებას, რომ მ. 3-ელმა დაარღვია „იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი კანონით დადგენილი წესით მოპოვებული მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად ჩათვალა მ. 3-ელის მოთხოვნა მოპასუხეთა ბინიდან გამოსახლების თაობაზე, რა დროსაც იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე მუხლებით და დაადგინა, რომ ვ. და მ. ლ-ძეებს ქ. ბოლნისში, ... ქ. #18-ში მდებარე სახლის ფლობის იურიდიული საფუძველი არ გააჩნიათ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. და მ. ლ-ძეებმა გასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემული საქმის წარმოება განახლდა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 3-ელი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მხარის მიერ ისეთი გარემოების შეტყობას, რომელიც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი იქნებოდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი საქმის შედეგი არ შეცვლილა. სააპელაციო პალატას ყურადღება არ გაუმახვილებია იმ გარემოებაზე, რომ მოცემული საქმის წარმოება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეჩერდა, თუმცა შემდეგ წარმოების შეჩერების შესახებ განჩინება გაუქმდა ლ-ძეების კერძო საჩივრის გამო. სააპელაციო სასამართლომ არასრულად ასახა დავის საგანი და მხარეთა მოსაზრებები სადავო საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ 1990 წელს მ. 3-ელი ჩაეწერა ბოლნისში ოჯახის წევრებთან ერთად და 1992 წლამდე გადაეწერა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები ლტოლვილთა სტატუსს ვერ მიიღებდნენ. პალატას უნდა გაეთვალისწინებინა, სამოქალაქო სამართლის კოდექსის დანაწესთა შესაბამისად, რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა პირის საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას. დაუსაბუთებელია მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტი, რომ მ. 3-ელის განცხადება სადავო უძრავი ქონების მიტოვების შესახებ არ არსებობს. საქმეში წარმოდგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ოქმი და გადაწყვეტილება, რომლითაც მანამდე მ. 3-ელისათვის მიკუთვნებული სახლი განაწილდა ვ. ს-ძეზე. კასატორთა მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საჯარო რეესტრის სადავო ჩანაწერი უსაფუძვლოა, ვინაიდან მ. 3-ელმა მიატოვა უძრავი ქონების უფლება, რის საპასუხოდ სააპელაციო პალატა მიუთითებს აღნიშნული ჩანაწერების მიმართ უტყუარობის პრეზუმფციაზე. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მითითებული პრეზუმფცია მოქმედებს ჩანაწერის სისწორეზე საჩივრის შეტანის მომენტამდე. დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მ. 3-ელის მიერ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ ნების გამოვლენის ფაქტი საქმის მასალებით არ დადასტურებულა, ვინაიდან საქმიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე საცხოვრებლად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადავიდა, წლების განმავლობაში ბოლნისში არ ყოფილა, მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი და იღებს შესაბამის დახმარებას. აღნიშნული კი მიუთითებს, რომ მ. 3-ელმა და მისი ოჯახის წევრებმა დაკარგეს სახლზე საკუთრების უფლება და მათ სასარგებლოდ შესრულებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი უკანონოა. სააპელაციო სასამართლო არასწორად უთითებს, რომ, კასატორთა განმარტებით, მ. 3-ელმა დაარღვია „იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ“ კანონი. კასატორები განმარტავდნენ, რომ მოსარჩელემ ჩააბარა ბინა, რაც მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებითა და დახმარების მიღებით დასტურდება. იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ სადავო ბინა კვლავ მ.

პ-ელს ეკუთვნის, მას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლით და ... საზოგადოების ოქმისა და საბინაო გადაწყვეტილების სიყალბის შესამოწმებლად აღნიშნული დოკუმენტები გადაეგზავნა საგამომიებო ორგანოებისათვის, რაც არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მ. პ-ელი თანახმაა, მოწინააღმდეგე მხარე მ. და ვ. ლ-ძეებს გადაუხადოს ქ. ბოლნისში, ... #18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ღირებულება -2000 აშშ დოლარი 1 წლის განმავლობაში 2010 წლის ოქტომბრამდე;

2. მ. და ვ. ლ-ძეები თანახმანი არიან, მიიღონ მ. პ-ელისაგან 2000 აშშ დოლარი 2010 წლის ოქტომბრამდე, უარს ამბობენ საკასაციო საჩივარზე და მოწინააღმდეგე მხარის მიმართ რაიმე პრეტენზია ქ. ბოლნისში, ... #18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლზე არ ექნებათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პ-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეები უნდა გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მხარეებმა კი მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება შორის შემდეგი პირობებით:

1. მ. პ-ელი თანახმაა, მოწინააღმდეგე მხარე მ. და ვ. ლ-ძეებს გადაუხადოს ქ. ბოლნისში, ... #18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ღირებულების, 2000 აშშ დოლარი 1 წლის განმავლობაში 2010 წლის ოქტომბრამდე;

2. მ. და ვ. ლ-ძეები თანახმანი არიან მიიღონ მ. პ-ელისაგან 2000 აშშ დოლარი 2010 წლის ოქტომბრამდე, უარს ამბობენ საკასაციო საჩივარზე და მოწინააღმდეგე მხარის მიმართ რაიმე პრეტენზია ქ. ბოლნისში, ... #18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლზე არ ექნებათ.

შეწყდეს საქმის წარმოება მ. პ-ელის სარჩელის გამო ვ. და მ. ლ-ძეების მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ, ასევე ვ. და მ. ლ-ძეების შეგებებული სარჩელის გამო მ. პ-ელის მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილობისა და უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდნენ.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-318-638-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, ნივთის მფლობელობაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. დ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გამგეობის თავმჯდომარე ტ. თ-ძის მიმართ ქ. ბათუმში, ... ქ. #64-65-ში მშენებარე მრავალბინიანი სახლის მე-2 სადარბაზოს მეორე სართულზე არსებული 120 კვ.მ ხუთთახიანი ბინის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 5 დეკემბრის #1131 გადაწყვეტილებით გარკვეულ პირებს, მათ შორის, გ. დ-მესაც, გამოეყოთ მიწის ნაკვეთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. 1990 წლის 18 დეკემბერს გ. დ-მესა და კოოპერატივ „კეთილმოწყობას“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კოოპერატივი ააშენებდა და მშენებლობის შემდეგ გადასცემდა საცხოვრებელ სახლს ბინათმშენებლობის წევრებს. ბინის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 1991 წლისათვის, ხოლო დამკვეთს უნდა გადაეხადა ორი და სამოთახიანი ბინების ღირებულება -28000 და 35000 მანეთი, თავდაპირველად 50%, ხოლო დანარჩენი თანხა თვის ბოლომდე. მოსარჩელემ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე შეიტანა 35 000 მანეთი. 1995 წლის 23 აგვისტოს, მშენებლობის შეჩერების გამო, ბინათმშენებლობის წევრებმა გადაწყვეტილება მიიღეს, მშენებლობის გაგრძელების მიზნით, შეეტანათ დამატებითი შენატანები. გ. დ-მემ დამატებით შეიტანა 400 აშშ დოლარი, 2400 აშშ დოლარის ღირებულების 4 ტონა კარბიტი და 100 აშშ დოლარი. მშენებლობა განახლდა, 2001 წელს, მშენებლობის დასრულების შემდეგ, მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის სამოთახიანი ბინის გამოყოფა. ტ. თ-მემ მოსარჩელისათვის გადასაცემი ბინა გაასხვისა, მას კი შესთავაზა იმავე სახლის მეორე სადარბაზოში, მეორე სართულზე მდებარე 120 კვ.მ ხუთთახიანი ბინა ღირებულების სხვაობის დამატებით. 2003 წელს ტ. თ-მემ, ბინათმშენებლობის წევრების გვერდის ავლით, დააფუძნა შპს „ესმა“, რომელიც შემდგომ გახდა კოოპერატივ „კეთილმოწყობისა“ და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ზოდიაქოს“ სამართალმემკვიდრე. მოპასუხემ ბინათმშენებლობის წევრებისათვის განკუთვნილი ბინები სხვა პირებს გადასცა. გ. დ-მემ მისთვის განკუთვნილ ხუთთახიან ბინაში დაიწყო სარემონტო სამუშაოები, მაგრამ ტ. თ-ძის მხრიდან ხელშეშლის გამო მათ შორის წარმოიშვა კონფლიქტი და საქმეში ჩაერთო პოლიცია. გამომძიებელთან მიცემულ ჩვენებაში ტ. თ-მემ მთლიანად აღიარა 1990 წელს აღებული ვალდებულება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით გ. დ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით გ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მოქალაქეთა ერთ ჯგუფს, მათ შორის, აპელანტს, საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, მრავალსართულიანი სახლის მშენებლობისათვის ქ. ბათუმში, ... ქ. #105-სა და ... ქ. #64-65-ში გამოეყო მიწის ნაკვეთი. 1990 წლის 18 დეკემბერს აპელანტსა და კოოპერატივ „კეთილმოწყობას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად კოოპერატივს უნდა აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და დასრულების შემდეგ აპელანტისათვის გადაეცა სამოთახიანი ბინა. მხარეთა შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, სადაც აპელანტი იყო შემკვეთი, ხოლო კოოპერატივი „კეთილმოწყობა“ -მენარდე. ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ზოდიაქოსა“ და სპონსორ-

თა ჯგუფის საერთო კრების #2 ოქმის, ტ. თ-ძის დაკითხვის ოქმისა და შპს „ესმას“ საგადასახადო შემოწმების აქტის თანახმად, კოოპერატივ „კეთილმოწყობის“ ლიკვიდაციის შემდეგ მენარდის ვალდებულებები იკისრა ჯერ ერთი პირის საწარმო „ზოდიაქმა“, ხოლო მისი რეორგანიზაციის შემდეგ – შპს „ესმამ“. 2006 წელს შპს „ესმამ“, ძირითადად დაასრულა საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, თუმცა 1990 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო არ შესრულებულა, საცხოვრებელი სახლი ბოლომდე არ აშენებულა და დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებული არ არის. პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტმა სარჩელი აღძრა არა იურიდიული პირის – შპს „ესმას“ წინააღმდეგ, არამედ ფიზიკურ პირ ტ. თ-ძის მიმართ და პირველი ინსტანციის სასამართლოში ტ. თ-ძის შპს „ესმათი“ შეცვლაზე უარი განაცხადა. პალატამ ასევე დაადგინა, რომ ტ. თ-ძე, როგორც ფიზიკური პირი, არ იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში აპელანტთან და არავითარი ვალდებულება მის წინაშე არ უკისრია. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით და მიუთითა, რომ ტ. თ-ძეს აპელანტის წინაშე ვალდებულებები კანონით გათვალისწინებული არც ერთი საფუძვლით არ წარმოშობია. პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ჯერ არ შესრულებულა, საცხოვრებელი სახლი სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარებული არ არის და იგი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს არ წარმოადგენს, აპელანტის მოთხოვნა ბინის მისთვის გადაცემის შესახებ უსაფუძვლოა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. დ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორს კუთვნილი ბინით სარგებლობაში ხელს უშლის ტ. თ-ძე, ამდენად, მოთხოვნა ხელშემშლის აღკვეთაზე წარდგენილ უნდა იქნეს არა შპს „ესმასა“ და საწარმო „ზოდიაქოს“ მიმართ, არამედ ტ. თ-ძის წინააღმდეგ. აღნიშნული მსჯელობა გამორიცხავს ტ. თ-ძის უფლებამონაცვლეობის საკითხს, ვინაიდან კასატორის მოთხოვნაა მფლობელობის ხელშემშლის აღკვეთა და არა ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა, მფლობელობის უფლება კი შესაძლოა ნებისმიერმა პირმა შეზღუდოს. ამდენად, სასამართლოს მიერ სამართალმემკვიდრეობის საკითხის დადგენა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლს, ვინაიდან ამ საკითხს არსებული დავისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გ. დ-ძის სარჩელი არ დააკმაყოფილა ხანდაზმულობის მოტივით, სააპელაციო სასამართლომ კი სააპელაციო საჩივარს უარი უთხრა სარჩელის არავალდებულები პირის მიმართ აღძვრის მოტივით, რაც არასწორია, ვინაიდან კასატორი რაიმე ვალდებულების შესრულებას არ ითხოვდა და ვალდებულები პირი არც სასამართლოს უნდა ერკვია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი უნდა აღძრულიყო სათანადო მოპასუხე შპს „ესმას“ მიმართ. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ, მართალია, გ. დ-ძემ უარი განაცხადა შპს „ესმას“ სათანადო მოპასუხედ საქმეში ჩაბმაზე, საქალაქო სასამართლომ მაინც არსებითად იმსჯელა დავაზე და სარჩელი, ხანდაზმულობის გამო, არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, გ. დ-ძემ გადაწყვეტილება მხოლოდ ხანდაზმულობის კუთხით გაასაჩივრა. სააპელაციო პალატამ კი, ფაქტობრივად, საუარესოდ შეცვალა კასატორის მდგომარეობა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ტ. თ-ძე იღებს ვალდებულებას, საკუთრებაში გადასცეს გ. დ-ძეს ქ. ბათუმში, ს. . . . ქ. #64-სა და . . . 107-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსის მე-2 სადარბაზოს VI სართულის #38 99,7 კვ.მ ბინა კარკასულ მდგომარეობაში;
2. გ. დ-ძემ ტ. თ-ძეს უნდა გადაუხადოს 27 000 აშშ დოლარი ან მისი ეკვივალენტი ლარი;
3. მხარეებმა ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეასრულონ არა უგვიანეს 2009 წლის 27 ნოემბრისა;
4. მორიგების პირობების შესაბამისად, მხარეები უარს ამბობენ ტ. თ-ძის მიმართ გ. დ-ძის სარჩელის საფუძველზე აღძრული დავის გაგრძელებაზე. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, დამრღვევი მხარის მიმართ გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგე-

ბით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ტ. თ-ძესა და გ. დ-ძეს შორის შემდეგი პირობებით:

1. ტ. თ-ძე იღებს ვალდებულებას, საკუთრებაში გადასცეს გ. დ-ძეს ქ. ბათუმში, ... ქ. #64-სა და ... 107-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსის მე-2 სადარბაზოს VI სართულის #38 99,7 კვ.მ ბინა კარკასულ მდგომარეობაში;

2. გ. დ-ძემ ტ. თ-ძეს უნდა გადაუხადოს 27 000 აშშ დოლარი ან მისი ეკვივალენტი ლარი;

3. მხარეებმა ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეასრულონ არა უგვიანეს 2009 წლის 27 ნოემბრისა;

4. მორიგების პირობების შესაბამისად, მხარეები უარს ამბობენ ტ. თ-ძის მიმართ გ. დ-ძის სარჩელის საფუძველზე აღძრული დავის გაგრძელებაზე. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, დამრღვევი მხარის მიმართ გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

შეწყდეს საქმის წარმოება გ. დ-ძის სარჩელს გამო ტ. თ-ძის მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისა და ნივთის მფლობელობაში გადაცემის შესახებ.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-394-710-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: დარიცხული თანხის გადახდისგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის წლის 6 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. დ-ძემ მოპასუხე სს "თელასის" მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დარიცხული თანხის -1235 ლარის გადახდისგან გათავისუფლება და ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ დ. დ-მე არის სს "თელასის" აბონენტი. 2007 წლის 10 მაისს სს "თელასის" თანამშრომლებმა მოსარჩელის ბინაში გამორთეს ელექტროენერგია. დენის გათიშვის შემდეგ მოსარჩელის მეუღლემ ელექტროენერგიის ხაზი გადმოიყვანა მეზობლიდან, რის გამოც სს "თელასის" წარმომადგენლების მოსვლის დროს ბინაში იყო ელექტროენერგია. სს "თელასის" მიერ შედგა ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი, რომლის საფუძველზე მოსარჩელეს 1235 ლარი დაერიცხა. მოსარჩელის მოსაზრებით, სს "თელასის" აქტში მითითებული მონაცემები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. იგი არ დასწრებია არალეგალური ხაზის აღმოჩენისა და მისი ჩაჭრის ფაქტს, აქტს ხელი მოაწერეს მხოლოდ სს "თელასის" თანამშრომლებმა, შესაბამისად, აქტი უკანონო იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით დ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 10 მაისს სს "თელასის" თანამშრომლებმა შეადგინეს ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი, რომლითაც დადგინდა სს "თელასის" აბონენტის -დ. დ-მის მიერ ელექტროენერგიის არალეგალურად მოხმარების ფაქტი და აბონენტს გამოერთო ელექტროენერგია. აბონენტი აქტის შედგენას არ დასწრებია და შესაბამისად, მასზე ხელი არ მოუწერია. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სადავო აქტი უკანონოა მასზე მხოლოდ სს "თელასის" თანამშრომლების ხელმოწერის გამო, ვინაიდან აქტზე აბონენტის ხელმოწერის არარსებობა არ განაპირობებდა შემოწმების აქტის უკანონობას და შესაბამისად, მის საფუძველზე დარიცხული თანხის გადახდისგან გათავისუფლებას.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით დ. დ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ შეამოწმა გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის ფარგლებში და დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. დ-მის მიერ მეზობლისგან ელექტროენერგიის გადმოყვანის ფაქტის აღიარება ადასტურებდა მის მიერ აღურიცხავი ელექტროენერგიის მოხმარებას და შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნის კანონიერებას.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორის მითითებით, სასამართლოს მოსამზადებელ სხდომებზე არ იყო დაბარებული კანონით დადგენილი წესით, ასევე, არსებობს მოწმეთა ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები, როლებიც წინააღმდეგობაშია სს "თელასის" მიერ შედგენილი აქტისა და ოქმის მონაცემებთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტორების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

პროცესის მონაწილე მხარეები, ერთი მხრივ, სს "თელასი" (წარმომადგენელი გ. წ-ელი), ხოლო, მეორე მხრივ, დ. დ-მე, მორიგდნენ შემდეგზე:

სს "თელასის" მიერ 2007 წლის მაისში შედგენილი ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების #154831 აქტის საფუძველზე დარიცხული 1227.87 ლარიდან სს "თელასი" თანახმაა, დ. დ-მეს გადასახდელად დარჩეს 400 ლარი. აღნიშნული თანხა დ. დ-მის მიერ დაფარულ იქნება ნაწილ-ნაწილ, მორიგების აქტის დამტკიცების შემდგომ 8 თვის განმავლობაში თანხის სააბონენტო ბარათზე #1078014 შეტანით;

მორიგების აქტის დამტკიცების შემდეგ მხარეები უარს ამბობენ ერთმანეთის მიმართ ყოველგვარ პრეტენზიაზე. ერთ-ერთი მხარის მიერ მორიგების პირობების დრღვევის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს, გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხ-

ლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგ-დებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებუ-ლებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მი-ღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერ-ვლის განჩინება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამარ-თლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის გან-საზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინა-რე, კასატორს -დ. დ-მეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელ-მწიფო ბაჟი -150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდე-გი პირობებით:

სს "თელასი" მიერ 2007 წლის მაისის თვეში შედგენილი ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების #154831 აქტის საფუძველზე დარიცხული 1227,87 ლარიდან სს "თელასი" თანახმაა, დ. დ-მეს გადასახდელად დარჩეს 400 ლარი. აღნიშნული თანხა დ. დ-მის მიერ დაფარული იქ-ნება ნაწილ-ნაწილ მორიგების აქტის დამტკიცების შემდგომ 8 თვის განმავლობაში თანხის სააბო-ნენტო ბარათზე #1078014 შეტანით.

მორიგების აქტის დამტკიცების შემთხვევაში მხარეები უარს ამბობენ ერთმანეთის მიმართ არსე-ბულ პრეტენზიებზე.

ერთ-ერთი მხარის მიერ მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს, გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინება და სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარე-ებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრუ-ლებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

4. დ. დ-მეს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -150 ლარი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-439-753-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება, მატერიალური ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 20 ივნისს მ. ბ-შვილმა სარჩელის აღძრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ქუთაისში, ... ქ. #31-ში მდებარე გ. ბ-ინას საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ სახლზე ყადაღის დადება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ივნისის განჩინებით მ. ბ-შვილის განცხადება სარჩელის აღძრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ქუთაისში, ... ქ. #31-ში მდებარე გ. ბ-ინას საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ სახლს.

2008 წლის 30 ივნისს მ. ბ-შვილმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სასარჩელო განცხადება წარადგინა, რომელშიც მოპასუხედ გ. ბ-ინა დაასახელა. მოსარჩელის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა გადაცემული თანხის დაბრუნება 75 620 აშშ დოლარის ოდენობით და ზიანის ანაზღაურება 22 608 აშშ დოლარის ოდენობით.

2008 წლის 24 ივლისს იმავე სასამართლოში სარჩელი წარადგინა გ. ბ-ინამ მოპასუხე მ. ბ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლიდან გატანილი და დაზიანებული ნივთების, აგრეთვე პირველ სართულზე ჩასატარებელი რემონტის ღირებულების -15 000 ლარის, მიუღებელი შემოსავლის -45 000 ლარის, მორალური ზიანის -20 000 ლარის, მთლიანობაში 80 000 ლარის დაკისრება.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას გ. ბ-ინამ მ. ბ-შვილის სარჩელი მისთვის ძირითადი თანხის მოთხოვნის ნაწილში ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ იგი ვალდებული იყო, მოპასუხისათვის გადაეხადა მხოლოდ 59 546 აშშ დოლარი. რაც შეეხებოდა დარჩენილ თანხას, აღნიშნული მას უკვე ანაზღაურებული ჰქონდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 აგვისტოს საოქმო განჩინებით ზემოთ დასახელებული საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გ. ბ-ინას მ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა საცხოვრებელი სახლის შექმნის მიზნით გადახდილი თანხის -58 146 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და მიყენებული ზიანის -9 499 აშშ დოლარის გადახდა; გ. ბ-ინას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის იანვარში გ. ბ-ინამ გააფორმა ხელწერილი, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. #31-ში მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გაყიდვისათვის მ. ბ-შვილის და მისი მეუღლის ნ. ა-მისაგან მიღებული ჰქონდა 50 000 აშშ დოლარი, რომელიც შეტანილ იქნა საქართველოს ბანკში გ. ბ-ინას სახელზე. ხელწერილის ავტორი მიუთითებდა, რომ საცხოვრებელი ბინის დარჩენილი თანხის გადახდა მოხდებოდა შეძლებისდაგვარად, 4 000 აშშ დოლარის გადახდით ყოველ თვეში ოცდახუთი თვის მანძილზე მთლიანობაში გადასახდელი თანხა შეადგენდა 150 000 აშშ დოლარს. საცხოვრებელი სახლი მ. ბ-შვილს და ნ. ა-მეს გადაეცემოდა სრული მოწყობილობით, ავეჯით, ჭაღებით და ა. შ;

2006 წლის 28 მარტის სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე გ. ბ-ინამ გ. ბ-ინას, როგორც მინდობილ მესაკუთრეს, მიანიჭა ქუთაისში, ... ქ. #31-ში მდებარე მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის მართვის, მათ შორის, გასხვისების, გაყიდვის, გაჩუქების, იპოთეკით დატვირთვის უფლება;

სს "თი-ბი-სი" ბანკის მიერ გაცემული ამონაწერის თანახმად, 2006 წლის 24 თებერვლიდან 2007 წლის 16 თებერვლამდე მ. ბ-შვილს გ. ბ-ინას რწმუნებულის გ. გ-იანის ანგარიშზე ჩარიცხული აქვს 49 600 აშშ დოლარი;

გ. ბ-ინას განმარტებით დგინდებოდა, რომ მან მ. ბ-შვილისაგან ძმის გ. ბ-ძის საცხოვრებელი სახლის რემონტისათვის მიიღო 5 000 აშშ დოლარი, ასევე ხელზე მიიღო 10 000 აშშ დოლარი. გარდა ამისა, საპაექრო სიტყვაში ნ. კ-ავამ (გ. ბ-ინას წარმომადგენელი) მოწმე გ. გ-იანის ჩვენებაზე დაყრდნობით დამატებით აღიარა გ. ბ-ინას მიერ 1400 ლარის მიღების ფაქტი;

2007 წლის 22 თებერვალს სს "საქართველოს ბანკსა" და მ. ბ-შვილს შორის სანოტარო წესის დაცვით გაფორმდა ხელშეკრულება, კერძოდ, იპოთეკით დაიტვირთა ქუთაისში, ... ქ. #31-ში მდებარე გ. ბ-ინას კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. იპოთეკის ხელშეკრულებაზე თანხმობა განაცხადა გ. ბ-ინას წარმომადგენელმა გ. გ-იანმა;

მოწმე გ. გ-იანის ჩვენებით დასტურდებოდა, რომ მ. ბ-შვილმა მას შესთავაზა გ. ბ-ინას საცხოვრებელი სახლის იპოთეკით დაიტვირთვა იმ მიზნით, რომ მიღებული კრედიტით დაეფარა სახლის შესაძენად დარჩენილი თანხა;

იპოთეკის ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში;

2007 წლის 27 თებერვლის საკრედიტო ხაზით მომსახურების #512651 ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით (#5126651-156178) სს "საქართველოს ბანკმა" მ. ბ-შვილს გამოუყო კრედიტის თანხა 6 000 აშშ დოლარი;

სს "თი-ბი-სი" ბანკის ამონაწერის თანახმად, 2007 წლის 28 თებერვალს მ. ბ-შვილმა გ. ბ-ინას ანგარიშზე ჩარიცხა 40 000 აშშ დოლარი;

2007 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით მ. ბ-შვილს გ. ბ-ინასათვის გადახდილი ჰქონდა ბინის შესაძენად 106 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, გადასახდელი ჰქონდა 44 000 აშშ დოლარი;

2008 წლის 9 ივნისს სს "საქართველოს ბანკმა" მ. ბ-შვილს აცნობა, რომ მისთვის მიცემული სესხის მიზნობრიობა იყო რეფინანსირება -18 829 აშშ დოლარი, არასაცხოვრებელი ფართის და საცხოვრებელი ბინის შესყიდვა 41 171 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა გ. ბ-ინას საცხოვრებელი სახლი. 2008 წლის 23 აპრილს ბანკს საჩივრით მიმართა გ. ბ-ინამ და განაცხადა, რომ, ვინაიდან მ. ბ-შვილის მიერ თანხა დადგენილ ვადაში არ იქნა გადახდილი, მან უარი განაცხადა სახლის გაყიდვაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკმა შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულება და მ. ბ-შვილს მისცა წინადადება 15 დღის ვადაში სრულად დაეფარა დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში გ. ბ-ინას უძრავი ქონება მისი მოთხოვნის საფუძველზე გათავისუფლდებოდა იპოთეკისაგან;

საგადასახადო შემოსავლის ორდერის თანახმად, 2008 წლის 26 ივნისს გ. ბ-ინას წარმომადგენელმა ნ. კ-ავამ მ. ბ-შვილის სესხის დაფარვის მიზნით სს "საქართველოს ბანკს" ჩაურიცხა 46 454 აშშ დოლარი;

2008 წლის 26 ივნისს სს "საქართველოს ბანკმა" აცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურს, რომ გაეუქმებინა ზემომითი თებულები იპოთეკის ხელშეკრულება;

2007 წლის 27 თებერვლიდან 2008 წლის 27 მაისამდე მ. ბ-შვილს სესხის ხელშეკრულების საფუძველზე სს "საქართველოს ბანკში" სესხის ძირითად თანხაზე 60 000 აშშ დოლარზე დარიცხული პროცენტის სახით გადახდილი აქვს 12 695.38 აშშ დოლარი;

2008 წლის 28 თებერვალს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება მ. ბ-შვილის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თაღლითურად დაუფლების ფაქტზე. გამოძიების დაწყებას საფუძველად დაედო მ. ბ-შვილის განცხადება;

ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიმართვის თანახმად, მათ მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად გ. ბ-ინას კუთვნილი საცხოვრებელი სახლი გათავისუფლებულ მდგომარეობაში ჩაჰბარდა მის რწმუნებულს ნ. კ-ავას 2008 წლის 10 ივლისს.

ზემომითი თებულები ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილი იყო დადების მომენტიდან და არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაეფუძნა სამოქალაქო კოდექსის 59-ე, 61-ე, 183-ე, 328-ე მუხლების მოთხოვნებს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იყო დაცული.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მიხედვით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან

დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, კანონის ზემოთ დასახელებული ნორმის საფუძველზე მ. ბ-შვილს წარმოეშვა ვალდებულება, დაებრუნებინა საცხოვრებელი სახლი (მასში არსებული ავეჯით და სხვა მოძრავი ნივთებით), ხოლო გ. ბ-ინას - ამ სახლის შესაძენად მიღებული ფულადი თანხა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მ. ბ-შვილის განმარტება, რომ მან სახლის შესაძენად გადაიხადა 126 000 აშშ დოლარი, რასაც იგი ასაბუთებდა მოწმეების ჩვენებებით და პირად დღიურში მის მიერ ნაწარმოები ჩანაწერებით. ამ შემთხვევაში მის მიერ მითითებული ყველა მოწმე საუბრობდა მ. ბ-შვილის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და არ წარმოადგენდნენ თანხის გადაცემის უშუალო მოწმეებს, შესაბამისად, მათი ჩვენებები სარწმუნოდ ვერ მიიჩნეოდა. სასამართლო ასევე არ დაეყრდნო პირად დღიურში გაკეთებულ ჩანაწერებს, რომელიც თავად მოსარჩელის მიერ იყო ნაწარმოები და მასში არასწორი ჩანაწერის შესრულება სიმძნელს არ წარმოადგენდა. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ჩანაწერებს მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნდა.

საქალაქო სასამართლო ასევე არ დაეყრდნო გ. ბ-ინას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, რასაც მოწინააღმდეგე მხარე 122 000 აშშ დოლარის მიღების აღიარებად მიიჩნევდა. სასამართლოს მითითებით, სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოწმის სახით დაკითხვისას გ. ბ-ინა განმარტავდა, რომ მზად იყო, მ. ბ-შვილისათვის დაებრუნებინა 75 546 აშშ დოლარი, ანუ 122 000 აშშ დოლარს გამოკლებული სს "საქართველოს ბანკისათვის" გადახდილი 46 545 აშშ დოლარი. მისი თქმით, ეს 122 000 აშშ დოლარი ყოველთვის იყო სადავო, მაგრამ საქმის დროულად და ობიექტურად დამთავრებისთვის მზად იყო, მითითებული თანხა გადაეხადა მ. ბ-შვილისათვის, იმ პირობით, თუ საცხოვრებელ სახლს მოეხსნებოდა ყადაღა და დაუბრუნდებოდა კუთვნილი ნივთები. აღნიშნული სასამართლო სხდომაზე დაადასტურა გ. ბ-ინას წარმომადგენელმა ნ. კ-ავამაც.

რაც შეეხებოდა გ. ბ-ინას წარმომადგენლის გ. გ-იანის ჩვენებას, მისი განმარტებით, გ. ბ-ინა თანახმა იყო, მ. ბ-შვილისათვის გადაეხადა 122 000 აშშ დოლარს გამოკლებული იპოთეკის თანხა. სწორად აქედან გამომდინარე საუბრობდა იგი, რომ მ. ბ-შვილს გადასახდელი ჰქონდა დარჩენილი 128 000 აშშ დოლარი, რაც არ ასაბუთებდა გ. ბ-ინას მიერ დარჩენილი თანხის მიღებას.

საბანკო ანგარიშების და თავად გ. ბ-ინას განმარტებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით მ. ბ-შვილს გ. ბ-ინასათვის გადახდილი ჰქონდა ბინის შესაძენად 106 000 აშშ დოლარი, რომელსაც გამოაკლდა "საქართველოს ბანკისათვის" გადახდილი 46 545 აშშ დოლარი. მ. ბ-შვილს გ. ბ-ინასათვის უნდა დაკისრებოდა შედეგად მიღებული თანხის 59 455 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ მ. ბ-შვილის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. საქმეზე დგინდებოდა, რომ გ. ბ-ინამ მ. ბ-შვილს წარმომადგენელ გ. გ-იანის მეშვეობით უფლება მისცა, იპოთეკით დაეტვირთა მისი საცხოვრებელი სახლი, იმ მიზნით, რომ სს "საქართველოს ბანკიდან" გამოეტანა სესხი და დაეფარა დარჩენილი ვალი. ამ შემთხვევაში არსებობდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი, რომლის გადახდაც უნდა დაკისრებოდა მოპასუხეს. ამ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით მ. ბ-შვილმა მიიღო 60 000 აშშ დოლარი და იხდიდა შესაბამის პროცენტებს, გ. ბ-ინას კი გადაურიცხა 40 000 აშშ დოლარი. 2007 წლის 27 თებერვლიდან 2008 წლის 27 მაისამდე მ. ბ-შვილმა სესხის ძირითად თანხაზე -60 000 აშშ დოლარზე პროცენტის სახით გადაიხადა 12 695.38 აშშ დოლარი. რამდენადაც სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო წლიური 19%, 40 000 აშშ დოლარზე ზემომითითებულ ვადაში პროცენტის თანხა შეადგენდა 9 499 აშშ დოლარს. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია გ. ბ-ინას მოპასუხის სასარგებლოდ დაკისრებოდა დასახელებული თანხის კვივალენტი ლარის გადახდა.

რაც შეეხებოდა გ. ბ-ინას სარჩელს მ. ბ-შვილის მიმართ, მისი დაუკმაყოფილებლობა საქალაქო სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის სახლის პირველი სართულის რემონტის ხარჯების, სახლიდან გატანილი და დაზიანებული სხვადასხვა დასახელების ავეჯის და 15 000 ლარის ოდენობით საყოფაცხოვრებო ნივთების ღირებულების ანაზღაურებას. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც და-

დასტურდებოდა, რომ მ. ბ-შვილმა გ. ბ-ინას სახლში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მიიღო მოსარჩელის მიერ დასახალბეული ნივთები ან, რომ ამ პერიოდის შემდეგ სახლის პირველი სართული სარემონტო გახდა. მართალია, მ. ბ-შვილმა სასამართლო სხდომაზე აღიარა რამდენიმე ნივთის გადაგდების ფაქტი, მაგრამ, ვინაიდან მოსარჩელეს არ წარუდგენია ამ ნივთების ღირებულების შესახებ რაიმე მტკიცებულება, სასამართლომ მოთხოვნა მათი ფულადი სახით ანაზღაურების შესახებ, არ დააკმაყოფილა.

იმის გამო, რომ გ. ბ-ინას არ მიუთითებია, თუ რა ვალდებულება დაირღვა, რა ზიანი მიადგა მას და რამ გამოიწვია ზიანის დადგომა, საქალაქო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლისათვის მ. ბ-შვილის მიმართ 45 000 ლარის დაკისრების თაობაზე.

მორალური ზიანის -20 000 ლარის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დასასაბუთებლად მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მ. ბ-შვილმა მას საჯაროდ დააბრალა თაღლითობა, რითაც შელახა მისი, ასევე, მთელი ოჯახის რეპუტაცია და პატიოსანი სახელი. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პირად არაქონებრივ უფლებებს, თუ არსებობს შემდეგი გარემოებანი: შელახულია ფიზიკური ან იურიდიული პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია; პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია; გავრცელებული ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების ქვეშ იგულისხმება ასეთი ცნობების გამოქვეყნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, საჯარო განცხადებებში, გამოსვლებში ერთი ან რამდენიმე პირისათვის. მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესით დაცვას არ ექვემდებარება ცნობები, რომლებსაც შეიცავს სასამართლო გადაწყვეტილებები ან საგამოძიებო ორგანოთა დადგენილებები, მით უმეტეს სისხლის სამართლის საქმეში არსებული წერილობითი განცხადებები, რომლებიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვას ექვემდებარება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებდა მ. ბ-შვილის განცხადებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც განმცხადებელი მას "თაღლითს" უწოდებდა. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობის გავრცელებად. ამდენად, გ. ბ-ინას მოთხოვნა ამ ნაწილშიც არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ამავე სასამართლოს 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში გასწორდა უსწორობა და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "გ. ბ-ინას მ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს საცხოვრებელი სახლის შეძენის მიზნით გადახდილი თანხის -59 455 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაბრუნება და მიყენებული ზიანის 9 499 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა".

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც გ. ბ-ინამ, ასევე, მ. ბ-შვილმა. პირველ შემთხვევაში აპელანტმა მოითხოვა ზიანის ანაზღაურების ნაწილში მისი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მეორე აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. ბ-ინასათვის მის სასარგებლოდ დამატებით 16 091 აშშ დოლარის დაკისრება, აგრეთვე მის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხის ნაწილის (1 744.38 აშშ დოლარი) დაბრუნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით გ. ბ-ინასა და მ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გ. ბ-ინას მ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 75 546 აშშ დოლარის გადახდა, მასვე მ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის -245.68 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება; გ. ბ-ინას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. ბ-შვილს დაუბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი -2 442.13 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე, საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მხარეებს შორის დადებული საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 328-ე, 183-ე, 59-ე, 61-ე მუხლებიდან გამომდინარე, როგორც კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილი იყო დადების მომენტიდან და არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მხარეები ვალდებული იყვნენ, ერთმანეთისათვის დაებრუნებინათ უსაფუძვლოდ მიღებული.

ამდენად, მ. ბ-შვილს გ. ბ-ინასათვის უნდა დაებრუნებინა საცხოვრებელი სახლი, რაც განხორციელდა, ხოლო გ. ბ-ინას – უსაფუძვლოდ მიღებული თანხა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ შეცდომით დაადგინა გ. ბ-ინას მიერ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის ოდენობა, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ მცდარი შეფასება მისცა სისხლის სამართლის საქმეზე გ. ბ-ინასა და მისი რწმუნებულის გ. გ-იანის ჩვენებას, სადაც მათ აღნიშნეს, რომ მ. ბ-შვილს გ. ბ-ინასათვის გადახდილი ჰქონდა 122 000 აშშ დოლარი.

სინამდვილეში მოხდა შემდეგი:

ქუთაისის საქალაქო სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივ-გამომძიებლისათვის მიცემულ ჩვენებაში გ. ბ-ინამ გამომძიებლის კითხვაზე განმარტა, რომ იგი არა მარტო 2008 წლის 7 აპრილის ერთ-ერთ განცხადებაში, არამედ ბევრ სხვა განცხადებაში აღვნიშნავდა, რომ 122 000 აშშ დოლარი იდო საქართველოს ერთ-ერთ ბანკში, თუმცა ეს თანხა ყოველთვის იყო სადავო. ამასთან, მ. ბ-შვილისათვის მას უნდა გადაეხადა 75 546 აშშ დოლარი, რადგან 122 000 აშშ დოლარს გადაიხდიდა იმ შემთხვევაში, თუკი მოწინააღმდეგე მხარე თვითონ გადაიხდიდა იპოთეკის თანხას. რამდენადაც იპოთეკიდან სახლის გათავისუფლება უშუალოდ გ. ბ-ინამ განახორციელა, რაც მას დაუჯდა 46 545 აშშ დოლარი, იგი 122 000 აშშ დოლარს აკლებდა 46 454 აშშ დოლარს.

ამდენად, გ. ბ-ინას ჩვენებიდან ნათლად ჩანდა, რომ იგი 122 000 აშშ დოლარის დაბრუნებას არ აპირებდა მხოლოდ იმიტომ, რომ გადასახდელ თანხაში ქვითავდა სესხის დასაფარად გადახდილ თანხას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გარდა ზემოაღნიშნულისა, მ. ბ-შვილის მიერ გ. ბ-ინასათვის 122 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი დასტურდებოდა საქმეში არსებული რიგი მტკიცებულებებით, მაგალითად, გ. ბ-ინას მიერ საქართველოს პრეზიდენტის სახელზე მიმართული განცხადებით, იგივე დასტურდებოდა გ. ბ-ინას წარმომადგენელ გ. გ-იანის ჩვენებებით.

ზემოთითებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მ. ბ-შვილმა გ. ბ-ინას უსაფუძვლოდ გადაუხადა 122 000 აშშ დოლარი.

რამდენადაც დასახელებული თანხიდან 46 454 აშშ დოლარი გ. ბ-ინამ გადაიხადა საქართველოს ბანკში მ. ბ-შვილის სასარგებლოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხდა სამოქალაქო კოდექსის 444-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა ნაწილობრივ გაქვითვა. შესაბამისად, გ. ბ-ინას მ. ბ-შვილისათვის უნდა დაებრუნებინა უსაფუძვლოდ მიღებული 75 546 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასაბუთება გ. ბ-ინასათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, რაც იმით დაასაბუთა, რომ მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება უცილოდ ბათილი იყო და გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები არ გამოუწვევია. შესაბამისად, მხარეები არ იყვნენ შებოჭილი ვალდებულებითი ურთიერთობებით და არარსებული ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელი იყო. სასამართლოს განმარტებით, ის, რომ ნასესხები თანხა მ. ბ-შვილმა გადასცა გ. ბ-ინას არარსებული ვალდებულების ანგარიშში, მ. ბ-შვილს ანიჭებდა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნის და არა სხვა ვალდებულების შესასრულებლად თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გ. ბ-ინას სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში.

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ გ. ბ-ინას მოთხოვნასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არ მომხდარა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, კერძოდ, არ დგინდებოდა, რომ გ. ბ-ინა აპირებდა სახლის გაქირავებას; არ დგინდებოდა, თუ რა ოდენობის საზღაურს მიიღებდა იგი ქირავნობის შემთხვევაში; ხომ არ იყო გამოწვეული გ. ბ-ინას შემოსავლის მიუღებლობა მ. ბ-შვილის მართლსაწინააღმდეგო, განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით და იყო თუ არა ეს ზიანი სავარაუდო მ. ბ-შვილისათვის, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მხარეთათვის დასაკისრებელი სასამართლო ხარჯების ოდენობა შემდეგნაირად განსაზღვრა:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. ბ-ინას მ. ბ-შვილის სასარგებლოდ მთლიანობაში დაეკისრა 68 954 აშშ დოლარის (59 455+9 499), ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით 75 546 აშშ დოლარის გადახდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა 6 592 აშშ დოლარის ნაწილში (75 546-68954). დასახელებული თანხის 4% შეადგენს 263.68 აშშ დოლარს, რაც უნდა დაეკისრებოდა გ. ბ-ინას მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მ. ბ-შვილის მოთხოვნა მისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის დაბრუნების შესახებ.

საქმეზე დგინდებოდა, რომ გ. ბ-ინას წარმომადგენელმა ნ. კ-ავამ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ, კერძოდ, 58 146 აშშ დოლარის ნაწილში ცნო. გ. ბ-ინას წარმომადგენელს აღნიშნული უფლებამოსილება გააჩნდა 2008 წლის 24 ივლისს გაცემული რწმუნებულების საფუძველზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ბ-შვილს უნდა დაბრუნებოდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი იმ ნაწილში, რა ნაწილშიც მოპასუხემ ცნო სარჩელი.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მთელს მოთხოვნაზე, 75 546 აშშ დოლარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობამ 3 178.33 ლარი შეადგინა, ამასთან, მან დავის საგნის ღირებულებად 105 764.40 ლარზე მიუთითა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ბ-შვილისათვის დასაბრუნებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა გამოანგარიშებულიყო 81 404.4 ლარიდან (105764.4/75546X58146=81404.4). შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მ. ბ-შვილისათვის დაბრუნებას ექვემდებარებოდა 81 404.4 ლარის 3%, რაც შეადგენდა 2 442.13 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მარტის განჩინებით გასწორდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად წინადადებისა: დაეკისროს გ. ბ-ინას მ. ბ-შვილის სასარგებლოდ მ. ბ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის, 245.68 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება, მიეთითა: დაეკისროს გ. ბ-ინას მ. ბ-შვილის სასარგებლოდ მ. ბ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის, 263.68 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

2009 წლის 2 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ბ-ინამ, რომელმაც მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე ყადაღის დადების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის განჩინებით გ. ბ-ინას განცხადება ყადაღის გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განჩინებით, მ. ბ-შვილის განცხადების საფუძველზე სარჩელის აღძვრამდე მის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო ქუთაისში, ... ქ. #31-ში მდებარე გ. ბ-ინას კუთვნილ უძრავ ქონებას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) მხოლოდ იმ შემთხვევაში არის უფლებამოსილი, გააუქმოს სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, თუ სასარჩელო წარმოება დამთავრდება მოსარჩელის საწინააღმდეგოდ.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მ. ბ-შვილის განცხადებიდან ცალსახად ჩანდა, რომ იგი აპირებდა სარჩელის აღძვრას სასამართლოში როგორც ნასყიდობის საზღაურის (122 000 აშშ დოლარის) დაბრუნების, ასევე ზიანის 20 000 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით. ამას ადასტურებდა ისიც, რომ მან, შემდგომში, სწორედ ამ მოთხოვნებით აღძრა სარჩელი. ამდენად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ბ-შვილის განცხადება, როგორც ნასყიდობის საზღაურის დაბრუნების, ასევე, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე.

რამდენადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სარჩელი გ. ბ-ინას მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შემთხვევა. შესაბამისად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ყადაღის) გაუქმების თაობაზე არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2009 წლის 13 მარტის, 2009 წლის 15 აპრილის განჩინებები საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ინამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინებების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდება მხოლოდ

59 546 აშშ დოლარის მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო გ. ბ-ინას სარჩელი დაკმაყოფილება იმგვარად, რომ მ. ბ-შვილის მის სასარგებლოდ დაეკისრება 45 000 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის და 15 000 აშშ დოლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის (მთლიანობაში 60 000 აშშ დოლარის) ანაზღაურება.

კასატორი აღნიშნავს, რომ ბინის შეძენის მიზნით მთლიანობაში მას მიღებული აქვს 106 000 აშშ დოლარი. ამ თანხიდან 91 000 აშშ დოლარი მიიღო საბანკო გადარიცხვებით, კერძოდ, 49 600 აშშ დოლარი 2006 წლის 24 თებერვლიდან 2007 წლის 28 თებერვლამდე მ. ბ-შვილმა ჩარიცხა გ. ბ-ინას რწმუნებულის გ. გ-იანის ანგარიშზე, ხოლო 2007 წლის 28 თებერვალს მან გ. ბ-ინას ანგარიშზე ჩარიცხა 40 000 აშშ დოლარი. გარდა ამისა, საბანკო გადარიცხვით გ. ბ-ინამ მიიღო 1 400 აშშ დოლარი.

რაც შეეხება დარჩენილ თანხას -15 600 აშშ დოლარს, რომელიც გ. ბ-ინას მიღებული აქვს უნაღდო ანგარიშსწორებით, კასატორი ამ თანხის მიღებას სადავოდ არ ხდის და აღიარებს, რომ 5 000 აშშ დოლარი დახარჯა ძმის -გ. ბ-მის სახლის რემონტისათვის, ხოლო დანარჩენი თანხა აიღო ხელზე.

კასატორის მოსაზრებით, მტკიცებას არ საჭიროებს ფაქტი იმის შესახებ, რომ მან 106 000 აშშ დოლარიდან დაფარა მ. ბ-შვილის მიერ საქართველოს ბანკიდან 2007 წლის 27 თებერვალს აღებული იპოთეკური სესხი -46 454 აშშ დოლარი. ამიტომ იგი მიიჩნევს, რომ 106 000 აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს სესხის დაფარვის თანხა 46 454 აშშ დოლარი. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარისათვის დაბრუნებას ექვემდებარება დარჩენილი თანხა -59 546, რა ნაწილშიც გ. ბ-ინამ სარჩელი ცნო.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ გ. ბ-ინას მ. ბ-შვილისაგან სახლის შეძენის მიზნით მთლიანობაში მიღებული აქვს 122 000 აშშ დოლარი, რამდენადაც სასამართლომ საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე გაითვალისწინა როგორც ზემომითითებული ჩვენება, ისე იმ მოწმეების განმარტებები, რომლებიც არადამაჯერებლად განმარტავდნენ, რომ თითქოს გ. ბ-ინასაგან იცოდნენ მოპასუხის მიერ მისთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობის -68 000 აშშ დოლარის თაობაზე.

კასატორი ასევე არ იზიარებს სასამართლოს მიერ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას. გ. ბ-ინას აზრით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ იგი არ აპირებდა სახლის გაქირავებას. საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ მოსარჩელე აპირებდა სახლის გაქირავებას ან გაყიდვას. ასეც რომ არ ყოფილიყო, დადგენილია ფაქტი იმის თაობაზე, რომ მ. ბ-შვილი მართლსაწინააღმდეგოდ ფლობდა სხვის საკუთრებას და ოცდაათი თვის განმავლობაში ხელს უშლიდა მესაკუთრეს მისი საკუთრებით სარგებლობაში, რაც სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისად უნდა მიჩნეულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას, საკასაციო საჩივრის არსებითად მოსმენის დაწყებამდე მხარეები მორიგდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

გ. ბ-ინა თანახმაა, რომ მ. ბ-შვილს გადაუხადოს 63 000 აშშ დოლარი, ხოლო მ. ბ-შვილი თანახმაა, მიიღოს აღნიშნული თანხა;

თანხის გადახდა მოხდება მორიგების დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში მხარეთა მიერ შერჩეულ ნოტარიუსთან მ. ბ-შვილისათვის თანხის ფიზიკურად გადაცემით;

მორიგების დამტკიცების შემთხვევაში მ. ბ-შვილი თანახმაა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს სთხოვს, გააუქმოს გ. ბ-ინას საცხოვრებელ სახლზე, მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქ. #31, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დადებული ყადაღა ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში;

მხარეები აცნობიერებენ მორიგების აქტის შინაარსს, რომელიც სრულად გამოხატავს მათ ნებას, მათთვის ცნობილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება და ისინი (ორივე მხარე) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სთხოვენ, დაამტკიცოს წარმოდგენილი მორიგების აქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორს -გ. ბ-ინას უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -6 000 ლარი (თავდაპირველად გ. ბ-ინას მიერ გადახდილი 4 000 ლარი და შემდგომში ვ. ნ-იას მიერ გადახდილი 2 000 ლარი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 257-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

I. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

გ. ბ-ინა თანახმაა, რომ მ. ბ-შვილს გადაუხადოს 63 000 აშშ დოლარი, ხოლო მ. ბ-შვილი თანახმაა, მიიღოს აღნიშნული თანხა;

თანხის გადახდა მოხდება მორიგების დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში მხარეთა მიერ შერჩეულ ნოტარიუსთან მ. ბ-შვილისათვის თანხის ფიზიკურად გადაცემით;

მორიგების დამტკიცების შემთხვევაში მ. ბ-შვილი თანახმაა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს სთხოვს, გააუქმოს გ. ბ-ინას საცხოვრებელ სახლზე, მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქ. #31, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დადებული ყადაღა ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში;

მხარეები აცნობიერებენ მორიგების აქტის შინაარსს, რომელიც სრულად გამოხატავს მათ ნებას, მათთვის ცნობილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება და ისინი (ორივე მხარე) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სთხოვენ, დაამტკიცოს წარმოდგენილი მორიგების აქტი.

II. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

III. გ. ბ-ინას დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -6 000 ლარი (თავდაპირველად მის მიერ გადახდილი 4 000 ლარი და შემდგომში ვ. ნ-იას მიერ გადახდილი 2 000 ლარი) ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე.

IV. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

#ას-273-595-09

13 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 აპრილს ტ. და თ. დ-ოვებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს შ. ხ. და ფ. ბ-ეების წინააღმდეგ სარჩელით მიმართეს, ქ. თბილისში, ... მე-3 შესახვევის, I ჩიხის, #13-ში მდებარე საცხოვრებელ სადგომზე, ასევე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით. მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ფართს, რომელიც მოიცავდა 177,78 მ² სახლთმფლობელობასა და 600 მ² მიწის ნაკვეთს, მათი დიდი პაპის სიტყვიერი განკარგულების საფუძველზე კეთილსინდისიერად ფლობდნენ. მოპასუხეები არ უარყოფდნენ საცხოვრებელი სადგომის ფლობის ფაქტს, თუმცა მასზე საკუთრების უფლების ცნობის წინააღმდეგი იყვნენ.

მოპასუხეებმა თავიანთ შესაგებელში აღიარეს, რომ მათსა და მოსარჩელეს შორის ნამდვილად არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა. მათ, როგორც უძრავი ქონების მესაკუთრეებმა, მოსარჩელებს დაუთმეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მიუთითეს, რომ "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მიხედვით, მოსარჩელეს ურთიერთობის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა, კანონით ამგვარი უფლება მხოლოდ მესაკუთრეს გააჩნდა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელებმა შეამცირეს სასარჩელო მოთხოვნა და საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა მისი საბაზრო ღირებულების არა კანონით გათვალისწინებული 25%, არამედ 30%-ის (17 490 ლარის) სანაცვლოდ მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით ტ. და თ. დ-ოვების სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელებს მოპასუხეების - შ., ხ. და ფ. ბ-ეების სასარგებლოდ დაეკისრათ 17 490 ლარის გადახდა. ტ. და თ. დ-ოვები ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ... მე-3 შესახვევის, I ჩიხის, #13-ში მდებარე 72,52 მ² საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეებად.

სასამართლომ დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. თბილისში, ... მე-3 შესახვევის, I ჩიხის, #13-ში მდებარე უძრავი ქონება ვ. ბ-ევის სახელზეა რეგისტრირებული;
2. ვ. ბ-ევი 2003 წლის 11 მაისს გარდაიცვალა;
3. შ. ბ-ევი, ფ. და ხ. ბ-ეები ვ. ბ-ევის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან, რომლებმაც სამკვდრო კანონით დადგინდეს ვადაში მიიღეს;
4. მხარეებს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ;
5. მოპასუხეებს საცხოვრებელი სახლის სამი ოთახი აქვთ დაკავებული, საერთო 51,37 მ²-ით, 4,37მ² სამზარეულო და ეზოში მდებარე 16,78 მ² სათავსი;
6. მოსარჩელების მიერ დაკავებული სადგომის საბაზრო ღირებულება 58 300 ლარია;

აღნიშნული გადაწყვეტილება შ., ხ. და ფ. ბ-ეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით და ჩათვალა, რომ მხარეებს შორის არსებობდა გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის

შესახებ. პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, რომ საქალაქო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტების მტკიცება, რომ სპეციალისტს, სადავო მიწის ნაკვეთის ფასის განსაზღვრისას, ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის #1-7 გადაწყვეტილებით უნდა ეხელმძღვანელა, რადგანაც სპეციალისტის ცნობა 2008 წლის 6 მაისს მომზადდა, ზემოხსენებული ნორმატიული აქტი კი ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 19 ნოემბრის #12-67 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის განჩინება შ. ხ. და ფ. ბ-ევებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

კასატორები თვლიან, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ვინ არის უძრავი ნივთის მესაკუთრე, ასევე, მათი მითითებით, არსებობენ იმავე რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები, რომლებიც საქმეში ჩაბმული არ ყოფილან. კასატორი მხარე საჩივარში აფიქსირებს მზადყოფნას, ნებისმიერ დროს გადაუხადოს ტ. და თ. დ-ოვებს 30 000 აშშ დოლარი, იმის სანაცვლოდ, რომ მოსარჩელები უარს იტყვიან თავიანთ მოთხოვნაზე დაიმტკიცონ საკუთრების უფლება სადავო ფართზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით შ., ხ. და ფ. ბ-ევების საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა არსებითად განსახილველად.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას 2009 წლის 13 ნოემბერს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი, შემდეგი პირობებით:

1. შ., ხ. და ფ. ბ-ევები კისრულობენ ვალდებულებას, გადაიხადონ ტ. და თ. დ-ოვების სასარგებლოდ 45 000 აშშ დოლარი 2009 წლის 31 დეკემბრამდე, ქ თბილისში, ... მე-3 შესახვევის I ჩიხის, #13-ში მდებარე 72,52 კვ.მ-ზე მფლობელობის შეწყვეტის სანაცვლოდ;

2. ტ. და თ. დ-ოვები ვალდებული არიან გაათავისუფლონ აღნიშნული ფართი 2010 წლის 31 იანვრამდე;

3. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით მიღებული შედეგი და მოხდება მისი აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების პირობებს, თვლის, რომ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება მხარეთა უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შ., ხ. და ფ. ბ-ევებს მხარეთა მორიგების გამო უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 884,50 ლარიდან 442,25 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 49-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

1. შ., ხ. და ფ. ბ-ევები კისრულობენ ვალდებულებას, გადაიხადონ ტ. და თ. დ-ოვების სასარგებლოდ 45 000 აშშ დოლარი 2009 წლის 31 დეკემბრამდე, ქ თბილისში, ... მე-3 შესახვევის I ჩიხის, #13-ში მდებარე 72,52 კვ.მ-ზე მფლობელობის შეწყვეტის სანაცვლოდ;

2. ტ. და თ. დ-ოვები ვალდებული არიან გაათავისუფლონ აღნიშნული ფართი 2010 წლის 31 იანვრამდე;

3. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით მიღებული შედეგი და მოხდება მისი აღსრულება;

მხარეთა მორიგების გამო შეწყდეს საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე ტ. და თ. დ-ოვების სარჩელისა გამო შ., ხ. და ფ. ბ-ევების მიმართ მესაკუთრედ ცნობის შესახებ;

განემართოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია;

შ., ხ. და ფ. ბ-ევებს დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 884,50 ლარის ნახევარი -442,25 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-392-708-09

10 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჩ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „გულისტანის“ დამფუძნებელი პარტნიორების მიმართ მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: შპს „გულისტანი“ დაფუძნდა ხორბლის გადამამუშავებელი ქარხნის აშენების მიზნით. პარტნიორთა შეთანხმებით, მოსარჩელეს უნდა დაეფარა საერთო ხარჯის 20%, შესაბამისად, საწესდებო კაპიტალში მისი წილი განისაზღვრებოდა 20%-ით. თავდაპირველად საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2000 ლარს და იგი საწარმოს საქმიანობის პროცესში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანების განხორციელების გზით უნდა გაზრდილიყო, რაც მოპასუხეებმა განხორციელეს. აღნიშნული სახსრებით ჩატარდა საწარმოს პირველადი სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოები. შემდგომში მოპასუხეებმა მიზანმიმართულად და ხელოვნურად გაზარდეს შესრულებული სამუშაოების, გაწეული დანახარჯების და, შესაბამისად, მათ მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობა. ამასთან, შპს-ს საქმიანობის დაწყებისთანავე მოპასუხეები მოსარჩელეს საშუალებას არ აძლევდნენ, გასცნობოდა შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციას და ყოველმხრივ ზღუდავდნენ მისი მხრიდან კონტროლის უფლებას. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მოპასუხეებმა მოსარჩელეს საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეთანხმებული 20%-იანი წილის მისაღებად მოსთხოვეს 175 229 აშშ დოლარის, იმ დროისათვის 350 720 ლარის შეტანა, რაც, მათი თქმითა და გაანგარიშებით განხორციელებული საერთო შენატანის -1 753 600 ლარის 20% იყო. მოსარჩელე არ იყო ინფორმირებული მოპასუხეთა მიერ საწარმოში რეალურად განხორციელებული შენატანების თაობაზე. მან 2000 წლის 5 ივნისიდან 12 დეკემბრამდე პერიოდში შპს „გულისტანის“ ანგარიშზე შეიტანა თანხა, რომელიც მოპასუხეებმა მოსთხოვეს მოსარჩელის წილის გასაზრდელად. როგორც გაირკვა, მისი შენატანი საერთოდ არ ასახულა საწარმოს საფინანსო დოკუმენტაციაში, პირიქით, 2001 წლის 21 მარტის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ვ. ჩ-შვილს საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილი შეუძმირდა. ამასთან, პარტნიორები მოსარჩელისათვის კუთვნილი შენატანისა და დივიდენდების დაბრუნების წინააღმდეგი იყვნენ. მარცვლეულის დამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა მიმდინარეობდა 1998-99 წლებში. შესრულებული სამუშაოების ღირებულება -1 845 595 ლარი ძირითადად თურქულმა მხარემ დაფარა. აქედან მოპასუხეებმა შეიტანეს 1 753 600 ლარი, ხოლო ვ. ჩ-შვილმა -92 295 ლარი. აუდიტორული შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ მოპასუხეთა შენატანმა 728 512 ლარი, ხოლო მოსარჩელის -175 229 აშშ დოლარი, ანუ 343 449 ლარი შეადგინა, რაც, საერთო შეტანილი თანხის 32%-ს შეადგენს. მართალია, ამ თანხის შეტანის სამართლებრივ საფუძველზე მითითება შეუძლებელია, მაგრამ მოსარჩელე ვარაუდობდა, რომ იგი შპს „გულისტანში“ მისი წილის სანაცვლოდ შეჰქონდა. საწარმოში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „გულისტანში“ განხორციელებული შენატანი შეადგენს არა

1 753 600 ლარს, არამედ 728 512 ლარს, მათ შორის, რ. ე-ჩის შენატანი შეადგენს 45 250 ლარს, ო. გ-არის -10 600 ლარს, ნ. ს-არის -433 745 ლარს, ა. ი-ლის -94 102 ლარს, ზ. ი-ლის -114 815 ლარს. აღნიშნული თანხა პარტნიორებმა დაფარეს და, შესაბამისად, ამ თანხიდან მიიღეს სარგებელი -343 449 ლარი. ვ. ჩ-შვილის შენატანი შეადგენს ამ თანხის 32%-ს. საწარმოს საფინანსო დოკუმენტაციით 1 ტონა ხორბლის პროცენტული მონაცემების ამგვარი დამახინჯებით მოპასუხეები იღებდნენ დიდ მოგებას. უსაფუძვლოდ მიღებული თანხის გამოყენების შედეგად მოპასუხეებმა მიიღეს ყოველწლიური მოგება 2000 წელს -49 032 ლარი, 2001 წელს -138 255 ლარი, 2002 წელს -77 983 ლარი, 2003 წელს -50 120 ლარი, სულ ვ. ჩ-შვილის თანხის გამოყენებით მიღებულმა სარგებელმა შეადგინა 315 390 ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეებმა მოსარჩელეს უნდა გადაუხადონ უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავალი -343 449 ლარი, აღნიშნული შემოსავლით მიღებული სარგებელი -315 390 ლარი, 392 312 ლარი დამატებითი სარგებელი, რომელიც მიღებული იქნებოდა მეურნეობის სათანადო გაძლოლის შედეგად, საპროცენტო დანარიცხი -443 049 ლარი, ასევე, 1999 წელს მიღებული მოგება 6 388 ლარის ოდენობით. მოპასუხე ჰ. ს-აიჯს, რ. ე-ჩის, ო. გ-არის, ნ. ს-ს, ა. ი-ლსა და ზ. ი-ლს შპს „გულისტანის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 5 038 201 ლარის გადახდა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება 2004 წლის 7 ივნისის აუდიტორულ დასკვნასა და იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის მიერ შედგენილ დასკვნას, სადაც დაფიქსირებულია, რომ დამფუძნებლებმა განახორციელეს 1 843 895 ლარის ინვესტიცია. მოსარჩელემ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში რეალურად შეიტანა 92 295 ლარი, ხოლო დამატებით 343 449 ლარის შეტანის ფაქტი არ დასტურდება. სალაროს ქვითრებში, რითაც მოსარჩელე ამ მოთხოვნის დადასტურებას ცდილობს, არსად არ წერია, რომ იგი შენატანს წარმოადგენს. გარდა ამისა, 2000 წლის 12 დეკემბრისა და 17 ოქტომბრის ქვითრებზე არ არის აღნიშნული შპს „გულისტანი“, როგორც ამ თანხის მიმღები. აქედან გამომდინარე, არანაირი შეხება აღნიშნულ თანხებს საწარმოსთან არ ჰქონია. რაც შეეხება 5 ივნისისა და 29 სექტემბრის ორ ქვითარს, მართალია, ამ ქვითრებით თანხა უშუალოდ ვ. ჩ-შვილის მიერ იქნა შეტანილი, მაგრამ არა, როგორც შენატანი საწესდებო კაპიტალში, არამედ როგორც ამონაგები რეალიზაციიდან, რომელიც მან საწარმოს ანგარიშზე შეიტანა. ამ გარემოებას მოპასუხე მხარე ადასტურებს იმავე 2002 წლის 13 სექტემბრის კრების ოქმით, სადაც დაფიქსირებულია მხოლოდ 92 295 ლარი და სხვა თანხებზე მითითება არ არის. აღნიშნული კრების ოქმი მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია, ამდენად, დაეთანხმა მის შინაარსს. საქმეში წარმოდგენილია საწარმო „გულისტანის“ 2001 წლის 25 დეკემბრის შემოწმების აქტი და შემოსავლის დამალვაზე იქ საუბარი არ არის.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პარტნიორთა კრების 1999 წლის 18 დეკემბრის ოქმი გაუქმდა და ა. ი-ილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხა -31 485 ლარისა და 2001 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად მისი 1%-ის გადახდა, მოპასუხეებს ასევე დაეკისრათ 311 964 ლარისა და 2000 წლის 18 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად მისი 1%-ის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს „გულისტანმა“, ჰ. ს-ჯმა, რ. ე-ჩიმ, ო. გ-იმ, ნ. ს-იმ, ა. ი-ლმა და ზ. ი-ლმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „გულისტანის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა, ვ. ჩ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. ი-ილს დაეკისრა ვ. ჩ-შვილის სასარგებლოდ 31 485 ლარის, შპს „გულისტანს“ კი მოსარჩელის სასარგებლოდ 311 964 ლარის გადახდა, შპს „გულისტანსა“ და ა. ი-ილს დაეკისრა ვ. ჩ-შვილის სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 10 000 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: შპს „გულისტანი“ დაფუძნდა ფიზიკური პირების მიერ და მისი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 2000 ლარით. მოსარჩელის წილი შეადგენდა 20%-ს. 1999 წელს შპს-მ კაპიტალურად შეაკეთა 1998 წელს შეძენილი, ქ. ოზურგეთში, ... ქ. #15-ში მდებარე ქონება და ააშენა მარცვლის გადამამუშავებელი ქარხანა. მშენებლობა და მონტაჟი განხორციელდა უცხოელი დამფუძნებლების მიერ. 1999 წლის 18 დეკემბრის კრებაზე დადგინდა 1998 წლის 25 იანვრიდან 1999 წლის 18 დეკემბრამდე პარტნიორთა ფულადი შენატანები და ვ. ჩ-შვილს დაევალა პარტნიორებისათვის 188392 აშშ დოლარის გადახდა, რაც იქნებოდა შპს „გულისტანში“ მოსარჩელის მიერ 20%-იანი წილის შესაბამისი შენატანი. 2000 წლის 5 ივლისს ვ. ჩ-შვილმა შპს „გულისტანის“ ანგარიშზე გადარიცხა 235 905 ლარი, 2000 წლის 29 სექტემბერს -13

133 ლარი, 2000 წლის 17 ოქტომბერს სს „ფათოლლუს“ ანგარიშზე -49 735 ლარი, 2000 წლის 18 ოქტომბერს იმავე ანგარიშზე 13 191 ლარი, ხოლო 2000 წლის 12 დეკემბერს ა. ი-ლის ანგარიშზე -31 485 ლარი. თანხის გადარიცხვა დასტურდება შემოსავლის ორდერებით და დგინდება, რომ 2000 წლის 17 ოქტომბერს ვ. ჩ-შვილმა შპს „გულისტანის“ ანგარიშზე გადარიცხა 25 357 აშშ დოლარი, 2000 წლის 5 ივლისს -120360 აშშ დოლარი, 2000 წლის 29 სექტემბერს -6700 აშშ დოლარი, 2000 წლის 18 ოქტომბერს -6730 აშშ დოლარი სს „ფათოლლუს“ ანგარიშზე, 2000 წლის 12 დეკემბერს კი 16064 აშშ დოლარი ა. ი-ლის ანგარიშზე შპს „გულისტანში“ შესატანად. ვ. ჩ-შვილმა, გადარიცხვის დროისათვის ლარის შესაბამისი კურსის შესაბამისად, 2000 წლის 5 ივლისს შპს „გულისტანის“ ანგარიშზე გადარიცხა 234905 ლარი, 2000 წლის 29 სექტემბერს -13 133 ლარი, 2000 წლის 17 ოქტომბერს სს „ფათოლლუს“ ანგარიშზე -49 735 ლარი, 2000 წლის 18 ოქტომბერს იმავე ანგარიშზე -13 191 ლარი, 2000 წლის 12 დეკემბერს ა. ი-ლის ანგარიშზე -31 485 ლარი. ორი გადარიცხვა განხორციელდა სს „ფათოლლუს“ ანგარიშზე, თუმცა საბოლოოდ 2000 წლის 5 აგვისტოს ჩდ 459791 ფაქტურის თანახმად, შპს „გულისტანმა“ მიიღო დასახელებული თანხის ხორბალი. დასახელებული თანხის შპს „გულისტანის“ ანგარიშზე ჩარიცხვა დასტურდება ასევე აუდიტორული შემოწმების აქტით, რომელიც წარმოადგენს შპს „გულისტანის“ 1998-2001 წლებში ბუღალტრული ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშების აუდიტორული შემოწმების ანგარიშს. ამდენად, შემოსავლის ორდერების, აუდიტის დასკვნისა და ვ. ჩ-შვილის განმარტების მიხედვით, დგინდება, რომ 17-18 ოქტომბრისა და 12 დეკემბრის გადარიცხვის შედეგად თანხა ნამდვილად შპს „გულისტანის“ ანგარიშზე აისახა მოგების ანგარიშით. ამდენად, თანხა მიიღო შპს „გულისტანმა“. 2000 წლის 18 ოქტომბრის გადარიცხვით კი დგინდება, რომ თანხა მიიღო ა. ი-ლმა. 1999 წლის 18 დეკემბრის ოქმის საფუძველზე თანხა გადარიცხა პარტნიორებისა და დირექტორის მიერ მითითებულ ანგარიშზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ვ. ჩ-შვილი საზოგადოების დირექტორი არ იყო, მის მიერ თანხის გადარიცხვა საწარმოს წარმომადგენლის სახით მოქმედებად ვერ ჩაითვლება. სასამართლო დაეთანხმა ვ. ჩ-შვილის განმარტებას, რომ იგი თანხის გადარიცხვისას მოქმედებდა, როგორც ფიზიკური პირი, თავისი წილის გასაზრდელად. მან თანხა გადარიცხა 1999 წლის 18 დეკემბრის ოქმის საფუძველზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ საქმის შეფასება 1999 წლის 18 დეკემბრის ოქმის ბათილობასთან დაკავშირებით, რადგან 1999 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე ვ. ჩ-შვილს 188 392 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა, კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმის დაუცველად დადებული. მისი გაფორმებისას დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 59-ე, 55-ე და 61-ე მუხლები, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 19.1, 47.2, 5^ეI, 5^ეII მუხლები და იმავე მუხლის მეოთხე ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლომ მიუთითა, რომ ვლ. ჩ-შვილის მიერ 2000 წლის 5 ივლისისა და 2000 წლის 29 სექტემბრის გადარიცხვების შედეგად შპს „გულისტანი“ უსაფუძვლოდ გამდიდრდა და წარმოეშვა ვ. ჩ-შვილისაგან მიღებული თანხის დაბრუნების ვალდებულება. დანარჩენი სამი გადარიცხვით თანხები მიიღეს სს „ფათოლლუმ“ და ა. ი-ლმა. ამავდროულად სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სს „ფათოლლუს“ ანგარიშზე ასახული თანხის შესაბამისი ხორბალი მიიღო შპს „გულისტანმა“, ამდენად, უსაფუძვლოდ გამდიდრდა შპს „გულისტანი“ და ა. ი-ლი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ჩ-შვილის ქონება ყოველგვარი საფუძვლის გარეშე აღმოჩნდა შპს „გულისტანში“ და ა. ი-ლის საკუთრებაში. ზემოხსენებული კრების ოქმის ბა. დ მიჩნევის საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა, რომ ვლ. ჩ-შვილის მიერ შესრულებულმა შენატანმა სამართლებრივი საფუძველი დაკარგა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს უსაფუძვლო გამდიდრების დამადასტურებელი გარემოებანი, კერძოდ, თანხის მიმღები ვ. ჩ-შვილის თანხით გამდიდრდა, თანხის გადარიცხვას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი, თანხის მიღებით ზიანი მიადგა ვ. ჩ-შვილს, ვინაიდან მისი ქონება შემცირდა ან ვერ მიიღო სარგებელი, ასევე არსებობს მიზეზობრივი კავშირი უსაფუძვლო გამდიდრებასა და შემსრულებლისთვის ზიანის მიყენებას შორის. პალატის მოსაზრებით, სადავო არ არის ფაქტობრივი გარემოება, რომ თანხა მიიღო უშუალოდ შპს „გულისტანმა“ და ა. ი-ლმა. 2002 წლის 13 სექტემბრის კრების ოქმის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. ჩ-შვილს კუთვნილი წილი შეუმცირდა 5%-მდე. სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონდიქციურ ვალდებულებაში მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება უსაფუძვლოდ შექმნილი ან დაზოგილი ქონების და არა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის ფარგლებში. სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, ვ. ჩ-შვილი განმარტავს, რომ მან თანხა პარტნიორების მითითებით შპს „გულისტანის“ ანგარიშზე გადარიცხა, თუმცა ის ფაქტი, რომ თანხა საწარმოს ანგარიშზე კანონის მოთხოვნათა დაუცველად გადარიცხა და ამ დროს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებუ-

ლი საწესდებო კაპიტალში შენატანის შეტანასთან დაკავშირებით პირობები დაცული არ იქნა ვლ. ჩ-შვილის ბრალს წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს "გულის-ტანისა" და ა. ი-ლის წარმომადგენლებმა ვ. ლ-ძემ და ზ. ჯ-შვილმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს დასკვნით ვ. ჩ-შვილმა სადავო თანხები გადარიცხა პარტნიორებისა და დირექტორის მიერ მითითებულ ანგარიშებზე. პარტნიორებს გააჩნდათ ვ. ჩ-შვილის მიმართ 188392 აშშ დოლარის ოდენობით მოთხოვნის უფლება. კრედიტორებმა მიუთითეს მოვალეს, თუ როგორ და ვის მიმართ უნდა განეხორციელებინა მათი კუთვნილი მოთხოვნის შესრულება. ამ მითითების შესაბამისად, ვ. ჩ-შვილმა ხუთჯერ გადარიცხა თანხა. გადარიცხვების განხორციელებისთანავე ვ. ჩ-შვილმა შეასრულა პარტნიორთა 1999 წლის 18 დეკემბრის კრების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალემ ფულადი ვალდებულება შეასრულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად. გადარიცხვების განხორციელებამდე და მის შემდეგაც ვ. ჩ-შვილი იყო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის 20%-ის წილის მფლობელი, შესაბამისად, შეუძლებელია განსახილველი შემთხვევა განხილულ იქნეს როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, რადგან მოვალის ქმედება გამომდინარეობდა ნაკისრი ვალდებულებებიდან. 1999 წლის 18 დეკემბრის კრების ოქმი თავისი სამართლებრივი შინაარსით წარმოადგენდა პარტნიორთა შორის გარიგებას. ვ. ჩ-შვილსა და დანარჩენ პარტნიორებს შორის კრების ოქმის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები თავისი არსით მიჩნეულ უნდა იქნეს, სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებად. ამ შემთხვევაში საზოგადოების პარტნიორებს შორის არ არის იმ სახის შეთანხმება, რომელიც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დროისათვის მოქმედი მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოითხოვდა მის სანოტარო წესით დამოწმებას. კრების ოქმით არ შესულა რაიმე სახის ცვლილება საწარმოში და არ გაზრდილა საზოგადოების საწესდებო კაპიტალი. ოქმით დაფიქსირდა მხოლოდ თითოეული პარტნიორის მიერ საზოგადოებაში განხორციელებული ინვესტიციები და ვ. ჩ-შვილის ვალი დანარჩენი პარტნიორების წინაშე. ასეთი სახის შეთანხმება არ მოითხოვდა მისი სანოტარო წესით დამოწმებას და ამ თვალსაზრისით 1999 წლის 18 დეკემბრის კრების ოქმი სამართლებრივი ძალის მქონეა. ამასთან, ოქმიდან წარმოშობილი ვალდებულებების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის შესაბამისად, 1999 წლის 18 დეკემბრის კრების ოქმი შედგა წერილობით, რაც სრულად შეესაბამება ასეთი სახის სამართალურთიერთობებისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, ვლ. ჩ-შვილი ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, რაც გამორიცხავს მიმღები მხარის უსაფუძვლო გამდიდრებას. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი პუნქტი არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მიმღები უსაფუძვლოდ მდიდრდება, კერძოდ, თუ ვალდებულება არ წარმოიშობა გარიგების ბათილობის გამო. 1999 წლის 18 დეკემბრის კრების ოქმის ფორმალურად გარიგებად მიჩნევისას, მის საფუძველზე არსებული ვალდებულება არ წარმოიშობა და გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმები, თუმცა ვ. ჩ-შვილის მიერ განხორციელებული მოქმედება განპირობებული იყო სამართლებრივი ძალის მქონე შეთანხმებით და სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები არ არსებობს. განსახილველი ურთიერთობა გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობასაც, რადგან აღნიშნული გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულების განხორციელება არ ემყარება პირის ვალდებულებას. ვ. ჩ-შვილის მიერ გადარიცხვები განხორციელდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, რის გამოც განსახილველი ურთიერთობა ვერ ჩაითვლება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით რეგულირებად ურთიერთობად. დავის საგანს განსახილველ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს არა გადარიცხვებით განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვა, არამედ პარტნიორთა 2002 წლის 13 სექტემბრის კრების გადაწყვეტილების კანონიერება, რაც მოსარჩელე მხარეს არ მოუთხოვია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გაზიარების შემთხვევაშიც კი სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა განსახილველ ურთიერთობებს. მართალია, სამართლებრივი თვალსაზრისით პირის საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დასტურდება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით და ასეთი უფლებამოსილება გააჩნია დირექტორს, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს პირის მიერ საზოგადოების სახელით კონკრეტული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას. სწორედ ასეთ მოქმედებას წარმოადგენს საზოგადოების სახელით საბანკო ანგარიშსწორების წარმოება. საქმეში წარმოდგენილი საბანკო ბარათების თანახმად, საზოგადოებას ანგარიშსწორების ანგარიში გახსნილი ჰქონდა „ემლაქ ბანკის“ თბილისის ფილიალში. აღნიშნული ბარათებით დასტურდება ვ. ჩ-შვილის უფლებამოსილება საზოგადოების სახელით საბანკო ოპერაციების წარმოებაზე. ვ. ჩ-შვილი სადავო გადარიცხვების პერიოდში სარგებლობდა პირველი ხელმოწერის უფლებით. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა მოსარჩელის საზოგადოების

დირექტორობის საკითხი, არამედ მისი მხრიდან საზოგადოების სახელით საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე უფლებამოსილების არსებობა. მთავარია, არა პირის ზოგადი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, არამედ კონკრეტული ქმედების განხორციელების სათანადო უფლება. მოცემულ შემთხვევაში ვ. ჩ-შვილს ასეთი უფლებამოსილება გააჩნდა. სწორედ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელა მოსარჩელემ სადავო ხუთი გადარიცხვა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო რა ვ. ჩ-შვილის მხრიდან მისი პირადი სახსრებით სადავო გადარიცხვების განხორციელების ფაქტი, შეფასების გარეშე დატოვა ის დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება მოსარჩელის მხრიდან საზოგადოების კუთვნილი სახსრებით სადავო გადარიცხვების განხორციელების ფაქტი. ამ შემთხვევაში პირველ რიგში აღსანიშნავია საქმეში არსებული 2000 წლის 29 სექტემბრის სადავო ქვითარი, რომლის თანახმად ქვითრის გრაფაში შემომტანი ფიქსირდება შპს „გულისტანი“ ვ. ჩ-შვილის სახით. სააპელაციო სასამართლო ასევე ყოველგვარი შეფასების გარეშე ტოვებს საქმეში არსებულ 2002 წლის 13 სექტემბრის კრების ოქმს, რომლითაც დასტურდება საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, ოქმის თანახმად, მოსარჩელეს შეუმცირდა საზოგადოების კაპიტალში მისი კუთვნილი წილი შეუვსებლობის მოტივით. ბუნებრივია, თუ მოსარჩელემ თანხა ხუთჯერ გადარიცხა, 2002 წლის 13 სექტემბრის კრების ოქმში მითითებული გარემოება არ შეესაბამება სინამდვილეს, თუმცა კრების ოქმი მისი თანმდევი შედეგით მოსარჩელის მიერ არ გამხდარა დავის საგანი და მასში მითითებული ფაქტების ნამდვილობის დადასტურებას წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ მის მიერ სადავო გადარიცხვები განხორციელდა მოპასუხეთა მიერ მითითებულ ანგარიშებზე კუთვნილი წილის გაზრდის მიზნით. არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელის მიმართ აღგილი ჰქონდა ასეთ მითითებას მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია და მოპასუხეებს არც რაიმე მითითება ვ. ჩ-შვილისათვის არ მიუციათ. ასევე უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნა, რომ ვ. ჩ-შვილი სადავო გადარიცხვებს ახორციელებდა კუთვნილი წილის გაზრდის მოტივით. ამ დროს ვ. ჩ-შვილი იმ წილის მფლობელი იყო, რაც მას გააჩნდა საზოგადოებაში საწარმოს ფუნქციონირების დაწყების დროისათვის. ამასთან, სასამართლოს დასკვნა ვ. ჩ-შვილის მიერ სადავო გადარიცხვების დანარჩენი პარტნიორების ვალის დაფარვის ანგარიშში განხორციელების შესახებ ეწინააღმდეგება 1999 წლის 18 დეკემბრის კრების ოქმით დადგენილ გარემოებებს. კრების ოქმის თანახმად, ვ. ჩ-შვილი იყო პარტნიორების მოვალე და მან იკისრა კრებით განსაზღვრული ვალის დაფარვის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ მომავალში არ მიმართავენ სასამართლოს წინამდებარე აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით და კისრულობენ ვალდებულებას, სრულად, დროულად და ჯეროვნად შეასრულონ ამ აქტით ნაკისრი ვალდებულებები;
2. მოპასუხეები იღებენ ვალდებულებას, მოსარჩელეს წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს განჩინებით დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში გადასცენ 100 000 აშშ დოლარი;
3. მოსარჩელე წინამდებარე მორიგების აქტით უარს აცხადებს თავის სასარჩელო მოთხოვნებზე მოპასუხეთა მიმართ მორიგების აქტის მე-2 პუნქტში მითითებული პირობის სანაცლოდ, ასევე კისრულობს ვალდებულებას, შეწყვიტოს ყველა სხვა სახის დავა მოპასუხეთა მიმართ;
4. მოსარჩელე ადასტურებს, რომ არ გააჩნია არანაირი პრეტენზია და მოთხოვნა შპს „გულისტანის“ პარტნიორების მიერ განხორციელებულ ქმედებებთან და შპს „გულისტანის“ ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით;
5. მხარეებისათვის ცნობილია, რომ მათ შორის არსებული დავის მორიგებით დასრულებისა და ამ საფუძვლით საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით დაუშვებელია;
6. მხარეთა მიერ წინამდებარე აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მიექცევა იძულებით აღსასრულებლად;
7. მხარეები ადასტურებენ, რომ ერთმანეთის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნიათ და უარს ამბობენ ერთმანეთის მიმართ ყველა სხვა მოთხოვნებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ა. ი-ილის, შპს "გულისტანსა" და ვ. ჩ-შვილს შორის შემდეგი პირობებით:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ მომავალში არ მიმართავენ სასამართლოს წინამდებარე აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით და კისრულობენ ვალდებულებას, სრულად, დროულად და ჯერჯერობნად შეასრულონ ამ აქტით ნაკისრი ვალდებულებები;

2. მოპასუხეები იღებენ ვალდებულებას, მოსარჩელეს წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს განჩინებით დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში გადასცენ 100 000 აშშ დოლარი;

3. მოსარჩელე წინამდებარე მორიგების აქტით უარს აცხადებს თავის სასარჩელო მოთხოვნებზე მოპასუხეთა მიმართ მორიგების აქტის მე-2 პუნქტში მითითებული პირობის სანაცლოდ, ასევე კისრულობს ვალდებულებას, შეწყვიტოს ყველა სხვა სახის დავა მოპასუხეთა მიმართ;

4. მოსარჩელე ადასტურებს, რომ არ გააჩნია არანაირი პრეტენზია და მოთხოვნა შპს "გულისტანის" პარტნიორების მიერ განხორციელებულ ქმედებებთან და შპს "გულისტანის" ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით;

5. მხარეებისათვის ცნობილია, რომ მათ შორის არსებული დავის მორიგებით დასრულებისა და ამ საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით დაუშვებელია;

6. მხარეთა მიერ წინამდებარე აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მიექცევა იძულებით ადსასრულებლად;

7. მხარეები ადასტურებენ, რომ ერთმანეთის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნიათ და უარს ამბობენ ერთმანეთის მიმართ ყველა სხვა მოთხოვნებზე.

შეწყდეს საქმის წარმოება ვ. ჩ-შვილის სარჩელს გამო შპს „გულისტანის“ დამფუძნებელი პარტნიორების მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო

განჩინება

#ას-521-831-09

10 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ო-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ო. მ-ძისა და ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიმართ გარდაცვლილი ჟ. ო-შვილის მოვლისა და მკურნალობისათვის გაწეული ხარჯების -7500 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ. ქუთაისში, ... გამზირის #60/3-ში მდებარე სამკვიდრო ქონებას -ერთოთახიან საცხოვრებელ ბინასა და მის ეზოში არსებულ კაპიტალურ ავტოფარეს, ჟ. ო-შვილის გარდაცვალების შემდგომ -2007 წლის 2 დეკემბრიდან, ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მისი მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, მოპასუხე ო. მ-ძე. ჟ. ო-შვილის გარდაცვალების მომენტში მოსარჩელე იმყოფებოდა საზღვარგარეთ, სადაც შეიტყო ბიცოლის -ჟ. ო-შვილის გარდაცვალების შესახებ. მოსარჩელე გარკვეული პერიოდის განმავლობაში უვლიდა ჟ. ო-შვილსა და მის შვილს ი. ო-შვილს, მანვე გაიღო ამ უკანასკნელის დაკრძალვის ხარჯები, სულ 7500 აშშ დოლარის ოდენობით. მოპასუხე ვალდებულია, მას აღნიშნული თანხა აუნაზღაუროს, თუმცა ო. მ-ძე თავს არიდებს თანხის გადახდას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ო. ო-შვილმა დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განსჯადობის წესები, რადგანაც სარჩელი უნდა შეეტანა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ჟ. ო-შვილი იყო მოპასუხის მამიდა, ი. ო-შვილი კი -მისი მამიდაშვილი. 2001 წლის 26 ნოემბერს გარდაიცვალა ი. ო-შვილი, 2007 წლის 3 დეკემბერს კი -ჟ. ო-შვილი. ქ. ქუთაისში, ... ქ. #60/3 მდებარე საცხოვრებელი ბინა ამჟამადც მის სახელზეა აღრიცხული. ჟ. ო-შვილის მეუღლე ნ. ო-შვილის გარდაცვალების შემდეგ ნათესავები, მათ შორის, ო. ო-შვილი, ეხმარებოდნენა ჟ. და ი. ო-შვილებს, თუმცა მართოდენ საჩუქრის სახით, რის გამოც დაუსაბუთებელია მოსარჩელის მიერ როგორც ხარჯების ანაზღაურების, ისე სამკვიდროდან წილის მოთხოვნა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ო. ო-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობების საფუძველზე დადგინებულად მიიჩნია, რომ ი. ო-შვილი გარდაიცვალა 2001 წლის 26 ნოემბერს, ხოლო მისი დედა -ჟ. ო-შვილი -2007 წლის 3 დეკემბერს. მხარეთა განმარტებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. ქუთაისში, ... გამზირ #60/3-ში მდებარე ი. ო-შვილის დანაშთი ქონება ჟ. ო-შვილის სახელზე აღირიცხა 2007 წლის 26 ოქტომბერს, რომლის მეორე რიგის მემკვიდრეა ო. მ-ძე და სხვა მემკვიდრე ჟ. ო-შვილს არ დარჩენია. ო. ო-შვილის შვილი სტუდენტობისას ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ი. და ჟ. ო-შვილებთან. მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით პალატამ მიიჩნია, რომ ო. ო-შვილმა გაიღო ი. ო-შვილის უკანასკნელი მკურნალობის ხარჯები, ხოლო ჟ. ო-შვილის დაკრძალვის ხარჯები დაფარა ო. მ-ძემ. მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის განმარტებების თანახმად, ო. ო-შვილმა სადავო ხარჯები უანგაროდ გაიღო, იგი ეხმარებოდა თავის ბიძაშვილს და აღნიშნული თანხის დაბრუნებას არ ელოდა. მოსარჩელის შუამდგომლობით დაკითხული მოწმეების -გ. გ-შვილის, ა. კ-ძისა და გ. ბ-შვილის ჩვენებებით ირკვევა, რომ ი. ო-შვილის მკურნალობის ხარჯმა შეადგინა 5500 აშშ დოლარი, ჟ. ო-შვილის მკურნალობისა და მოვლის ხარჯებმა -2000 აშშ დოლარი, რაც ო. ო-შვილმა გასწია უანგაროდ, ზნეობრივი მოვალეობების გათვალისწინებით და ამ ხარჯის გაწევა ი. და ჟ. ო-შვილების მოთხოვნის საფუძველზე არ მომხდარა. მოწმეების -ა. კ-ძისა და ნ. ქ-ძის ჩვენებების თანახმად, ი. ო-შვილს სურდა, ო. ო-შვილის მიერ გაწეული ამაგის სანაცვლოდ, მისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინის ო. ო-შვილის შვილისათვის საჩუქრად გადაეცემა, ხოლო მოწმე ნ. ქ-ძის ჩვენებით ირკვევა, რომ ხარჯების გაწევისას ო. ო-შვილს ი. და ჟ. ო-შვილების ქონე-

ბის მიმართ რაიმე ინტერესი არ გამოუხატავს. მან მხოლოდ დავის წარმოშობის პერიოდში განაცხადა, რომ ხარჯების გაწევისას მის ინტერესს წარმოადგენდა ი. და ჟ. ო-შვილების უძრავი ქონების მიკუთვნება. სააპელაციო პალატის დასკვნით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება გულისხმობს, შემსრულებლის მიერ ყოველგვარი მოვალეობისა და უფლებამოსილების გარეშე სხვის საქმეების წარმართვასა და სხვის ქონებრივ სფეროში ჩარევას. სამოქალაქო კოდექსის 971-ე მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ეხება მეპატრონისათვის მისი საქმის დაწყების თაობაზე შეტყობინებას და არა დაწყებული საქმის მეპატრონის მიერ მოწონებას, ხოლო თუ მითითებული წესი დაცული არ არის, ან შემსრულებლის მოქმედება მეპატრონემ არ მოიწონა, საქმიანობით დამდგარ შედეგებზე, სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლების შესაბამისად, მეპატრონე პასუხს აგებს უსაფუძვლო გამდიდრების წესებით. საქმის მასალებზე დაყრდნობით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. და ჟ. ო-შვილების ჯანმრთელობა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მათი მკურნალობის ხარჯების გაწევის თაობაზე შეტყობინება და მათი მოსაზრების გაგება ო. ო-შვილისათვის შესაძლებელი იყო, თუმცა მოწმეთა ჩვენებებით სასამართლომ გამოარკვია, რომ ი. და ჟ. ო-შვილებს მკურნალობისა და მოვლის ხარჯების გაწევაზე არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობა არ განუცხადებიათ. პირიქით, ო. ო-შვილის მიერ ასეთი მოქმედება მათი მხრიდან მიჩნეულ იქნა ამაგად და უანგარო მოქმედებად, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევიდან. სასამართლოს მითითებით, თავად მოსარჩელე განმარტავს, რომ მოვლისა და მკურნალობის ხარჯები გაიღო უანგაროდ, იგი ეხმარებოდა ბიძაშვილს და აღნიშნული თანხების დაბრუნების მოლოდინი არ ჰქონია. მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა, რომ ი. და ჟ. ო-შვილების ვარაუდით, შემსრულებელს სურდა ამ თანხის გადაცემა და ი. ო-შვილი ო. ო-შვილის მოქმედებას თვლიდა ამაგად. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასკვნა ო. ო-შვილის სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლო ნაწილობრივ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ი. ო-შვილის დაკრძალვისა და ჟ. ო-შვილის მოვლა-მკურნალობის ხარჯებთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობის არასაკმარისად დასაბუთების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 103-ე მუხლების, 102-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარე ვალდებულია დაამტკიცოს მის მიერ მითითებული ფაქტის ნამდვილობა, თუ აღნიშნული სადავო გახდება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ სადავოდ გახადა ი. ო-შვილის დაკრძალვაზე ო. ო-შვილის მიერ ხარჯის გაწევის ფაქტი, საქმის მასალებში აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოიპოვება. მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ 5500 აშშ დოლარი წარმოადგენდა ი. ო-შვილის მკურნალობისა და მოვლის ხარჯს, ხოლო 2000 აშშ - ჟ. ო-შვილის მკურნალობა-მოვლის დანახარჯს. ამდენად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება, რომ ი. ო-შვილის დაკრძალვაზე მან 2000 აშშ დოლარი დახარჯა და მოთხოვნა ამ ნაწილში დაუსაბუთებლად ჩათვალა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ო. ო-შვილის წარმომადგენელმა ლ. ფ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმის გარემოებებით დადასტურებული გარემოება, რომ ო. ო-შვილმა დავალების გარეშე, კეთილსინდისიერად და ნებაყოფლობით შეასრულა სხვისი საქმეები. მან სადავო ხარჯი გასწია და სხვისი საქმეები წარმართა ისე, რომ საამისოდ არც სამართლებრივი მოვალეობა ეკისრებოდა და არც უფლებამოსილება გააჩნდა. სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას აუცილებელია, სხვა პირმა წინასწარ განაცხადოს თანხმობა თავისი საქმეების შესრულებაზე, არსებითად ეწინააღმდეგება დავალების გარეშე სხვისი საქმეების კეთილსინდისიერად შესრულების არსს, რადგან აღნიშნული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, პირი (შემსრულებელი) ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს ამ უკანასკნელის დავალების ან სხვაგვარი მითითების გარეშე, ნებაყოფლობით, ისე, რომ წინასწარი შეთანხმება აუცილებელი არ არის. კანონი უთითებს მეპატრონისათვის მისი საქმის დაწყების თაობაზე შეტყობინებასა და არა დაწყებული საქმის მეპატრონის მიერ მოწონებაზე. სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლები ითვალისწინებს მესაკუთრის მიერ შესრულების დაწუნების სამართლებრივ შედეგებს. ი. და ჟ. ო-შვილების თანხმობა დავალების გარეშე დაწყებული მათი საქმეების შესრულებაზე ნიშნავს ამ შესრულების მოწონებას და აშკარაა, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა მოწესრიგდეს არა უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების, არამედ სამემკვიდრეო სამართლის -სამოქალაქო კოდექსის 1484-1494-ე მუხლების საფუძველზე. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ ნათესავის მიერ მამკვიდრებლის ავადმყოფობის დროს გა-

წეული ხარჯი განიხილება უსაფუძვლო გამდიდრებად, რადგან აღნიშნული მსჯელობით ნათესავები კრედიტორებად ვერ ჩაითვლებიან და ისინი, სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 1489-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ასეთ ხარჯებს ვერ აანაზღაურებენ. კრედიტორთა წინაშე მემკვიდრეების პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტების თანახმად, მემკვიდრეების უკანასკნელი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მემკვიდრეებს წარმოეშობათ იმ შემთხვევაშიც, თუ სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაწეული დახმარება ანაზღაურებულია არავალდებული პირის მიერ. გარდაცვლილის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში მოვლის ხარჯებისა და ხელფასის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს, არსებობდა თუ არა ასეთი გარიგება მოსარჩელესა და გარდაცვლილს შორის ამ უკანასკნელის სიცოცხლეში, თუ მოსარჩელე დავალების გარეშე ასრულებდა სხვის მოვალეობას და შესრულების მოტივს მნიშვნელობა არა აქვს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. კასატორი ო. ო-შვილის წარმომადგენელი ლ. ფ-ძე თანახმაა, მიიღოს ო. მ-ძისაგან 2000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა ო. მ-ძემ უნდა გადაიხადოს 2009 წლის 25 დეკემბრამდე. ო. მ-ძემ უნდა გადაიხადოს ო. ო-შვილის მიერ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში გაწეული ხარჯი -სახელმწიფო ბაჟის -525 აშშ დოლარის ნახევარი -262 აშშ დოლარი და სარჩელის უზრუნველყოფაზე გაწეული სასამართლო ხარჯის -100 ლარის ნახევარი -50 ლარი;

2. მოწინააღმდეგე მხარე ო. მ-ძე თანახმაა, გადაიხადოს 2000 აშშ დოლარი ო. ო-შვილის სასარგებლოდ საცხოვრებელ სახლზე ყადაღის მოხსნამდე -2009 წლის 25 დეკემბრამდე. ასევე თანახმაა, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხარის მიერ გადახდილი თანხის ნახევრის, კერძოდ, 262 აშშ დოლარისა და 50 ლარის დაფარვაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ო. ო-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს ლ. ფ-ძის მიერ 2009 წლის 16 ივნისს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 586 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. კასატორი ო. ო-შვილის წარმომადგენელი ლ. ფ-ძე თანახმაა, მიიღოს ო. მ-ძისაგან 2000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა ო. მ-ძემ უნდა გადაიხადოს 2009 წლის 25 დეკემბრამდე. ო.

მ-ძემ უნდა გადაიხადოს ო. ო-შვილის მიერ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში გაწეული ხარჯი -სახელმწიფო ბაჟის -525 აშშ დოლარის ნახევარი -262 აშშ დოლარი და სარჩელის უზრუნველყოფაზე გაწეული სასამართლო ხარჯის -100 ლარის ნახევარი -50 ლარი;

2. მოწინააღმდეგე მხარე ო. მ-ძე თანახმაა, გადაიხადოს 2000 აშშ დოლარი ო. ო-შვილის სასარგებლოდ საცხოვრებელ სახლზე ყადაღის მოხსნამდე -2009 წლის 25 დეკემბრამდე. ასევე თანახმაა, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხარის მიერ გადახდილი თანხის ნახევრის, კერძოდ, 262 აშშ დოლარისა და 50 ლარის დაფარვაზე.

შეწყდეს საქმის წარმოება ო. ო-შვილის სარჩელის გამო ო. მ-ძისა და ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიმართ თანხის ანაზღაურების შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემართოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

ო. ო-შვილს დაუბრუნდეს ლ. ფ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი საკასაციო ინსტანციაში წარმოებისათვის -586 ლარი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

#ას-671-976-09

1 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ნ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ნ-ძის მიმართ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ბინის 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1993 წელს ქ. თბილისში, ... ქ. #21-ში მდებარე #17 ბინა პრივატიზებულ იქნა ვ. ნ-ძის სახელზე. აღნიშნულ ბინაში ჩაწერილები იყვნენ და ცხოვრობდნენ ძმები -ვ. და გ. ნ-ძეები და ბინა წარმოადგენდა მათ საერთო საკუთრებას. 2006 წლის 27 ივლისს ვ. ნ-ძემ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით ბინა მთლიანად გადასცა ძმისშვილს -მ. ნ-ძეს, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა, რადგან ეკუთვნოდა ბინის მხოლოდ ნახევარი. 2008 წლის 15 იანვარს ვ. ნ-ძე გარდაიცვალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 აპრილის განჩინებით გ. ნ-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ... ქ. #21-ში მდებარე, მ. ნ-ძის სახელზე რიცხულ #7 ბინას დაედო ყადაღა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 1993 წლის 15 ივლისის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ვ. ნ-ძეს სადავო ბინა გადაეცა საკუთრებაში. ბინის პრივატიზების დროს დაცული იყო საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების მოთხოვნები, კერძოდ, გ. ნ-ძემ თანხმობა გამოთქვა, რომ მის ძმას -ვ. ნ-ძეს მოეხდინა ბინის პრივატიზება. აღნიშნული კი გულისხმობს საკუთრების მოპოვებაზე უარის თქმას. მოსარჩელე სადავო ბინაში რეგისტრირებული იყო ფორმალურად, ვინაიდან დაქორწინების შემდეგ, 1985 წლიდან, იგი საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის ბინაში ... ქუჩაზე. ვ. ნ-ძე იყო სადავო ბინის ერთადერთი მესაკუთრე, 1985 წლიდან ის მარტო ცხოვრობდა და იყო აღრიცხვაზე როგორც მარტოხელა პენსიონერი. ამასთან, გ. ნ-ძის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან მას სადავო ბინაზე მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1993 წლის 15 ივლისს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ნ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა სადავო ბინის

1/2-ის თანამესაკუთრედ, ვ. და მ. ნ-ძეებს შორის გაფორმებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება სადავო ბინის 1/2-ის მ. ნ-ძის საკუთრებაში გადასვლის ნაწილში ცნობილ იქნა ბათილად, რაც მ. ნ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ სადავო ბინის პრივატიზაციაში მონაწილეობაზე უარის თქმით გ. ნ-ძემ ამ ბინაზე თავისი უფლება დათმო და სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას პრივატიზებული სადავო ბინის თანამესაკუთრედ გ. ნ-ძის ცნობის შესახებ, კერძოდ, აღნიშნულთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განმარტა "საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების პირველი პუნქტი, ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აზნა, როდესაც მიუთითა, რომ ამ დადგენილებით მინიჭებული უფლება, შესაბამისი წილის გათვალისწინებით, ვრცელდება დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ყველა წევრზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი ამ ფართზე უფლებდაკარგულად არის ცნობილი ან პრივატიზაციის დროს ამოწერილია სადავო ბინიდან. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ბინის პრივატიზაციის დროს გ. ნ-ძე ჩაწერილი იყო ამ ბინაში და, იმ დროს მოქმედი საბინაო კოდექსის შესაბამისად, სადავო ფართზე უფლებდაკარგულ პირად ცნობილი არ ყოფილა, მას საკუთრებაზე უარი არ განუცხადებია და მხოლოდ თანხმობა გამოხატა სადავო ბინის ერთ-ერთი დამქირავებლის მესაკუთრედ აღრიცხვაზე. ამდენად, სადავო ბინის მხოლოდ ვ. ნ-ძის სახელზე პრივატიზაციის მიუხედავად, გ. ნ-ძეც წარმოადგენდა აღნიშნული ბინის თანამესაკუთრეს, მიუხედავად იმისა, რომ თავისი საკუთრების უფლება არ დაურეგისტრირებია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება გ. ნ-ძის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და ამ ნაწილშიც სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასაბუთებას. პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მესაკუთრის უფლება, სათანადო წესით აღრიცხოს მესაკუთრედ, რაიმე ვადით შეზღუდული არ არის. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ნაწილობრივ მართებულად იქნა ცნობილი ბათილად და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთის წარმოადგენდა კანონის საფუძველზე წარმოშობილი საერთო საკუთრების ობიექტს, შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული აპელანტის ის მოსაზრება, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილობის გარეშე, საჯარო რეესტრში გ. ნ-ძის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ვერ მოხდებოდა. სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლის თანახმად, პალატამ ჩათვალა, რომ საზიარო საგნის მოწილეს არ შეუძლია თანამესაკუთრის წილი ქონების განკარგვა მასთან შეთანხმების გარეშე, ვ. ნ-ძემ კი თანამესაკუთრის -გ. ნ-ძის გარეშე სადავო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე მართლსაწინააღმდეგოდ განკარგა მთელი ქონება (სადავო ბინა), რაც, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია. პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის შესახებ და ამ ნაწილშიც სრულად დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების არგუმენტებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. ნ-ძის წარმომადგენელმა მ. ს-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ. ნ-ძისათვის ცნობილი იყო, რომ ვ. ნ-ძე სადავო ბინის ერთდერთ მესაკუთრეს არ წარმოადგენდა და ამ თვალსაზრისით საჯარო რეესტრის ჩანაწერი უსწორო იყო. პალატამ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ის გარემოება, რომ მ. ნ-ძე, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, ვ. ნ-ძესთან გაფორმებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს წარმოადგენდა. სამისდღეშიო ხელშეკრულების დადების მომენტში სადავო ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო მხოლოდ ვ. ნ-ძე, ამდენად, უძრავი ნივთის განკარგვა ნამდვილად უნდა ჩაითვალოს. სააპელაციო პალატის მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ქონების პოტენციური მესაკუთრის უფლებების არსებობა ავტომატურად წარმოადგენს საჯარო რეესტრის ჩანაწერის არასწორად მიჩნევის საფუძველს. რეალურად, ამგვარი უფლებების არსებობის მიუხედავად, საჯარო რეესტრის ჩანაწერი უტყუარად ჩაითვლება, თუნდაც შემძენისათვის ცნობილი იყოს იმ მატერიალური უფლებების შესახებ, რომელიც არარეგისტრირებულ პირს გააჩნია ამა თუ იმ ქონებასთან მიმართებაში. ამდენად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების პოტენციური მატერიალური უფლებების ობიექტურად არსებობა თავისთავად

არ ნიშნავს მესაკუთრეობას და აღნიშნულისათვის აუცილებელია საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამდენად, სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი და 312-ე მუხლის მეორე ნაწილი იმ მოტივით, რომ მ. ნ-მემ იცოდა გ. ნ-მის მატერიალური უფლებამოსილების არსებობა. სააკველაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ნ-მისათვის ცნობილი იყო საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის შესახებ, რასაც საფუძვლად დაუდო მხარეთა შორის ნათესაური კავშირის არსებობა და ის ფაქტი, რომ, პალატის მითითებით, მ. ნ-მის წარმომადგენელმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას აღნიშნული დაადასტურა. აღნიშნული მოსაზრება მცდარია, რადგან ნათესაური კავშირის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ მ. ნ-მისათვის ცნობილი იყო მისი ბიძის უფლებების არსებობის თაობაზე, მაშინ, როდესაც ბინა პრივატიზებული იყო 13 წლით ადრე და მთელი ამ ხნის განმავლობაში გ. ნ-მეს არ განუცხადებია საკუთარი უფლებების თაობაზე. ამასთან, პრივატიზაციის ხელშეკრულების დადებისას გ. ნ-მე უკვე სხვა მისამართზე ცხოვრობდა საკუთარ ოჯახთან ერთად. რაც შეეხება სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის სხდომის ოქმში დაფიქსირებულ ე. წ. აღიარებას, მოსამართლის შეკითხვაზე, იყო თუ არა მოპასუხისთვის ცნობილი სადავო ბინაში გ. ნ-მის რეგისტრაციის შესახებ, მოპასუხის წარმომადგენელმა მ. ბ-იამ განმარტა, რომ აღნიშნული მისთვის ცნობილი იყო, რის გამოც მიმართა რეესტრაციის ორგანოს, რათა მოსარჩელე მოეხსნათ რეესტრაციიდან, მაგრამ სამოქალაქო რეესტრმა უარი უთხრა ასეთი რეგისტრაციის არარსებობის გამო, რასაც სამისამართო სამსახურიდან გაცემული ცნობაც ადასტურებს. ამასთან, მ. ნ-მის მიერ სადავო გარემოების ცოდნა მაინც არ ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ არ იქნეს გაზიარებული კასატორის არგუმენტი სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე. განსახილველი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა არა მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ მ. ნ-მემ იცოდა გ. ნ-მის მატერიალური უფლებამოსილების შესახებ ან იმ ფაქტების შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც გ. ნ-მეს გააჩნდა მატერიალური უფლებები სადავო ქონებასთან მიმართებაში, არამედ უტყუარად უნდა დადასტურდეს, რომ ყველაფერი ეს მ. ნ-მისათვის ცნობილი იყო 2006 წლის 27 ივლისის სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების დადებამდე და მის საფუძველზე საჯარო რეესტრში რეესტრაციის განხორციელებამდე. სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ 15 წელია გასული მას შემდეგ, რაც სადავო უძრავ ნივთზე არსებობს საკუთრების შესახებ ჩანაწერი სხვა პირთა სასარგებლოდ. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა ის ფაქტიც, რომ, ყველა სხვა არგუმენტის მიუხედავად, არსებობს საფუძველი შეძენითი ხანდაზმულობისათვის.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომელს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მ. ნ-მე გ. ნ-მეს 2010 წლის 20 იანვრამდე გადაუხდის 15 000 აშშ დოლარს;
2. გ. ნ-მე თანახმაა, მ. ნ-მისაგან 2010 წლის 20 იანვრამდე მიიღოს 15 000 აშშ დოლარი;
3. მორიგებით მხარეებს შორის დავა ქ. თბილისში, ... ქ. #21-ში მდებარე #17 ბინაზე წყდება და ამავე მხარეებს შორის დავა ამავე საფუძველებით ამავე ბინაზე არ დაიშვება;
4. მხარეთათვის ცნობილია, რომ მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება იძულებითი აღსრულება. თანხის დაფარვამდე ბინაზე დადებული ყადაღა არ უქმდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ნ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მ. ნ-ძისა და მ. დ-შვილის მიერ 2009 წლის 22 ივლისს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 375 ლარისა და მ. დ-შვილის მიერ 2009 წლის 31 ივლისს გადახდილი 688,4 ლარის ნახევარი -531,7 ლარი, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟი ნახევრდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსახილველი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟის კანონით გათვალისწინებული ოდენობის ნახევარი. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა წინასწარ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი -1063,4 ლარი. ამდენად, მას უნდა დაუბრუნდეს მითითებული თანხის ნახევარი -531,7 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება გ. და მ. ნ-ძეებს შორის შემდეგი პირობებით:

1. მ. ნ-ძე გ. ნ-ძეს 2010 წლის 20 იანვრამდე გადაუხდის 15 000 აშშ დოლარს;
2. გ. ნ-ძე თანახმაა, მ. ნ-ძისაგან 2010 წლის 20 იანვრამდე მიიღოს 15 000 აშშ დოლარი;
3. მორიგებით მხარეებს შორის დავა ქ. თბილისში, ... ქ. #21-ში მდებარე #17 ბინაზე წყდება და ამავე მხარეებს შორის დავა ამავე საფუძვლებით ამავე ბინაზე არ დაიშვება;
4. მხარეთათვის ცნობილია, რომ მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება იძულებითი აღსრულება. თანხის დაფარვამდე ბინაზე დადებული ყადაღა არ უქმდება. შეწყდეს საქმის წარმოება გ. ნ-ძის სარჩელის გამო მ. ნ-ძის მიმართ სამისდღეობო რჩენის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ბინის 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემართოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

მ. ნ-ძეს დაუბრუნდეს მ. დ-შვილის მიერ 2009 წლის 31 ივლისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 531,7 ლარი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

ას-369-688-09

4 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება, თანასაკუთრებაში არსებული ნივთის რეალიზაციის გზით გაყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ო-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ლ-იანცის მიმართ საზიარო უფლების გაუქმებისა და თანასაკუთრებაში არსებული ნივთის რეალიზაციის გზით გაყოფის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1998 წლის 18 თებერვალს მხარეებმა შეიძინეს ქ. თბილისში, ... ქ. #25-ში მდებარე #9 ბინა, რის შემდეგ დაქორწინდნენ, თუმცა ამჟამად მათ შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყ-

ყვეტილია. დამაბული ურთიერთობის გამო, მოსარჩელეს სურს მიიღოს კუთვნილი წილი სადავო ბინიდან, თუმცა მოპასუხე აღნიშნულის შესაძლებლობას არ აძლევს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ ლ. ო-იას სადავო უძრავი ნივთის გაყოფა მისთვის არ შეუთავაზებია. ამასთან, ბინა საჯარო რეესტრში აღრიცხული არ არის და, შესაბამისად, ვერც ერთი მათგანის თანასაკუთრებად ვერ ჩაითვლება. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ სადავო საგნის ნატურით გაყოფა შეუძლებელია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ო-იას სარჩელი დაკმაყოფილდა - მხარეთა საზიარო უფლება სადავო უძრავ ნივთზე გაუქმდა ბინის საჯარო აუქციონზე რეალიზაციის გზით და დადგინდა ამონაგები თანხის მხარეთა შორის წილობრივად განაწილება, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მ. ლ-იანცის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ლ-იანცმა შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოში მ. ლ-იანცის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას პალატას განცხადებით მიმართა კასატორის წარმომადგენელმა რ. ხ-იამ, რომელმაც განმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 აპრილის განჩინებით დამტკიცებული ამავე მხარეთა შორის არსებულ სხვა სამოქალაქო დავაზე მიღწეული მორიგებით, ლ. ო-იასა და მ. ლ-იანცს შორის მომდინარე ყველა დავა უნდა შეწყდეს, რის გამოც მან საკასაციო საჩივარსა და დავის შემდეგ გაგრძელებაზე უარი განაცხადა. განცხადებას დაერთო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის კანონიერ ძალაში შესული განჩინების ასლი სამოქალაქო საქმეზე - მ. ლ-იანცის სარჩელის გამო ლ. ო-იას მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რომლითაც მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება და მორიგების ერთ-ერთ პირობად ლ. ო-იამ უარი განაცხადა სარჩელზე მ. ლ-იანცის მიმართ ქ. თბილისში, ... 25^ა-ში მდებარე #69 ბინასთან დაკავშირებით #2ბ/1586-08 საქმეზე. მოცემულ შემთხვევაში მ. ლ-იანცის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრებულია სწორედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის #2ბ/1586-08 განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ მ. ლ-იანცის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე უფლებამოსილია, თანმდევი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, უარი განაცხადოს თავის საკასაციო საჩივარზე.

მოცემულ შემთხვევაში 2009 წლის 1 მაისს საკასაციო სასამართლოს მიმართა კასატორ მ. ლ-იანცის წარმომადგენელმა რ. ხ-იამ, რომელმაც თავისი მარწმუნებლის სახელით საკასაციო საჩივარზე უარი თქვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე და 378-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შეწყდეს წარმოება მ. ლ-იანცის საკასაციო საჩივარზე, საქმეზე - ლ. ორეხოვსკაიას სარჩელის გამო მ. ლ-იანცის მიმართ საზიარო უფლების გაუქმებისა და თანასაკუთრებაში არსებული ნივთის რეალიზაციის გზით გაყოფის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე
უარის თქმის გამო**

განჩინება

#ას-402-718-09

25 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

პ. კ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. პ-ურის, გ. და თ. ტ-შვილების მიმართ, მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრეს დ. პ-ურმა, გ. და თ. ტ-შვილებმა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქალაქო სასამართლოს განჩინება დ. პ-ურმა და თ. ტ-შვილმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით აპელანტებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. პ-ურმა და თ. ტ-შვილმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას პ. კ-მემ თავის სარჩელზე დ. პ-ურის, თ. და გ. ტ-შვილების მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ უარი განაცხადა და იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, შესაბამისი სასამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე პ. კ-მის მოთხოვნა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

პ. კ-დის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

შეწყვედეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე -პ. კ-დის სარჩელის გამო დ. პ-ურის, თ. და გ. ტ-შვილების მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე
უარის თქმის გამო**

განჩინება

#ას-4-343-09

4 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. დ-მემ სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. უ-მისა და ვ. ხ-შვილის მიმართ და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #16-ში 1990 წლიდან საკუთრებაში გააჩნია მთლიანი სახლმფლობელობის 1/12, რომელიც მდებარეობს 910 კვ.მ საერთო სარგებლობის ეზოში. ამავე მისამართზე თ.უ-მეს გააჩნია 2003 წლის 1 დეკემბრიდან უძრავი ქონება ლიტერ „ა“, ორსართულიანი სახლი სასარგებლო 111,88 კვ.მ-ით, რომლის დაზუსტებული ფართია 302 კვ. მ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი სარჩელი, რომლითაც თ. გ-ორისა და თ. უ-მეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ო. გ-ორის საკუთრებად მიეთითა საერთო საკუთრების 910 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ასევე საჯარო რეესტრს დაევალა თ. ა-მის, ა. უ-მის, ჟ. ხ-აზისა და გ. დ-მის საერთო საკუთრებად მიეთითოს 910 კვ.მ ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უ-მემ გასხვისა 302 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლი და მიწა ვ. ხ-შვილის სახელზე.

მოსარჩელის მოსაზრებით, ეს ნაკვეთი საერთო საკუთრებაა, რის გამოც მას აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლიდან გამომდინარე.

მოსარჩელემ მოითხოვა უ-მესა და ხ-შვილს შორის დადებული 2008 წლის 25 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის დავალდებულება, ადადგინოს თ.უ-მის საკუთრების რეგისტრაცია ... ქ. #16-ში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. დ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით გ. დ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ქონება წარმოადგენს საერთო საკუთრებას და ... ქ. #18^ა არ არსებობს. სინამდვილეში სადავო ობიექტი ... ქ. #16-ში მდებარეობს, ხოლო ... ქ. #18^ა არასწორად არის აღნიშნული.

საპელაციო პალატამ დადასტურებულად ცნო სადავო ობიექტის ... ქ. #16-ში მდებარეობა. ამასთან, მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, მართალია, გამყიდველი ... ქ. #16-ში ცხოვრობს, მაგრამ მან გაყიდა ... ქ. #18^ა-ში მდებარე ობიექტი. სადავო ობიექტი არის ინდივიდუალური საკუთრება. სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გ.დ-მე სადავო ობიექტის გასხვისების დროს არ იყო რეგისტრირებული ამ ობიექტის თანამესაკუთრედ. სადავო ქონება თავდაპირველად იყო მ. უ-მის,

რომელმაც იგი აჩუქა ა. კ-იას, შემდეგ ეს ქონება მიიღო კ-იას შვილმა თ. გ-ორმა, რომელმაც იგი გაასხვისა თ. უ-ძის სახელზე 2003 წლის 1 დეკემბერს. 2008 წლის 22 იანვრის მდგომარეობით სადავო ქონება ირიცხება თ. უ-ძის საკუთრებად. 2008 წლის 25 იანვარს ეს ქონება თ. უ-ძისაგან შეიძინა ვ. ხ-შვილმა.

სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ცნო, რომ შემძენისთვის არ იყო ცნობილი და ვერც იქნებოდა, რომ ეს ქონება სადავოს წარმოადგენდა. ამდენად, იგი კეთილსინდისიერი შემძენია.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. დ-ძემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით გ. დ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

2009 წლის 24 აპრილს გ. დ-ძის წარმომადგენელმა თ. ი-ძემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის სხდომაზე გ. დ-ძის წარმომადგენელმა თ. ი-ძემ განმარტა, რომ საკასაციო საჩივრის განხილვამ მისთვის დაკარგა ინტერესი, რის გამოც უარს ამბობს მის განხილვაზე, რასაც დაეთანხმა მოწინააღმდეგე მხარე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა განცხადება და მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან, გ. დ-ძის წარმომადგენელმა თ. ი-ძემ უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიდდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორს გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი -1000 ლარი. ვინაიდან, კასატორმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის განხილვაზე, მას უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 272-ე, 399-ე, 372-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. დ-ძის წარმომადგენლის თ. ი-ძის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე შეწყდეს საკასაციო წარმოება;

გ. დ-მეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 1000 ლარი;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ა-777-აღ-01-09

19 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. და მ. მ-ძეების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 7 მაისის #3^ფ განკარგულების გაუქმების თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

2009 წლის 13 აპრილს ნ. და მ. მ-ძეებმა განცხადებით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვეს მათი სარჩელით აღძრულ საქმეზე, მოპასუხეების დ. და მ. მ-ძეების მიმართ საცხოვრებელ ბინაზე მემკვიდრედ ცნობის თაობაზე, საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1997 წლის 21 მარტს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 7 მაისის #3^ფ განკარგულების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოში განცხადების განხილვისას, სასამართლო სხდომაზე ნ. და მ. მ-ძეების წარმომადგენელმა რ. კ-ავამ და დაინტერესებული მხარის -ბ. ა-ძის წარმომადგენელმა დ. ა-ძემ განცხადებით მომართეს სასამართლოს და აღნიშნეს, რომ ქ. თბილისში, ... გამზირის #11-ში მდებარე #215 სადავო ბინაზე, რომელიც აღრიცხულია 2007 წელს გარდაცვლილ დ. მ-ძის სახელზე, სამემკვიდრეო დავა მიმდინარეობდა მ. , ნ. და მ. მ-ძეებსა და დ. მ-ძის შვილებს -ი. და ა. მ-ძეებს შორის. ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 მაისის განჩინებით მითითებულ მხარეებს შორის აღნიშნულ საქმეზე მორიგება დამტკიცდა, შესაბამისად, მ. და ნ. მ-ძეების განცხადების განხილვამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 7 მაისის #3^ფ განკარგულების გაუქმების თაობაზე დაკარგა აზრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა უარი განაცხადეს განცხადების განხილვაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ ნ. და მ. მ-ძეების წარმომადგენელ რ. კ-ავასა და დაინტერესებული მხარის -ბ. ა-ძის წარმომადგენელ დ. ა-ძის განცხადება ნ. და მ. მ-ძეების 2009 წლის 13 აპრილის განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილედეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩე-

ლის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, საქმის წარმოების შეწყვეტას საფუძვლად უდევს დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე პირის უფლება განკარგოს თავისი უფლებები. მოსარჩელე სარჩელზე უარის თქმით განკარგავს თავის უფლებას, რის გამოც სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, რადგან აღარ არსებობს დავის საგანი, რომლის მიმართ სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში, ნ. და მ. მ-ძეების წარმომადგენელმა რ. პ-ავამ და დაინტერესებული მხარის – ბ. ა-ძის წარმომადგენელმა დ. ა-ძემ განკარგულების გაუქმების შესახებ განცხადებაზე უარის თქმით მოახდინეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ რ. პ-ავასა და დ. ა-ძის მიერ განცხადებაზე უარის თქმის გამო მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს განცხადების განხილვის წარმოება.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. და მ. მ-ძეების წარმომადგენელ რ. პ-ავასა და დაინტერესებული მხარის – ბ. ა-ძის წარმომადგენელ დ. ა-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 7 მაისის #3⁵ განკარგულების გაუქმებასთან დაკავშირებით ნ. და მ. მ-ძეების განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

ნ. და მ. მ-ძეების განცხადებაზე შეწყდეს საქმის წარმოება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ას-723-1022-09

22 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 ივნისს ა. ხ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. გ-ძის და მესამე პირები ე. ლ-ძის და ზ. ხ-შვილის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის ნოტარიუსის ნ. გ-ძის მიერ 2000 წლის 8 ნოემბერს ე. ლ-ძეზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. ხ-შვილის უფლებამონაცვლის ვ. ხ-შვილის სარჩელი მოპასუხის ე. ლ-ძის მიმართ, მესამე პირები – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახმეტის სარეგისტრაციო სამსახური, ზ. ხ-შვილი, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის ნოტარიუსის ნ. გ-ძის მიერ 2000 წლის 8 ნოემბერს ე. ლ-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა (რეესტრში სარეგისტრაციო #2/-415) დანაშთი სამკვიდრო ქონების (საცხოვრებელი სახლის 1000 კვ. მ. მიწის ნაკვეთთან ერთად, მდებარე ქ. ახმეტაში, ... ქ. #16-ში) მემკვიდრედ მისი აღიარების შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 13 ნოემბერს განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი ე. ლ-ძის სახელზე ქ. ახმეტაში, ... ქ. #16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 0,10 ჰა მიწის ნაკვეთთან

ერთად საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 7 დეკემბერს ე. ლ-ქსა და ზ. ხ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (დამოწმებული ახმეტის ნოტარიუსის ლ. ღ-რის მიერ, რეგისტრაციის #1/-2847) ქ. ახმეტაში, ... ქ. #16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 0.10 ჰა მიწის ნაკვეთთან ერთად ზ. ხაშმელაშვილის მიერ შეძენის შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 7 დეკემბერს განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი ზ. ხ-შვილის სახელზე ქ. ახმეტაში, ... ქ. #16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 0.10 ჰა მიწის ნაკვეთთან ერთად საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ. ა. ხარიტონაშვილის სარჩელი ქ. ახმეტაში, ... ქ. #16-ში მდებარე 1000 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე (მასზე არსებულ საცხოვრებელ სახლთან ერთად) მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა ზ. ხ-შვილმა საჩივრით და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის განჩინებით ზ. ხ-შვილის საჩივარი ამავე სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ იქნა მიღებული განსახილველად.

ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ხ-შვილმა და მოითხოვა განჩინების გაუქმება.

2009 წლის 28 მაისს ზ. ხ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მიმართა ახმეტის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით ზ. ხ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის განჩინება და ზ. ხ-შვილის საჩივარი ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის განჩინებაზე დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. ზ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ხ-შვილმა.

2009 წლის 16 ივლისს ვ. ხ-შვილმა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას, რომლითაც უარი განაცხადა კერძო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა ვ. ხ-შვილის განცხადების განხილვის შედეგად თვლის, რომ განცხადება კერძო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე შეწყდეს კერძო საჩივრის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან ვ. ხ-შვილმა უარი განაცხადა კერძო საჩივრის განხილვაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მისი განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე შეწყდეს კერძო საჩივრის წარმოება.

ვ. ხ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 284-ე 372-ე, 399-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

- ვ. ხ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდეს.
- ვ. ხ-შვილის კერძო საჩივართან მიმართებაში საქმის წარმოება შეწყდეს.
- ვ. ხ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ას-198-533-07 23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჯ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. გ-ძის, ზ. და ნ. ჯ-შვილის მიმართ ბინიდან გამოსახლების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 1996 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა მისი მეუღლე ნ. ჯ-შვილი და მის დანაშთ ქონებაზე 2002 წლის 6 დეკემბერს აღიდგინა მემკვიდრეობა და მიიღო საცხოვრებელი სახლი. სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით დავა ჰქონდა მოპასუხეებთან და საბოლოოდ მოპასუხეთა მოთხოვნა სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანისა და სახლზე მემკვიდრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, საცხოვრებელი სახლის ერთადერთი მესაკუთრე იყო მოსარჩელე, ხოლო მოპასუხეები სახლში უნებართვოდ ცხოვრობდნენ.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეთათვის მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლით სარგებლობის აკრძალვა და მათი გამოსახლება ქ. ქუთაისში, ... ქ. #85-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა თ. ჯ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ჯ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ჯ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -თ. ფ-ძე, ზ. და ნ. ჯ-შვილებს აკრძალათ თ. ჯ-შვილის კუთვნილი საცხოვრებელი სახლით სარგებლობა და გამოსახლდნენ ქ. ქუთაისში, ... ქ. #85-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. #85-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს თ. ჯ-შვილის საკუთრებას. პალატამ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხეები სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობენ აღნიშნულ საცხოვრებელ ბინას.

ასევე, სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 14 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით უარ დაკმაყოფილდა თ. ფ-ძის, ზ. და ნ. ჯ-შვილების სარჩელი, რომლითაც ისინი ითხოვდნენ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანასა და ქუთაისში, ... ქ. #85-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მემკვიდრედ ცნობას. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და შესაბამისად, თ. ფ-ძეს, ზ. და ნ. ჯ-შვილებს საცხოვრებელ სახლზე უფლებები არ წარმოშობიათ. სამართლებრივ საფუძვლად პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლებზე.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს თ. ფ-ძემ, ზ. და ნ. ჯ-შვილებმა. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის "დ" პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ იმსჯელა, თუ რატომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მათი წერილობითი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ყალბი დოკუმენტებისა და საბუთების წარდგენით შეცდომაში შეიყვანა ნოტარიუსი, კერძოდ, წარადგინა ყალბი ცნობა, რომ, თითქოს სადავო სახლში ცხოვრობდა თვითონ და მისი შვილის მეუღლე, მაშინ, როდესაც სადავო ბინაში დღემდე მუდმივად 1983 წლიდან მოპასუხეები ცხოვრობენ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე თ. ფ-ძე 1983 წლიდან კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდა ნ. ჯ-შვილთან და მასთან თანაცხოვრობის პერიოდში შეეძინა ზ. და ნ. ჯ-შვილები. მისი ოჯახი 1983 წლიდან ცხოვრობს სადავო ბინაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის საოქმო განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, მოცემულ საქმეზე შეჩერდა საქმის წარმოება, თ. ფ-ძის მიერ წარმოდგენილი თ. ჯ-შვილის გარდაცვალების მოწმობის საფუძველზე, კასატორის მოწინააღმდეგე მხარის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით განახლდა თ. ფ-ძის, ზ. და ნ. ჯ-შვილების საკასაციო საჩივრის განხილვა. კასატორებს დაევალით წარმოედგინათ თ. ჯ-შვილის უფლებამონაცვლის დადგენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2009 წლის 22 მაისს თ. ფ-ძემ, ზ. და ნ. ჯ-შვილებმა განცხადებით მიმართეს საკასაციო პალატას და მიუთითეს, რომ ზ. და ნ. ჯ-შვილები არიან აწ გარდაცვლილ თ. ჯ-შვილის პირველი რიგის მემკვიდრეები და ისინი ფაქტობრივად მართავენ და ფლობენ აწ გარდაცვლილ თ. ჯ-შვილის დანაშთ ქონებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით აწ გარდაცვლილ -თ. ჯ-შვილის უფლებამონაცვლედ საქმის განხილვაში ჩაერთო ზ. და ნ. ჯ-შვილები. ამასთან, ზ. და ნ. ჯ-შვილებს დაევალით აცნობონ საკასაციო პალატას ეთანხმებიან თუ არა საკასაციო საჩივარს და სურთ თუ არა მისი განხილვა.

2007 წლის 10 ივლისს ზ. და ნ. ჯ-შვილებმა განცხადებით მიმართეს საკასაციო პალატას, სადაც მიუთითეს, რომ ისინი (ზ. და ნ. ჯ-შვილები) ეთანხმებიან საკასაციო საჩივარს და არ სურთ მისი განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის სადავო ურთიერთობა არ არსებობს. კასატორის მოწინააღმდეგე მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ მოსარჩელის უფლებამონაცვლეებს, ეთანხმებიან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც უარი ეთქვა სარჩელს დაკმაყო-

ფილბაზე. ამრიგად, მოსარჩელები მხარს არ უჭერენ სარჩელს და უარს ამბობენ დავის გაგრძელებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. და ნ. ჯ-შვილების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება. კასატორებს დაუბრუნდეს მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის, 284-ე, 372-ე, 378-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. და ნ. ჯ-შვილების მოთხოვნა სარჩელზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები და შეწყდეს საქმის წარმოება;

ნ. ჯ-შვილს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 516 ლარი; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა არ გასაჩივრდება.

6. საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

ას-793-1008-08

25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 30 ოქტომბერს ჯ. შ-ძემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების -ო. ი-ძის, ც. გ-ძის, გ. და მ. ი-ძეების მიმართ ბინიდან გამოსახლების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ჯ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეები გამოსახლებულ იქნენ ქ. ბათუმში, ... ქ. #36-ში ჯ. შ-ძის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი სახლიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ი-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 18 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დაინიშნა სასამართლო სხდომა.

სააპელაციო სასამართლოს 8 ოქტომბრის განჩინებით აპელანტის წარმომადგენელი შუამდგომლობის საფუძველზე შეჩერდა ო. ი-ძის სააპელაციო საჩივრთან დაკავშირებული საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით განახლდა ო. ი-ძის სააპელაციო საჩივრთან დაკავშირებული საქმის წარმოება და ამავე სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის განჩინებით ო. ი-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. ი-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ო. ი-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწ-

მებლად, ხოლო ამავე პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით ო. ი-ძის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული და მიღებულ იქნა განსახილველად.

2009 წლის 20 მარტს ჯ. შ-ძის შვილმა ლ. შ-ძემ წარმოადგინა მამის გარდაცვალების მოწმობა და მოითხოვა ო. ი-ძის საკასაციო საჩივრთან დაკავშირებული საქმის წარმოების შეჩერება უფლებამონაცვლის დადგენამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის წარმოება ო. ი-ძის საკასაციო საჩივარზე უნდა შეჩერდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლ. შ-ძის მიერ წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობიდან ირკვევა, რომ ჯ. შ-ძე გარდაიცვალა 2009 წლის 16 იანვარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის ამ პირის უფლებამონაცვლეობას. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას და საქმის განხილვისათვის აუცილებელია დადგინდეს აწ გარდაცვლილი ჯ. შ-ძის უფლებამონაცვლე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით, 281-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ო. ი-ძის საკასაციო საჩივრის განხილვა შეჩერდეს მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. შენიშვნები სხდომის ოქმთან დაკავშირებით

განჩინება

#ას-531-764-08

4 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ც. ც-შვილის განცხადება სხდომის ოქმზე შენიშვნების თაობაზე

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნია, რომ ც. ც-შვილის განცხადება სხდომის ოქმზე შენიშვნებთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ს-ძემ და ც. ც-შვილმა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეებზედ ერთმანეთი მიუთითეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით ც. ც-შვილის საკასაციო საჩივარი როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი. რაც შეეხება ლ. ს-ძის საკასაციო საჩივარს ის მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლომ ლ. ს-ძის საკასაციო საჩივარი განიხილა სასამართლო სხდომაზე, რომელიც ასახულია შესაბამისი სხდომის ოქმის მაგნიტურ ფირზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის შესაბამისად ც. ც-შვილმა საკასაციო სასამართლოს მომართა განცხადებით და სხდომის ოქმზე შენიშვნები წარმოადგინა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს განმცხადებლის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ის შეცდომითაა მითითებული სხდომის ოქმში მოწინააღმდეგე მხარედ, ვინაიდან ლ. ს-ძის საკასაციო საჩივარზე, რომელიც განიხილა საკასაციო პალატამ სასამართლო სხდომაზე ც. ც-შვილი წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარეს. მართალია, საკასაციო საჩივარი შეიტანეს როგორც ლ. ს-ძემ, ასევე ც. ც-შვილმა, მაგრამ ც. ც-შვილი სხდომის ოქმში როგორც კასატორი ვერ იქნებოდა მითითებული, ვინაიდან მისი საკასაციო საჩივარი სასამართლომ სცნო დაუშვებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ც. ც-შვილის განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე, 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ც. ც-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.